# სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება
(ისტორია, თეორია, პრაქტიკა)"

Scientific magazine

# "AUTHORITY AND SOCIETY
(History, Theory, Practice)"

# Научный журнал "ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО
(История, Теория, Практика)"

№ 1 (21) 2012, ტომი II

## ღია დიპლომატიის ასოციაციის სამეცნიერო ჟურნალი

## Scientific magazine of The Open Diplomacy Association

## Научный журнал АССОЦИАЦИИ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

**EISSN 1512-4029**

ჟურნალი დაარსებულია 2005 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის კათედრის მიერ

**UDC 378(479.22)(051.2)**
ხ. 402


## სარედაქციო კოლეგია:

**შოთა დოღონაძე** — მთავარი რედაქტორი

**ოთარ ქოჩორაძე** — მთავარი რედაქტორის მოადგილე

**ოთარ ბაღათურია** — პასუხისმგებელი მდივანი

ნანა ავალიანი, რუდიგერ ანდრესენი, მეუფე აბრაამი (გარმელია), ევგენი ბარათაშვილი, გიორგი ბაღათურია, ოთარ ბაღათურია, რასა ბელოკაიტე, ანასტასია განიჩი, იური გორიცკი, ვახტანგ გურული, შოთა დოღონაძე, ელუნ დრაკე, ჰარალდ ვერტცი, გენადი იაშვილი, სერჯო კამიზი, რიჩარდ მაასი, როინ მეტრეველი, იოშიკა მიცუი, ბადრი ნაკაშიძე, ლიზავეტა ჟახანინა, ბუდი ნურანი რუჩჯანა, რამონ პიეტრო-სუარესი, გერტ სურმიულენი, ქეთი ქოქრაშვილი, ოთარ ქოჩორაძე, რუსუდან ქუთათელაძე, მაია ჩხეიძე, ენდრიუ ლენუქს ჰარდინგსი


✡ ✡ ✡ ✡ ✡

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს მხოლოდ ავტორთა პოზიციას და შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის შეხედულებებს.

რედაქციის მისამართი:
საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას ქ. 77, VI კორპუსი,
I სართული, ტელ. 236-45-14,
77 Kostava st., 0175 Tbilisi, Georgia.
Tel. [+995 32] 2364514
e-mail: **geoandopendip@yahoo.com**

*გარეკანის გაფორმება: დავით ბაღათურია*

ჟურნალის ელექტრონული ვერსია გამოქვეყნებულია ვებგვერდზე:
**http://www.odageorgia.ge/page=gamocemebi**

ჟურნალის რეფერირებული მასალა განთავსებულია საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბიბლიოთეკაში: **http://www.eLIBRARY.ru**

# ს ა რ ჩ ე ვ ი

## თეორია

**პავლე ასათიანი**
კომპიუტინგის შესავალი ინფორმაციის და კომუნიკაციის ბიზნესინჟინერიაში--------------------------------------------------------------5

**გიორგი ალადაშვილი**
თანამედროვე პოლიტიკური პროცესის ანალიზი საქართველოს მაგალითზე------------------------------------------------10

## ისტორია

**ემზარ ხვიჩია**
“სომხობა”, როგორც ფარული “ქართველობის” ერთ-ერთი გარეგნული მოდუსი-------------------------------------------------------16

## ეკონომიკა

**გენადი იაშვილი, ქეთევან ბეთლემიძე**
სახელმწიფო და მცირე ბიზნესი------------------------------------------32

## სამართალი

**სოფიო დოღონაძე**
კონფლიქტი აფხაზეთში, საქართველო - სამშვიდობო პროცესის დინამიკა-------------------------------------------------------39

## საზოგადოება

**ლიანა გედევანიშვილი**
კონსტრუქტივისტული მიდგომის მნიშვნელობა და როლი უცხოური ენების სწავლების პროცესში------------------------------51

**ლელი ბიბილაშვილი**
ბრენდი, სამომხმარებლო ქცევა და პრეფერენციები--------------56

**დარიკო ხვედელიძე**
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის როლი განათლების რეფორმის პროცესში---------------------------------------65

**პრაქტიკა**

**მარიამ ვარდიაშვილი**
როგორ მივუთითოთ გამოყენებული წყაროები სამეცნიერო ნაშრომში?------------------------------------------------------------------------------71

**თამარ თვალჭრელიძე**
გუნდური მუშაობის უნივერსალურ პრინციპებზე გადასვლის გზები------------------------------------------------------------------------------------77

# თ ე ო რ ი ა

**პავლე ასათიანი**

## კომპიუტინგის შესავალი ინფორმაციის და კომუნიკაციის ბიზნესინჟინერიაში

XXI საუკუნე შევიდა კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების ისტორიის ახალ ფაზაში – ინფორმაციულ საზოგადოებაში. ამის შედეგად საზოგადოების ძირითადი რესურსი, პროდუქტი და საქონელი გახდა ინფორმაცია (ინფორმატიო – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს შიგა ფორმას, ფორმაციას).

ინფორმაციის შენონისეულმა თეორიამ ბიძგი მისცა ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას, ე.წ. ინფორმაციოლოგიურ რევოლუციას.

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება თავისთავად მოითხოვს ინფორმაციის ბუნების შესწავლას: თუ დღემდე მეცნიერება იკვლევდა ინფორმაციის გამოვლინებებს (შუქი, სითბო და ა.შ.), ამჟამად მეცნიერების ყურადღება გადავიდა ინფორმაციის ბუნების შესწავლაზე, ინფორმაციოლოგიაზე – ინფომრაციის ბუნების შემსწავლელ მეცნიერებაზე.

დღევანდელი გაგებით, გაეროს დოქტრინით, ინფორმაციის შიგა სტრუქტურას თავისი ბუნებით წარმოადგენს ფუნდამენტური ურთიერთობების (ნაწილაკი – ობიექტი-დამკვირვებელი, ადამიანი – კომპიუტერი და ა. შ.) სისტემას. ზბიგნევ ბჟეზინსკის წიგნში „დიდი საჭადრაკო დაფა“ ინფორმაციული სისტემები განიხილება, როგორც თანამედროვეობის ძლევამოსილების ფორმა ახალი ტექნოლოგიებით, მისი გეოპოლიტიკური იმპერატივებით და ახალი ინფორმაციული კულტურით.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, დსთ-ის ქვეყნების ჩათვლით, მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული ტესტირების მონაცემებით, ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები ჩამორჩება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს საინფორმაციო ბიზნესისა და საპრობლემო ამოცანების გადაწყვეტის უნარებში – ინფორმაციულ წიგნიერებაში. მსგავსი საექსპერტო ანალიზი ჩატარდა საქართველოს მთავრობის დავალებით და ამ ანალიზით დადგინდა, რომ ინფორმაციული განათლება საქართველოში, სასამართლო სისტემის ჩათვლით, არ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინფორმაციოლოგია, ანუ ინფორმაციის შესახებ მოძღვრება, გაეროს დოქტრინის გათვალისწინებით, მოიაზრება როგორც თანამედროვე განათლების საბაზო საგანი და მიმართულება.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს საგანმანათლებო პროგრამების შესაბამისობას საერთაშორისო წესებთან და სტანდარტებთან. ამის გათვალისწინებით, სტუ-ში ჩვენ შევიმუშავეთ ინფორმაციოლოგიის სწავლების პროგრამა, რომელიც წარმატებით იყო აპრობირებული საქართველოს წამყვან ეროვნულ და საერთაშორისო უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. მოვამზადეთ ინფორმაციის ოფიცრებისა და სპეციალისტების პირველი ნაკადები, რისი გაფართოებაც მოითხოვს სისტემურ განვითარებას ქვეყანაში ზემოაღნიშნული მსოფლიო ბანკის, გაეროს დოქტრინის და საქართველოს მთავრობის დასკვნის გათვალისწინებით. ამასთან, მსოფლიო ბანკის დასკვნით, ინფორმაციული განათლება მოიაზრება, როგორც სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი საშუალებაც. ამდენად, ინფორმაციული განათლება იძენს ასევე ძალზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ და ბიზნეს დატვირთვას.

ცნობილია, რომ კვლევებმა თანამედროვე მეცნიერებაში გადაინაცვლა ნივთიერებიდან ურთიერთობების – ურთიერთქმედების – ინფორმაციის ბუნების შესწავლაზე. ასეთ სამეცნიერო ვითარებაში ინფორმაცია წარმოადგენს ურთიერთობათა სისტემის პროდუქტს და საქონელს. ამ გარემოების საფუძველზე კვლევები მიმდინარეობს ინფორმაციის, როგორც ურთიერთობების, სისტემის მოდელირების მიმართულებით.

მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ისტორიაში შემოვიდა ფიზიკური სისტემის შიგა დროის ცნებაც. ასევე ისტორიული განზომილება ფიზიკასა და ტექნოლოგიაში როგორც ფიზიკური მდგომარეობის შიგა პარამეტრი (სივრცისა და დროის განზომილებასთან ერთად). შესაბამისად, პრიგოჟინის მიერ შემოყვანილია ისტორიულ-სოციოლოგიური განზომილების მათემატიკური ოპერატორი. ამის შედეგად შეიქმნა ინფორმაციის ოპერატორი, მეცნიერების და ტექნოლოგიის ისტორიის, ინფორმაციოლოგიისა და შესაბამისი დარგების (მაგალითად, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, სოციოლოგია) ერთობლიობის სისტემაში, როგორც ერთიანი ინფორმაციული სისტემის განხილვის საშუალებას იძლევა. ერთიანი ინფორმაციული სისტემის იდეა სხვა ფორმით იყო ჩამოყალიბებული ჯერ კიდევ ნილს ბორის „ცოდნის ერთიანობაში“, მაგრამ, სამწუხაროდ, ნილს

ბორის ამ შრომამ გაუსწრო დროს და დღეს ძალზე აქტუალური გახდა ერთიან ინფორმაციულ სისტემასთან მიმართებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახალი ინფორმაციოლოგიური ტექნოლოგია მოითხოვს წიგნიერი კადრების ინფორმაციოლოგიურად მომზადება-გადამზადებას. ამდენად, ინფორმაციულ საზოგადოებაში დაიწყო ახალი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუცია ადამიანთა „ძველი პედაგოგიკის" ახალ „ინფორმაციულ პედაგოგიკაზე" გადასართველად. ამავე დროს არავინ იცოდა, თუ როგორ ახერხებს მომხმარებელი მრავალი სახის სტრუქტურისა და შინაარსის ინფორმაციის გადამუშავებასა და ისეთი გადაწყვეტილებების ქმედებათა სისტემის შექმნას, რომლებმაც განაპირობა თანამედროვე ცივილიზაციის – ინფორმაციული საზოგადოების შექმნა, რაც გულისხმობს ახალი ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის მეთოდოლოგიის განვითარებას თანამედროვე ლინგვისტიკის, ლოგიკისა და მათემატიკის ერთობლივი გამოყენებით. „მანქანური ინტელექტის" მეთოდებიც უკვე არაა საკმარისი ყველა სახის მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მარკეტინგული ოპერაციების უზრუნველსაყოფად, რადგან იგი მოითხოვს თვისობრივად ახალი, თითქმის ბუნებრივი ცოდნის შენახვასა და გადამუშავებას. ამასთან, მსოფლიოს სჭირდება საზოგადოების სრული ინფორმატიზაციის გეგმების რეალიზება. ამ ამოცანას მხოლოდ არსებული სტრუქტურები ვერ შეასრულებს, თუ არ მოხდება მათი ინსტიტუციური გარდაქმნა, თუ არ შეიქმნება ახალი მოდელები, მეთოდები, მანქანა-ხელსაწყოები (მაგალითად, ახალი თაობის კვანტური კომპიუტერის დონეზე), რომლებიც ადამიანს დაეხმარება ინფორმაციის სწრად, ეფექტიან და ეკონომიკურ გადამუშავებაში და, რაც მთავარია, სწორი გადაწყვეტილების მიღება-შესრულებაში. ამიტომ 1992 წელს იუნესკოს გადაწყვეტილებით, დაიხურა ხელოვნური სისტემების პროგრამა ძირითადი მიზნების მიუღწევლობის მიზეზით და დაიწყო ძირეულად ახალი პროგრამის „გამოთვლები რეალურ სამყაროში" განვითარება.

ამ კონტექსტში წინა პლანზე გადაინაცვლა კონცეპტუალურად ახალი უნივერსალური ინტელექტუალური ოპერაციების ვირტუალურმა ინჟინირინგმა – „კომპიუტინგი ბუნებაში".

გამოდის, რომ მარტო თანამედროვე კომპიუტერები და პროგრამული სისტემები ვერ უზრუნველყოფს ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების, ახალი სოციალური მოთხოვნების ეპოქაში ადამიანის ნორმალურ ყოფასა და განვითარებას, მის ადაპტაციას ისეთ ახალ სოციალურ გარემოსთან, როგორიცაა

ინფორმაციული საზოგადოება. საზოგადოების, როგორც ერთიანი ორგანიზმის, ეფექტიანი განვითარება პროპორციულად ახალი აზროვნების სისტემის ჩამოყალიბების გარეშე შეუძლებელია. ინფორმაციულ საზოგადოებას, და კერძოდ, მეცნიერებას, ესაჭიროება, ფილოსოფიური ხასიათის ერთიანი მეთოდოლოგია ინფორმაციულ მეცნიერებათა დედააზრის, მათი კონცეფციისა და ახალი მეთოდების აღსაქმელად, ახალი ვირტუალური ინსტრუმენტარის, პროგრამული სისტემების, მაგრამ თვისობრივად ახალი კონცეფციებისა და ახალი ანალიტიკური ტექნოლოგიებით აღჭურვილი კადრების მომზადება-გადამზადების გზით.

ასეთ სიტუაციაში მნიშვნელოვანია ხელი შევუწყოთ მეცნიერების განათლებაში იმ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ კვლევა-ძიებას, რომელიც უშუალოდ მოემსახურება ინფორმაციული დარგის მეცნიერებს და პროფესორ-მასწავლებლებს როგორც საკუთარი სპეციალობის გათავისებაში, ისე ახალი მიმართულებების შექმნაში ბიზნეს ინჟინირინგის და კომპიუტინგის ინტეგრირების გზით.

## ლიტერატურა
## References:


1. asaTiani p. unformaciuli mecnierebis makrokvanturi kanonzomierebis kvleva misi erTiani (unificirebuli) meTodologiis SemuSavebis konteqstSi. `mecniereba da teqnologiebi~, #10-12, Tb., 2005.
2. asaTiani p., WavWaniZe v. Tanamedrove ganaTlebisa da mecnierebis informaciologiuri safuZvlebis Sesavali, Jurn. `mecniereba da teqnologiebi~ , #4-6, 2009. gv. 17-20. aseve ix. asaTiani p. Jurn. `inteleqtuali~, #10, 2009, gv. 225-229.
3. CogovaZe g. infornacia. Tbilisi. 2003.
4. UNO Doctrine of Informatiology Development of Mankind in XXI century, NY, 2001 (in Russiian).
5. Prigogine Order out of Chaos (man’s new dialogue with nature), Heinemann, London, 1984 (in Russian, 1986)
6. I. Prigogine. From Being to Becoming (time and complexity in the physical processes) San-Francisco, 1980 (In Russian, 1985).
7. Niels Bohr. The unity of knowledge |(N. Bohr’s lecture delivered to the author in Tb., 1961) NY, 1955, p. 17-62.
8. Seith Lloyd, Y. Jack. Ng. Singular Computer. Scientific American, February, 2005 (In Russian ). p 33-42l Special Report from Scientific American. May, 2004.
9. P. Asatiani, V. Chavchanidze, Kybernetes, Vol. 139, #1, 2010, pp. 141-142
10. И.В. Прангишвили. Системный подход и общие системные закономерности, М., ИПУ, ПАН, 2000.

**Pavle Asatiani**

**Computing Introduction in the Information and Communication Technology Business Engineering**

**Summary**

On the basis of the developed unified methodology of information and communication analysis and synthesis the universal Intelligence operations – computing engineering is discussed in the context of the XXI century computing, business engineering and the unity of knowledge.

**Keywords:** computing, business engineering**,** information and communication analysis.

**Reviewer**: Professor Otar Kochoradze, Georgian Technical University

**Павел Асатиани**

**Начала компьютинга в бизнес инженерии информационных и коммуникационных технологий**

**Резюме**

На основе разработанной, унифицированной методологии анализа и синтеза информации обсуждается введение компьютинга в бизнес-инженерию XXI века, как универсальных интеллектуальных операций в единой системе знаний, компьютинг и бизнес инженерии.

**Ключевые слова:** компьютинг, бизнес инженерия, анализ и синтез информации.

**Рецензент:** профессор Отар Кочорадзе. Грузинский технический университет

გიორგი ალადაშვილი

# თანამედროვე პოლიტიკური პროცესის ანალიზი საქართველოს მაგალითზე

მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ნათლად ცხადყოფს, რომ მსოფლიოში მიმდინარეობს „პოლიტიკური გლობალილაზია“.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების თანამედროვე პოლიკიტური პროცესების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს გეოპოლიტიკური ინტერესები.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ მსოფლიომ ახალი ტრანსფორმაცია განიცადა. შეიქმნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. ყოფილ საბჭოთა კავშორში შემავალმა რესპუბლიკებმა სათითაოდ თავიანთი პოლიტიკური გეზი აირჩიეს. პოლიტიკურ პროცესებმა ფართო მნიშვნელობა შეიძინა და ადამიანთა მოღვაწეობის ყველა სფერო მოიცვა. ბევრი მეცნიერი და მოაზროვნე დღევანდელ სამყაროს მიიჩნევს სამყაროდ, სადაც პოლიტიკური პროცესები მოიცავს არა მხოლოდ პოლიტიკურ ცხოვრებას არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს.

ჩვენი მიზანია გავაანალიზოთ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, განვიხილოთ ზესახელმწიფოების გეოპოლიტიკური ინტერესები და გავიაზროთ თუ რა პერსპექტივები და რა საფრთხეები შეუძლია შეუქმნას მსოფლიო პოლიტიკურმა პროცესმა ქართულ სახელმწიფოს.

საქართველოს ისტორიული წარსულიდან გამომდინარე ის შეეჩვია იმპერიათა შორის არსებობას და გამოიმუშავა გარკვეული საგარეო პოლიტიკური ტრადიცია. საქართველო არსებობდა ისეთ გეოპოლიტიკურ მდგომარეობაში, რომლის დროსაც მისი მეზობელი სახელმწიფოები იმპერიები იყვნენ. ამიტომ, ის თვითგადარჩენისა და პოლიტიკური ელიტის ინტერესების დასაკმაყოფილებლად ცდილობდა იმპერიებს შორის გაება ურთიერთობა და მათი ინტერესები გამოეყენებინა საკუთარი ვიწრო პოლიტიკური ინტერესის დასაკმაყოფილებლად. საქართველოს ისტორია ეს გარკვეულწილად არის ისტორია პატარა ქვეყნისა, რომელსაც გამუდმებით უწევს ლავირება ორ ან რომედენიმე იმპერიას შორის.

ყველა ნორმალურ ქვეყანას აქვს თავისი შიდა პოლიტიკური პროცესი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება მისი გეოპოლიტიკური ინტერესები. ამ უკანასკნელის მიხედვით ხდება გეოპოლიტიკური ძლიერების განსაზღვრა და სტრატეგიის შემუშავება. აქტუალურობას იძენს საქართველოს გეოპოლიტიკური ინტერესების არტიკულაციის საკითხი, რომელიც გამოიხატება

პირველ რიგში სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, სახელმწიფოს როლისა და ადგილის შენარჩუნებით საერთაშორისო არენაზე, დემოკრატიის გზაზე მდგრადი განვითარებისა და საერთოცივილიზაციური აღმავლობის შენარჩუნება. თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს ისე, რომ არ არის გამორიცხული სერიოზული სამხედრო დაპირისპირება მოხდეს მაგ. აშშ - ირანს შორის. არსებობს მოსაზრებები, რომ ომის დაწყებას მოყვეს არა მხოლოდ ახლო აღოსავლეთის „აფეთქება" არამედ კავკასიისაც. რუსეთს აქვს საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებული (ოკუპირებულ ტერიტორიებზე განლაგებული აქვს სერიოზული შემტევი სამხედრო შეიარაღება) და მათი რიცხვი თანდადან მატულობს (საინფორმაციო საშუალებების ცნობით ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთმა განალაგა სარაკეტო ძალები). მისი მოკავშირე სომხეთში არის რუსეთის მოწინავე სამხედრო ბაზა (გიუმრი). უახლოესი დამაკავშირებელი გზა ამ ბაზამდე (მხედველობაში მაქვს უახლოესი გზა მძიმე ტექნიკის გადატანისათვის) გადის საქართველოს ტერიტორიის გავლით. ირანის წინააღმდეგ ომის დაწყების შემთხვევაში რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განმეორებითი აგრესიული ქმედებების მცირედი შანსი მაინც არსებობს. საქართველო აღმოსავლეთ და დასავლეთ სამყაროს გასაყარზე მდებარეობს და ოდითგანვე იპყრობდა ორივე მხარის ყურადღებას. მიუხედავად მრავალი ომიანობისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასული საუკუნეების განმავლობაში, საქართველო ყოველთვის განაგრძობდა არსებობას ხალხის ერთობისა და პატრიოტიზმის შენარჩუნების საფუძველზე.

დღეს, უკვე XXI საუკუნეში, საქართველო მოიაზრება, როგორც დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, რომ მწვავე პრობლემას წარმოადგენს რუსეთის მიერ ოკუპირებული რეგიონები აფხაზეთის და ცხინვალის სახით და ასევე არც დემოკრატიული პრინციპებია გათანაბრებული საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებთან. შესაბამისად, შეიქმნა ობიექტური პირობები, რომელმაც უბიძგა საქართველოს უფრო აქტიურად ჩართულიყო გლობალურ პროცესებში და მისი მთავარი აქტორების ყურადღების არეალში მოქცეულიყო.

პოლიტიკურმა პროცესმა, ადამიანთა მოღვაწეობის ყველა დარგს შეეხო და მათ შორის, ეკონომიკურ თუ კულტურულ სფეროებში თავისი ზეგავლენა მოახდინა.

საბჭოთა კავშირიდან გათავისუფლების შემდეგ, საქართველო მრავალი პრობლემის წინაშე დადგა და უძლური აღმოჩნდა დამოუკიდებლად მიეღო მნიშვნელოვანი პოლიტიკური

გადაწყვეტილებები. 1991 წლიდან გაბატონებულმა მძიმე სოციალურმა ფონმა, საქართველო დააკავშირა ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც ძირითადად XX საუკუნის შუა წლებში ჩამოყალიბდა და საერთაშორისო მშვიდობისა და გლობალური პრობლემების გადაჭრას ისახავდა მიზნად.

1992 წლის 31 ივლისს, საქართველო გაწევრიანდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში (გაერო) და 1993 წლის თებერვლიდან იწყება აქტიური თანამშრომლობა, რომელიც დღემდე გრძელდება. გაერო წარმოადგენს დემოკრატიული პრინციპების დანერგვისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მთავარ აქტორს საქართველოში. 1993-1995 წლებში გაეროს მიერ გაწეულ დახმარებას ძირითადად ჰუმანიტარული ხასიათი ჰქონდა. თუმცა, ორი წლის შემდეგ, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური მდგომარეობის თანდათანობით გაუმჯობესების შედეგად, გაეროს შესაძლებლობა მიეცა ხელი შეეწყო საქართველოში უფრო გრძელვადიანი განვითარებისაკენ მიმართული ღონისძიებებისათვის, მათ შორის, ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროების რეფორმების პროგრამებისათვის. გაერო ასევე ზრუნავს სახელმწიფოს ეკონომიკური გაძლიერებისათვის იმ ორგანიზაციების მეშვეობით, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობის ფონზე, რომელიც არსებობს საქართველოსა და რუსეთს შორის, საინტერესოა ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან (ნატო) ურთიერთობის საკითხი. მთავრობის მოლოდინი, რომელიც ბუქარესტის სამიტზე საქართველოსთვის სამოქმედო პროგრამის მინიჭების საკითხს ეხებოდა, უშედეგოდ დამთავრდა, თუმცა მეორეს მხრივ საქართველომ მიიღო გარანტია, რომ უახლოეს მომავალში აუცილებლად გახდებოდა ნატოს სრულუფლებიანი წევრი. იქამდე კი საქართველო გააგრძელებს მოღვაწეობას ჩრდილო ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოში, რომელსაც იგი 1992 წლიდან შეუერთდა.

დასავლეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების სტრუქტურებში ჩართვის შესაძლებლობას იძლევა ასევე ევროპის კავშირი, როდესაც 1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში ხელი მოეწერა შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ ევროკავშირსა და საქართველოს შორის. მოგვიანებით, 2003 წლის 16-17 ივნისს საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის სხდომაზე, ბრიუსელში, მიღებულ დასკვნით დოკუმენტში, მხარეები მიესალმენ საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 28 მარტის დადგენილებას საქართველოს ევროკავშირის სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის დაჩქარების შესახებ და მოიწონეს

საქართველოს პარლამენტის განზრახვა ააშენოს "საერთო ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული სახელმწიფო".

გარდა ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციებისა, საყურადღებოა სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია – ევროპის საბჭო, რომლის წევრიც საქართველო გახდა 1999 წლის 27 იანვარს და მჭიდრო ურთიერთობა ვითარდება ადამიანის უფლებების, მასმედიის, საკანონმდებლო, სოციალური და ეკონომიკური საკითხების, ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის და გარემოს დაცვის საკითხებში.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, საქართველოს პოლიტიკური კურსი უკვე დიდი ხანია გარკვეულია და დასავლური ორიენტაციის საბოლოო მიზანი ევროპულ თანამეგობრობაში ინტეგრირებაა, რომელიც თანდათან უფრო მტკიცდება და შეუქცევად ხასიათს ატარებს. საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, ასევე ცდილობს განსაზღვროს საკუთარი როლი და ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში, რაც არც თუ ისე ადვილი ამოცანაა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის.

**ლიტერატურა**
**References:**


1. Huntington C.C., Carlson, Fred A. The Geographic Basis of Society. – N.Y.1993.
2. hanTingtoni s., civilizaciaTa Sejaxeba., Tb., 1997.
3. gaero, damxmare saxelmZRvanelo., Tb., 2003., 136 gv;
4. heivudi e., politikuri ideologiebi., Tb., 2005., 432 gv;
5. Артур Шопенгауэр. Размышления о государстве, политике и праве (фрагменты Сочинений) Собр.соч.
6. Макиавелли Н. Рассуждения о рервой декаде Тита Ливия, М,. 1998.
7. Хангтинтон С. Кто мы? Вызовы американской национальной идентичности.. М 2004;
8. Шмит К. Понятие политического//Вопросы социологии.-Т.1. М., 1992.
9. Белашов И.В. Геополитические интересы в структуре современного политического процесса. Автореферат диссертации Ставрополь. 2004.
10. saqarTvelos sagareo saqmeTa suministros veb-gverdi: www.mfa.gov.ge 29.11.12

**Giorgi Aladashvili**

**The analysis of modern political process on an example of Georgia**

**Summary**

On current world political processes it is possible to define the following - in the world occurs, political globalization "which example are Arabian (African) revolutions. In the countries where more or less authoritative modes the people aspire to democracy.

The main motive power of political processes of the leading countries of the world is geopolitical interests. After disintegration of Soviet Union, the world has changed. The commonwealth of the independent states by means of what Russia tried to use the influence and tools of pressure upon them has been created. However each of the former Soviet republics have chosen the political way including Georgia.

Against strengthening of threats of safety and displays of the international terrorism, updating of ideologically-theoretical and methodological approaches of research of geopolitical interests as factor of modern political process is necessary.

**Key words:** Geostrategy, geopolitical interests, modern political process, political globalization.

**Reviewer**: Professor Otar Kochoradze, Georgian Technical University

**Георгий Аладашвили**

**Анализ современного политического процесса на примере Грузии**

**Резюме**

По текущим мировым политическим процессам можно определить следующее - в мире происходит ,,политическая глобализация", примером которой являются арабские (африканские) революций. В странах, где более или менее авторитарные режимы народ стремится к демократии. Главной движущей силой политических процессов ведущих стран мира являются геополитические интересы. После распада Советского Союза, мир преобразился. Было создано содружество независимых государств, посредством чего Россия пыталась использовать свое влияние и инструменты давления на них. Однако каждая из бывших советских республик выбрали свой политический путь в том числе и Грузия.

На фоне усиления угроз безопасности и проявлений международного терроризма, необходимо обновление идейно-теоретических и методологических подходов исследования геополитических интересов как фактора современного политического процесса.

**Ключевые слова**: Геостратегия, геополитические интересы, современные политические процессы, политическая глобализация.

**Рецензент:** профессор Отар Кочорадзе, Грузинский технический университет.

# ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ᲔᲛᲖᲐᲠ ᲮᲕᲘᲩᲘᲐ

## “ᲡᲝᲛᲮᲝᲑᲐ”, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲤᲐᲠᲣᲚᲘ “ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ” ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲣᲚᲘ ᲛᲝᲓᲣᲡᲘ

ამ წერილში გავარჩევთ სახელებით: “ქართველი”, “სომეხი” და “არმენიელი”, აღნიშნული ფენომენების ურთიერთმიმართების საკითხს, ფსიქიკურ სტიქიათა თეორიის მიხედვით მათი იდენტიფიკაციის საფუძველზე. [შევნიშნავთ, რომ დასახელებული თეორიის ცნებითი აპარატის გამოყენების გარეშე შეუძლებელია სათქმელის ჩამოყალიბება]

სახელი – “სომეხი”, თანამედროვე ქართულ მეტყველებაში, გამოიყენება მართვის მანიის კლასის ქართველი ერის მოსაზღვრედ ლოკალიზებული, ფორმის მანიის კლასის არმენიელი ერის აღსანიშნავად. ფსიქიკურ სტიქიათა თეორიის გამოყენებით გამოვლენილი ობიექტური გარემოებები ამ პრაქტიკის აღკვეთის საფუძველს გვაძლევს.

აღნიშნულ ობიექტურ გარემოებებს შორის არ იგულისხმება ის ფაქტი, რომ სახელი – სომეხი (სხვათა შორის, ისევე, როგორც სახელები: უბიხი და ვაინახი) მაწარმოებელი ბოლოსართის – “ხი” მიხედვით, ქართველური წამოშობის ეთნოსთა სახელების: კოლხი, კახი, კუხი, ტაოხი, კარდუხი, მესხი, ბასხი, ჯავახი, იდენტურია, და რომ სომხებად წოდებული ეთნოსის წარმომადგენელთა გვარსახელების მაწარმოებელი ბოლოსართი – “იან”, რომელიც კავკასიაში მცხოვრებ ან აქედან გასულ არმენიელებს გამოყოფს, ქართველური ეტიმოლოგიისა სჩანს ( – “იან”, ქართულ ენაში, გარკვეული ნიშნის მატარებლობის აღმნიშვნელი ბოლოსართია; სვანურ ენაში “ან” ბოლოსართი გვარსახელების მაწარმოებლადაც არის შემორჩენილი; ამავე პრაქტიკის კვალი უნდა იყოს მეგრული გვარსახელების მაწარმოებელი ერთ-ერთი ბოლოსართი – “ია”, სავარაუდოდ, ბოლო ბგერის შეკვეცით მიღებული): ეს აქამდეც შემჩნეული ფაქტები შეიძლება მეტყველებდეს, მხოლოდ, ამ ეთნოსის ქართველი ერის წარმომადგენელ ეთნოსებთან წარმომავლობითი ნათესაობის შესახებ, რაც არ არის საკმარისი და არც აუცილებელი პირობა მის ქართველი ერის ნაწილად იდენტიფიკაციისთვის: ერს განსაზღვრავს ფსიქიკური ფაქტორი და არა ბიოლოგიური წარმომავლობა. [ერის დეფინიცია წარმოდგენილია ავტორის მიერ 2004 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში – “ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია”]

სახელით – "სომეხი" (ასევე, აზხაზი, ოსი, ქისტი და ა.შ.) აღნიშნული ფენომენის არსის გასარკვევად აუცილებელია გათვალისწინება მართვის მანიის კლასის ერის საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის ფუნდამენტური მახასიათებლებისა, რასაც შემდეგი ორი კატეგორია ასახავს:

1) "მართვის მანიის კალსის ერის ალტერნატიული თვითრეალიზაციის ჯგუფი";

2) "მართვის მანიის კალსის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფი".

მართვის მანიის კლასის ერის საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის, ამ სახელებით აღნიშნული, ფუნდამენტური ელემენტების არსებობის საფუძველია "განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპი", რომელიც მართვის მანიის ფსიქიკურ სტიქიას შეესაბამება. [ამ ფაქტის სწორად შეფასებისთვის დავასახელებთ სხვა სამი ფსიქიკური სტიქიის შესაბამის საზოგადოებრივი ერთობის პრინციპებს: ძლევის მანიას შეესაბამება დასახელებულისადმი რადიკალურად საპირისპირო – "იგივეობის საფუძველზე ერთობის პრინციპი"; რადიკალურად ურთიერთსაპირისპიროა აგრეთვე ცხრომის მანიის და ფორმის მანიის შეესაბამისი ერთობის პრინციპები, შესაბამისად: "ერთობის ფენომენის მიმართ ერთობის წევრის პრიმატის პრინციპი" და "ერთობის წევრის მიმართ ერთობის ფენომენის პრიმატის პრინციპი"]

"განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპი" გამორიცხავს მართვის მანიის კლასის ერის წევრთა ანუ მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიის მატარებელ პიროვნებათა გაერთიანების შესაძლებლობას ამ ფსიქიკური კომპლექსის (მართვის მანიის) პირდაპირ და შეუნიღბავად გამომხატველი ქცევის (შემოქმედებითის თუ ყოფითის) საფუძველზე. მართვის მანიის კლასის ერის წარმომდგენ საზოგადოებრივ ერთობაში, მის ცალკეულ წევრთა თუ ჯგუფთა შორის ურთიერგანსხვავების ნებისმიერი შემთხვევითი გამოვლენა ექვემდებარება ამ საზოგადოებრივი ერთობის დანარჩენი ნაწილის მხრიდან მის შეუქცევადი ზრდის ხელშემწყობ დამოკიდებულებას. ამ მიდრეკილების უშუალო ნაყოფია "მართვის მანიის კლასის ერის ალტერნატიული თვითრეალიზაციის ჯგუფი".

ქართველი ერის შემთხვევაში "მართვის მანიის კლასის ერის ალტერნატიული თვითრეალიზაციის ჯგუფის" მაგალითებად შიუძლება დასახელდეს: მეგრელობა, სვანობა, ლაზობა, ტაოელობა, კლარჯობა, სპერელობა, ლეჩხუმლობა, იმერლობა, გურულობა, რაჭველობა, მესხობა, აჭარელობა, ქართლელობა, კახელობა,

ქიზიყელობა, ჰერელობა, ფშაველობა, ხევსურობა, მოხევეობა, თუშობა და ასე შემდეგ.

“მართვის მანიის კლასის ერის ალტერნატიული თვითრეალიზაციის ჯგუფები” მართვის მანიის კლასის ერის საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის საკუთრივი რესურსია (– სხვადასხვა მათგანის წევრობა უზრუნველყოფს გაერთიანებისთვის განსხვავებაზე მოთხოვნას), მაგრამ ეს რესურსი არ იძლევა ამ თვისებრივი ტიპის ერის სტრუქტურულ გამოკერძოებას მის მომცავ ცივილიზაციაში: – ამ თვისებრივი ტიპის ერის წევრი (– მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიის მატარებელი პიროვნება) სხვა თვისებრივი ტიპის ერების წევრებთან, მათგან ფუნდამენტური განსხვავების საფუძველზე, ერთობის განცდით ხასიათდება [ეს ნიშნავს იმას, რომ მართვის მანიის კლასის ერის საზოგადოებრივი თვითორგანიზაცია არა ერის არამედ ცივილიზაციის ფენომენში გამოიხატება]. სწორედ ამ დანაკლისის შემვსებია მეორე ელემენტის – “მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის” ფუნქცია.

“მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფი” ამ თვისებრივი ტიპის ერის წარმომდგენ საზოგადოებრივ ერთობაში განსხვავებების გენერაციის აუცილებლობის საფუძველზევე ყალიბდება. ეს ხდება უპირატესად მისი ლოკალიზაციის არის მონაპირე რეგიონებში, ამგვარი რეგიონის მკვიდრთა მიერ მოსაზღვრედ ლოკალიზებულ უცხო ერის მემკვიდრეობის ელემენტების საკუთარ ერში გარეგნულად განმასხვავებელი ფაქტორის მნიშვნელობით გამოყენების ანუ გარეგნული ნიშნებით უცხო ერთან თვითასოცირების (მისი საზოგადოებრივ-კულტურული ინსტიტუტების ფუნქციის იმიტაციის) საფუძველზე. ამგვარი ფუნქციით აქტუალიზებულ უცხო ერს ვუწოდებთ “მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის მდგრადობის კომპონენტს” ან, მოკლედ, – “მდგრადობის კომპონენტს”.

ამრიგად, “მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფი” ეროვნული შემადგენლობის მიხედვით აუცილებლად ორელემენტიანია: პირველი, ძირითადი, ინიციატივის მატარებელი ელემენტი თვით მართვის მანიის კლასის ერს ეკუთვნის (დაფარვას დაქვემდებარებული ფსიქიკური მახასიათებლის – მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიის, მატარებლობის მიხედვით); მეორე ელემენტი, მისი გარეგნულად გამომრჩეველი ფაქტორების (ნასესხები მახასიათებლების) მომწოდებელი უცხო ერია (მისი მდგრადობის კომპონენტი),

რომელიც შეიძლება მართვის მანიის კლასის ერის განსახლების არეალში დიასპორითაც იყოს წარმოდგენილი, თუმცა ეს არაა აუცილებელი (მით უმეტეს დღეს, ინფორმაციის გავრცელების თანამედროვე ტექნოლოგიების არსებობის პირობებში).

მართვის მანიის კლასის ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფთა მაგალითებია: ბერძნობა (ძველელინელი ერისადმი თვითმიმსგავსება), ურიობა (ებრაელი ერისადმი თვითმიმსგავსება, შუმერელი ერისგან შემორჩენილი ამგვარივე ფუნქციის ელემენტის ნაშთი), რანელობა (ირანელი ერისადმი თვითმიმსგავსება), სომხობა (ჯერ – ძველ-არმენიელი, შემდეგ – არმენიელი ერისადმი თვითმიმსგავსება), ოსობა (ალანელი ერისადმი თვითმიმსგავსება), აფხაზობა და უბიხობა (ადიღელი ერისადმი თვითმიმსგავსება), ქისტობა და ვაინახობა (ჩეჩენი ერისადმი თვითმიმსგავსება) და ა.შ.

სახელით – “სომხობა” (სომეხთა ეთნოსი) აღნიშნული ამგვარი ერთეული, საფიქრებელია რომ, ჩამოყალიბდა წინაანტიურ ისტორიულ წყაროებში “სოხმეს” სახელით დაფიქსირებულ რეგიონში მოსახლე ქართველი ერის შემადგენელი (არა აუცილებლად ქართველური წარმომავლობის) ეთნოსთაგანისგან, მდგრადობის კომპონენტად, ჯერ, ძლევის მანიის კლასის ძველარმენიელი ერის (2-ე საუკუნემდე), შემდეგ – ფორმის მანიის კლასის არმენიელი ერის (3-ე საუკუნიდან) და, ბოლოს, ცხრომის მანიის კასტური ეფექტის არმენიული ფენომენის (13-ე საუკუნიდან) აქტუალიზაციით (იხ.ქვემოთ).
ამრიგად, სახელი სომეხი ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის აღმნიშვნელადაც კი არ არის ცალსახა მნიშვნელობისა: დღეს, იყო სომეხი ნიშნავს, ან მართვის მანიის კლსის ქართველი ერის წევრობას, ან ფორმის მანიის კლასის არმენიელი ერის წევრობას, კერძო შემთხვევად – ცხრომის მანიის კასტური ეფექტის არმენიული ფენომენის წარმომადგენლის მნიშვნელობითაც.

არაა არსებითი გრძნობს და აცხადებს თუ არა თავს ქართველად სომეხთაგან ერით ქართველი პიროვნება (ეს მისი ფსიქიკური მახასიათებლის საფუძველზეა დადგენადი).

მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის წევრის ეროვნული იდენტიფიკაცია არა საჯაროა (არატრანსფარაციული ინფორმაციაა): – მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის წევრის, როგორც ასეთის (მაგალითად – სომეხის), ამ ჯგუფის მდგრადობის კომპონენტად დაფიქსირებული ერისადმი (აქ არმენიელი ერისადმი) კუთვნეობა, ამ პიროვნების ქცევა-

თვითგამოხატვის გარეგნული ასპექტების მიხედვით, არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

შესაძლებელია, რომ მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის (მაგალითად – სომეხთა) დაყოფა წარმომავლობითი და ეროვნული ვინაობების ნიშნების მიხედვით ერთმანეთს არ დაემთხვეს. ანუ, მაგალითად: წარმომავლობით (– მშობლების ეროვნული კუთვნეობის მიხედვით) არმენიელი სომეხთაგანი აღმოჩნდეს ერით ქართველი, ხოლო წარმომავლობით ქართველი სომეხთაგანი – ერით არმენიელი.

სომეხთაგან (ასევე, ოსთაგან თუ აფხაზთაგან) ერით ქართველი პიროვნების მიერ მისი ერით ქართველობის საჯაროდ გამომჟღავნების (აღიარების), მართვის მანიის ეფექტით განპირობებული, აკრძალვის დარღვევა საკუთარი თავის ან განდობილთა წინაშე, ხელს არ შეუშლის მას (ამგვარ პიროვნებას) იმოქმედოს არმენიელი (ან შესაბამისი მდგრადობის კომპონენტად დაფიქსირებული) ერის სასარგებლოდ, ან მისადმი ზიანის მიუყენებლად მაინც: გაცემა (თვითმიძღვნა) მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიის მატარებელი პიროვნების თვითრეალიზაციის უმთავრესი ასპექტია (რასაც ადექვატურად ასახავს მაქსიმა: “რასაცა გასცემ – შენია, რასც არა – დაკარგულია”).

მიუხედავად იმისა, რომ არასწორია სომეხ (ასევე, აფხაზ, ოს, ბაცბ, ქისტ და ა.შ.) პიროვნებას გარედან უკარნახო (შეუძახო), თუ რომელ ერს ეკუთვნის იგი ქართველ და არმენიელ (თუ სხვა შესაბამის) ერთაგან, ამგვარი პრაქტიკა მეტად გავრცელებულია, – საზოგადოდ რომ ვთქვათ, “მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფი” ამ ერის ამავე ერის შიგნით სხვა ამგვარი ერთეულებისაგან მომდინარე მისი სრული გაუცხოებისკენ მიმართული ზეწოლის ობიექტია. ეს აიხსნება იმით, რომ სხვა ამგვარ ერთეულთა სრული თვისებრივი ტრანსფორმაციის შემთხვევაში, ასეთ ხვედრს გადარჩენილი გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფთაგანი გათავისუფლდება უცხო კულტურის ნიღბით სარგებლობის აუცილებლობისგან და მიიღებს შესაძლებლობას პირდაპირი თვითრეალიზაციით გახდეს საწყის ეტაპზე მისი მოცველი ერის წარმომდგენი საზოგადოებრივი ერთობის ინიციატორი ანუ თავისი არსებობის ფაქტში გაზარდოს მართვის მანიის ეფქტის რეალიზაციის ხარისხი.

ქართველი ერის ნაწილების ერთმანეთზე ამგვარი (მათი ერით გაუცხოებისკენ მიმართული) უმძაფრესი ზეწოლის გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ “ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფების” სახელები: ბერძენი, ურია, სომეხი, ოსი და

სხვა გახდა ამ ერთეულთა მდგრადობის კომპონენტად დაფიქსირებულ ერთა, შესაბამისად: ძველელინელთა, ებრაელთა, არმენიელთა, ალანთა აღმნიშვნელი; ხოლო, საფიქრებელია რომ, ამგვარივე ერთეულთა სახელები: უბიხი, ვაინახი, აფხაზი და ქისტი, ახალ ერთა სახელადაც კი დაფიქსირდა (თუმცა, უკანასკნელი ორი სახელით აღნიშნული ეთნოსები, შესაბამისად, ადიღელ და ჩეჩენ ერებთანაც ასოცირდებიან). დღეს, ასეთ მნიშვნელობას ივითარებს სახელიც – "მესხი", როგორც ამას კომპოზიტური სახელის – "თურქი-მესხები" გამოყენება ცხადყოფს (ანალოგიური გარდამავალი კომპოზიტების მაგალითებია სახელები: "წოვა-თუშები", "ალან-ოსები"). გვხვდება საპირისპირო პრაქტიკაც, როდესაც თვითონ ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფს ენიჭება მის მდგრადობის კომპონენტად აქტუალიზებული ერის სახელი. ამის მაგალითია ერთ-ერთი ქართული პროვინციის დასახელება – "რანი" (ნაწარმოები სჩანის სახელისგან – "ირანი") და ქართველ კათოლიკეთა ფრანგებად, ხოლო ქართველ მაჰმადიანთა თურქებად ან თათრებად (გათათრებულებად) სახელდებულობა ქართულ მეტყველებაში. ორივეგავრი პრაქტიკით მჟღავნდება ქართველი ერის დანარჩენი ნაწილის მიერ ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფთა ქართველი ერისგან გაუცხოების, მათი თავთავის მდგრადობის კომპონენტების იგივურ ნაწილებად დაფიქსირების მცდელობა, მათი სრული ეროვნული გაუცხოებისკენ მისწრაფება. ამგვარი დამოკიდებულება, მდგარადობის კომპონენტად დაფიქსირებული ერების თუ მათი დიასპორების წარმომადგენლებისთვის ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფებში ფსიქოლოგიურ კომფორტის უზრუნველმყოფელი, ამ ჯგუფების ერით ქართველი წევრებისგან მათი ერით განურჩევლობის ცნობიერების ჩამოყალიბების ხელშემწყობი პირობაა. ამასთანავე, მართვის მანიის კლასის ერის წევრებისთვის, განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპის ძალით, უცხო ერის საზოგადოებაა ფსიქოლოგიური კომფორტის გარემო. ამდენად კონფლიქტურ სიტუაციებში ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის ერით ქართველი ნაწილი ამ ერთეულის მდგრადობის კომპონენტად დაფიქსირებული უცხო ერის მხარეს უნდა აღმოჩნდეს, რაც დადასტურდა აფხაზეთსა და ოსეთს გაღვივებულ კონფლიქტებში.

მეორე მხრივ, იმავე "განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპის" მიხედვით (ანუ მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიის მატარებელი პიროვნებისთვის) დამზგავსება, თუნდაც – გარეგნული, ერთობის ცნობიერების მომხსნელი პირობაა. ამ გარემოების ძალით,

მართვის მანიის კლასის ერის (მაგალითად, – ქართველი ერის) გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის (მაგალითად, – სომხობის) ერით საკუთრივი (აქ, ერით ქართველი) ნაწილის გარეგნულად თვითასოცირება ამ ერთეულის (აქ, სომხობის) მდგრადობის კომპონენტთან (აქ, არმენიელ ერთან), იწვევს ამ ერის (აქ, არმენიელი ერის) მთლიანობის დარღვევას – მისგან ისეთი ნაწილის ჩამოშორების ტენდენციას, რომელთან ურთიერთობაშიც ერით ქართველ ელემენტს (აქ, სომხობის ერით ქართველ ნაწილს) შეეძლება გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფში (აქ, სომხობაში) ინიციატივის შენარჩუნება. მართვის მანიის კლასის ერის მდგრადობის კომპონენტად აქტუალიზებულ ერთა ამ მექნიზმით გახლეჩის მაგალითებად შეიძლება დასახელდეს: 12-ე საუკუნეში საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში სომხეთის სამთავროს დაწინაურების სინქრონულად არმენიული სახელმწიფოებრიობის ცენტრის კილიკიაში ლოკალიზება; აფხაზობის გამოყოფა ადიღური სამყაროსგან; ქისტების გამოყოფა ჩეჩნური სამყაროსგან; ოსების გამოყოფა ალანური სამყაროსგან; პონტოელი ბერძნების გამოყოფა ელინური სამყაროსგან; ერეკლე II-ის ზეობისას აზერბაიჯანელების გამოყოფა ირანელი ერისგან (ყიზილბაშური სამყაროსგან), სტალინის ინიციატივით საბჭოეთის სივრცის ჩამოშორება დასავლეთევროპული ცივილიზაციისგან . . .

ამრიგად, მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფი, გარეგნულად განსხვავების განვითარებით, გარეგნულად ემიჯნება საკუთარ ერს, მაგრამ ის, ამასთანავე, გარეგნული დამზგავსებით, ემიჯნება სათანადო მდგრადობის კომპონენტად დაფიქსირებულ ერსაც და, გარეგნული განსხვავების დემონსტრაციით, ხდება საკუთარი ერის კონსოლიდაციის ბირთვი. ეს არის საფუძველი იმისა, რომ მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფი ამ თვისებრივი ტიპის ერის, მის მომცავ ცივილიზაციაში, სტრუქტურულად გამომკერძოებელ ფაქტორად დავასახელეთ.

ლოგიკურია, რომ მართვის მანიის კლასის ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფთა ლიდერები, მათი ჩამოყალიბების ინიციატორები ან ამგვარ, თუნდაც ჩაშლილ, მცდელობათა ავტორები გვევლინებიან ამ თვისებრივი ტიპის ერთა სახელმწიფოებრივი აღორძინების, სახელმწიფოებრივი ინსტიტუციონალიზაციის მაინიცირებლებად. პიროვნების ამგვარი ფუნქციური სტატუსის უმაღლესი მითოსური პერსონიფიკაციაა კოლხეთის მეფე აიეტი (ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის აქტუალიზატორი, მდგრადობის კომპონენტად ძლევის მანიის კლასის

აქეველი ერით). ქართველი ერის ისტორიაში აიეტის მემკვიდრეებად შეიძლება დავასახელოთ: მეფე აზონი – არიან-ქართლის სახით, ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის აქტუალიზაციის ინიციატორი, მდგრადობის კომპონენტად ძლევის მანიის კლასის მაკედონელი ერით (ხოლო აზონის მიერ გაცის და გაიმის კულტის შემოტანა მართვის მანიის პირდაპირი ეფექტის გამოხატულებაა); მეფე ფარნავაზი – იბერია-ქართლის სახით ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის აქტუალიზატორი, მდგრადობის კომპონენტად ძლევის მანიის კლასის პართიელი ერით (არმაზის, იგივე ჰორმუზდის ანუ აჰურამაზდას კულტის დამამყარებელი); მეფე მითრიდატე VI ევპატორი – პონტოს სახით, ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის აქტუალიზატორი, მდგრადობის კომპონენტად ძლევის მანიის კლასის მაკედონელი ერით; მეფე ფარსმან II ქველი – იბერია-ქართლის სახით, ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის მდგრადობის კომპონენტად ძლევის მანიის კლასის რომაელი ერის აქტუალიზატორი (არმაზის კულტის მარსის კულტით ჩანაცვლების შეფერხებული ინიციატივის ავტორი); მეფე ამაზასპი – ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის მდგრადობის კომპონენტად ფორმის მანიის კლასის ირანელი ერის აქტუალიზატორი; მეფე ვახტანგ I გორგასალი – ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის მდგრადობის კომპონენტად ფორმის მანიის კლასის ბიზანტიელი ერის აქტუალიზატორი; მეფე გუბაზი – ეგრისის სამეფოს ფენომენში ამაზასპის და ვახტანგ გორგასლის ინიციატივების რეაქტუალიზატორი; მეფე ლეონ II – ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ფენომენში ვახტანგ გორგასლის ინიციატივის რეაქტუალიზატორი; ზაქარია მხარგრძელი – სომხეთის სამთავროს სახით ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის რეაქტუალიზატორი; ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანი – ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის მდგრადობის კომპონენტად ევროპელ ერთაგანის აქტუალიზაციის ჩაშლილი ინცატივის ავტორები; მეფე ერეკლე II – ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის მდგრადობის კომპონენტად, ჯერ, ცხრომის მანიის კასტური ეფექტი არმენიული ფენომენის, საბოლოოდ კი ძლევის მანიის კლასის რუსი ერის აქტუალიზატორი; ილია ჭავჭავაძე – ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის მდგრადობის კომპონენტად რუსი ერის აქტუალიზაციის ინიციატორი (მისგან გარეგნულად დამზგავსებით გამოყოფის ტენდენციის პერსონიფიკაცია); ნიკო

ნიკოლაძე – ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის მდგრადობის კომპონენტად ცხრომის მანიის კლასის ევროპელი ერთაგანის აქტუალიზაციის ჩაშლილი ინიციატივის ავტორი; სტალინი – ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის მდგრადობის კომპონენტად რუსი ერის აქტუალიზატორი და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფებს შორის დომინირებს ამგვარი ერთეული, მდგრადობის კომპონენტად რუსი ერით. მისი დომინანტი სხვა ამგვარ ერთეულთა ფუნქციის ნიველირების, მის მიერ მათი შთანთქმის ტენდენციაშია ასახული.

* * *

ქართველი ერი ეგეოსური ცივილიზაციის ნაწილია, ამდენად, მისი ისტორიის განხილვა და, კერძოდ, სომხობის, როგორც ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის ისტორიული როლის წარმოჩენა შეუძლებელია “ეგეოსური ცივილიზაციის” ფაზათა ცვლის პროცესის გაუთვალისწინებლად. ეგეოსური ცივილიზაცია ფაზების ცვლას განიცდის "ფარული დასაწყისის ეფექტის სქემის" მიხედვით. ეს ნიშნავს იმას, რომ ყოველი მეორე ფაზა ორმაგი ეფექტის ფაზას წარმოადგენს. ეგეოსური ცივილიზაციის შემთხვევაში ორმაგი ეფექტის ფაზების რეალიზაციაში თანამონაწილეობენ მართვის მანიის კლასის და ძლევის მანიის კლასის ერები, ხოლო ცხრომის მანიის კლასის და ფორმის მანიის კლასის ერები პასუხობენ ცალფა ეფექტის ფაზებს, რომლებიც მორიგეობით მოსდევენ ორმაგი ეფექტის ფაზებს.

ქრისტეს შობამდე 2-ე საუკუნეში (ეგეოსური ცივილიზაციის მეორე ორმაგი ეფექტის ფაზის შუახანები) რომაელი ერისგან შევიწროების შედეგად მაკედონელი ერი (ძველელინური სამყარო მაკედონელთა დომინანტით) გახდა გაძლიერებულ პართიელ და ძველარმენიელ ერებზე უფრო მისაღები ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატერებელი ჯგუფის მდგრადობის კომპონენტად, რაც, იბერია-ქართლის სამეფოს სახით, ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის, მდგრადობის კომპონენტად პართიელი ერით, და სომხობის (შესაბამისად, მცხეთის სამეფოს, არშაკიდული დინასტიით, და არმაზის სამეფოს, არტაშესიდული დინასტიით) დაქვეითებასა და პონტოს აღზევებაში გამოიხატა: მითრიდატე VI ევპატორის ზეობისას პონტოს სამეფო, როგორც ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფი, მდგრადობის კომპონენტად მაკედონელი ერით

(ძველელინური სამყარო მაკედონელთა დომინანტით), მთელი ქართველი ერის მოცვის ტენდენციის გამომხატველად გამოიკვეთა.

ქრისტეს შობიდან 3-ე-9-ე საუკუნეებში, ეგეოსური ცივილიზაციის მეორე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზაში (პირველ ასეთი ფაზად იგილისხმება ეგეოსური სამყაროს მდგომარეობა, მასზე ეგვიპტური ცივილიზაციის გარეგანი გავლენით განსაზღვრული, რომელიც წინ უძღოდა პირველი ორმაგი ეექტის ფაზის რეალიზაციას) მოხდა ფორმის მანიის კლასის ისეთი ერების ჩამოყალიბება როგორიცაა: არმენიელი ერი (ძველარმენიელი ერის თვისებრივი ტრანსფორმაციის შედეგად), ირანელი ერი (სასანიდური იმპერიით წარმოდგენილი), ბიზანტიელი ერი (ძველელინელი ერის თვისებრივი ტრანსფორმაციის შედეგად), არაბი ერი, ხაზარი ერი (ხაზარების მიერ იუდაიზმის ათვისების შედეგად). ახალი ფაზის დადგომასთან დაკავშირებით ქართული სახელმწიფოებრიობის აქტუალიზაცია მორიგ რადიკალურ ცვლილებას – ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის ახალი რეალიზაციით აქტუალიზაციას მოითხოვდა, მდგრადობის კომპონენტად დასახელებულ ერთაგან ერთ-ერთის დაფიქსირებით. საწყის ეტაპზე ამ მნიშვნელობით უპირატესობა მიენიჭა არმენიელ ერს. მაგრამ ამ მდგრადობის კომპონენტით ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფი ქართველი ერის სრული ასიმილაციის საფრთხის მატარებელი აღმოჩნდა: – უშუალო მეზობლობა შესაძლებელს ხდიდა არმენიული ენის გავრცელებას ქართულ პროვინციებში და სახელმწიფოებრივი ინსტიტუციების ამ ენაზე შეუქცევად გადასვლას (კავკასიის ალბანეთის მზგავსად), რაც, ეგეოსურ ცივილიზაციის მიმდინარე ფაზის ხელშეწყობით, აღნიშნულ ჯგუფში (სომხობა) ინიციატივის მისი მდგრადობის კომპონენტის (არმენიელი ერის) ხელში გადასვლის შედეგად, მისი ერით ქართველი ნაწილის თვისებრივი ტრანსფორმაციის პროცესის თანდათან მთელ ქართველ ერზე გავრცელების პირობას ქმნიდა. ამ პროცესის პერსონიფიკაციად წარმოგვიდგება სომეხ ბაგრატუნთა საგვარეულო და მამიკონიანთა საგვარეულო, მისი ლაზური წარმოშობის გათვალისწინებით. 5-ე საუკუნეში ვახტანგ გორგასლმა საფუძველი დაუდაო ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ალტერნატიული ჯგუფის აქტუალიზაციას, მდგრადობის კომპონენტად ბიზანტიელი ერით, რამაც გაამყარა ქართული ენის ინსტიტუციური ფუნქცია. ამ ერთეულმა ინიციატივა წაართვა მდგრადობის კომპონენტად არმენიელი ერის მაფიქსირებელ ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფს, "სომხობას", გადააქცია ის ლოკალურ ერთეულად. ამის შემდეგ

არმენიელი ერი თვითონ ჩავარდა ასიმილაციის საფრთხეში, ფორმის მანიის კლასის ბიზანტიელი ერის ექსპანსიის შედეგად (ფორმის მანიის ეფქტის ბიზანტიური ფენომენის რეალიზაციის მოვლენამ ელინური სამყაროსგან არმენიულ და დასავლეთსლავურ სამყაროებზე გაფართოება განიცადა). ეს პროცესი პროცესი შეაჩერა თურქ-სელჯუკთა ექსპანსიამ, ეგეოსური ცივილიზაციის მორიგი ფაზის მოვლენამ, თუმცა ამით არმენიელი ერის საარსებო საფრთხე არ მოხსნილა.

9-ე საუკუნის დასასრულს ეგეოსურ ცივილიზაციაში მესამე ორმაგი ეფექტის ფაზის დადგომასთან დაკავშირებით, რომელიც გაგრძელდა 12-ე საუკუნის დასასრულამდე, ფორმის მანიის კლასის არმენიელი ერის არსებობა ამ ცივილიზაციაში არააქტუალური გახდა. ამ ვითარებაში სომხობის, როგორც ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის, აღდგენა (წინა ფაზაში არმენიზებული ეთნოსის ბაზაზე) იქცა არმენიელი ერის გადარჩენის ერთ-ერთ უმთავრეს რესურსად. ამგვარი უკუპროცესის პერსონიფიკაციაა იმავე ანისელ სომეხ ბაგრატუნთა და მხარგრძელთა საგვარეულოები. ამ პროცესმა გამოიწვია სომხობის, როგორც ქართელი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის არმენიული სახელმწიფოებრიობისგან ჩამოშორება. არმენიული სახელმწიფოებრიობის ლოკალიზაციის არედ იქცა კილიკია.

ეგეოსური ცივილიზაციის მორიგი, მეორე ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის დასაწყისთან დაკავშირებული მძლავრი რყევები საქართველოს სახელმწიფომ განიცადა 12-ე საუკუნის 80-იან წლებში. ეს მოვლენა ცნობილია ყუთლუ არსლანის ამბოხის სახელით. თამარ მეფის შემდეგ ეგეოსური ცივილიზაციის მეორე ცხრომის მანიის ცალფა ეფქტის ფაზისადმი ქართველი ერის რეაქციამ შეიძინა ამ ფაზის სათანადო ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის, მდგრადობის კომპონენტად ცხრომის მანიის ეფექტის ფენომენით, ფორმირების პროცესის მნიშვნელობა. ამის გამოხატულებაა მეფე ლაშა-გიორგის სუფიზმით გატაცება (რინდების ორდენთან დაახლოება). მაგრამ მოვლენათა განვითარებაში ჩაერია ჩინური ცივილიზაციის გავლენის ფაქტორი: წინააზიის უდიდესი ნაწილი ჩინური ცივილიზაციის ერთ-ერთი ფაზის რეალიზაციის გამომხატველ ფენომენში, მონღოლურ იმპერიაში მოექცა. ამ ვითარებაში, ეგეოსური ცივილიზაციის არნიშნული ფაზისადმი ქართველი ერის რეაქციის მნიშვნელოვან ასპექტად იქცა მისი გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის მდგრადობის კომპონენტად, "ცხრომის მანიის კასტური

ეფექტის არმენიული ფენომენის" აქტუალიზაცია . ცხრომის მანიის კასტური ეფექტის არმენიულ ფენომენს ვუწოდებთ 13-ე საუკუნის შუახანებისთვის, ჩინურ ცივილიზაციაში ფორმის მანიის ეფექტის ფაზის დადგომის შედეგად, ფორმის მანიის კლასის ერად ტრანსფორმაციის პროცესს დაქვემდებარებულ თურქული სამყაროს და ამავე თვისებრივი ტიპის ირანელი ერის ლოკალიზაციის სივრცეებზე დიასპორებად დაქსაქსულ, ფორმის მანიის კლასის არმენიელი ერისგან, ამ, უცხოს მიმართ მტრულ გარემოში, მისი ადაპტაციის ამოცანის საპასუხოდ გამოყოფილ ელემენტს, წარმოდგენილს არმენიელ ვაჭართა და მევახშეთა ფენით. ქართულ ისტორიოგრაფიაში და სამეტყველო პრაქტიკაში, ეს, ახალი, ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფი არ არის გარჩეული სომხობისგან, როგორც ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფისგან, მდგრადობის კომპონენტად ფორმის მანიის ლასის არმენიელი ერით (ისინი ერთიდაიმავე სახელით – სომხები აღინიშნებიან). რაც მისი მდგრადობის კომპონენტის ფორმის მანიის კლასის არმენიელი ერის საარსებო პრობლემის საფუძველზე წარმოქმნის და არსებობის ასახვაა. ცხრომის მანიის კასტური ეფექტის არმენიული ფენომენი ერთგვარ დამცავ გარსად მოევლინა ყიზილბაშური და ოსმალური იმპერიების სივრცეზე გაფანტულ არმენიულ დიასპორებს და ამასთანავე, ის, როგორც ცხრომის მანიის ეფექტის ფენომენი, საგარეო ურთიერთკონტაქტების რეალიზატორ ელემენტთაგანად იქცა "დასავლეთევროპულ ცივილიზაციასა" (გამოეყო ეგეოსურ ცივილიზაციას 12-ე საუკუნის შუახანებში) და "ისლამურ ცივილიზაციას" (გამოეყო ეგეოსურ ცივილიზაციას 15-ე საუკუნეში) შორის. ისლამურ სამყაროში დასავლეთთან ვაჭრობა, ფაქტობრივად, არმენიელ ვაჭართა ექსკლუზიურ უფლებად იქცა. ცხრომის მანიის კასტური ეფექტის არმენიული ფენომენი ეგეოსური ცივილიზაციის მეორე ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის დასრულებამდე კონსტრუქციულ როლს ასრულებდა ეგეოსური ცივილიზაციის წარმომადგენელ იშვიათ ელემენტთაგანად შემორჩენილ, ქართული სახელმწიფოებრიობის ფენომენში, როგორც ამ ცივილიზაციის შინაგანი, ფუნქციურად აქტუალური ელემენტი. მაგრამ ეგეოსური ცივილიზაციის მორიგ, მეოთხე ორმაგი ეფქტის ფაზაში (16-ე საუკუნის დასასრული – 1926 წელი) მისი შინაგანი ფუნქციური აქტუალობა მოიხსნა. ამასთანავე, თუმცა ეგეოსური ცივილიზაცია არსებობას განაგრძობდა, მთელი მისი სივრცე დასავლეთევროპული და ისლამური ცივილიზაციების ექსპანსიის არეში იქნა მოქცეული: მისი ყოფილი სივრცის უდიდესი ნაწილი დაისაკუთრეს

დასავლეთევროპულმა და ისლამურმა ცივილიზაციებმა; კავკასია ისლამური იმპერიების ბრძოლის საგნად და ასპარეზად იქცა; რუსეთის სივრცეზე, ჯერ მოსკოვის რუსეთის სახით, ჩინური ცივილიზაციის, შემდეგ კი, რუსეთის იმპერიის სახით, დასავლეთევროპული ცივილიზაციის დომინანტი დამყარდა. ამ ვითარებაში ეგეოსური ცივილიზაციის საგარეო კონტაქტების წარმოების შესაძლებლობა, როგორც ცხრომის მანიის კასტური ეფექტის არმენიული ფენომენის კონსტრუქციულობის შენარჩუნების რესურსი, პრაქტიკულად არ არსებობდა. ამან ბიძგი მისცა ცხრომის მანიის კასტური ეფექტის არმენიული ფენომენის დასავლეთევროპულ ცივილიზაციაში ადაპტაციის ტენდენციას და ის რუსული იმპერიის ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართულ სტრატეგიის (დასავლეთევროპული ცივილიზაციის გაფართოების მორიგი აქტის) თანამონაწილე აღმოჩნდა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, ამ პროცესის ამსახველი მოვლენები, რომელიც ვაჟა შუბითიძის წიგნში – “სომხური’იმპერია’(ლიზმი) და კოლონიალიზმი” (2011) არის გადმოცემული, შეიცავს ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფების სხვა ამგვარ ერთეულთა ქართველი ერისგან სრულად გაუცხოებაზე მიმართულობის გამოხატულებებს: ქართული მართლმადიდებლობა და მასზე დამყარებული ქართული სახელმწიფოებრიობა ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფს წარმოადგენდა, მდგრადობის კომპონენტად ფორმის მანიის ეფექტის ბიზანტიური ფენომენით, ამდენად ის კონკურენტი იყო სომხობის, როგორც ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფისთვის, მდგრადობის კომპონენტად ფორმის მანიის კლასის არმენიელი ერით და მასთან დაკავშირებული ცხრომის მანიის კასტური ეფექტის არმენიული ფენომენით.

2003 წლიდან საქართველოში შეინიშნება სახელმწიფოებრივი აღორძინება, რაც ახალი, "ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის" აქტუალიზაციას აღნიშნავს. მის მდგრადობის კომპონენტად ამერიკლ ერს ვერ დავასახელებთ, საქართველოს თანამედროვე სახელისუფლო გუნდის მიერ პროამერიკული კურსის არჩევის შესახებ განცხადებების მიუხედავად. “ვარდების რევოლუციის” შემდეგ ამერიკელი ერის გავლენა იმდენად ძლიერია, რომ ის თავად არის საქართველოში საკუთარი ინტერესების გამტარებელი და თავისი ყოფითი ნორმების დანერგვის პროცესის წარმმართველი. ამდენად, საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინების მიმდინარე პროცესში ქართველი ერის წარმომადგენლებს ინიციატივის გამოვლენის შესაძლებლობა

აქვთ, მხოლოდ, ქართველი ერის გარეგნული განსხვავების მატარებელი ჯგუფის მდგრადობის კომპონენტად, დღეს საქართველოში ამერიკელ ერზე უფრო სუსტი პოზიციის მქონე, რუსი ერის აქტუალიზაციის პირობით. საქართველოს სამთავრობო გუნდის ფუნქციის ამგვარად შეფასების სამართლიანობის დასტურია ქართული სახელმწიფოს გასამხედროებულ-პოლიციური ხასიათი და საქართველოს სახელმწიფოს ინსტიტუციური განვითარების პროცესის რუსეთისაგან გამიჯვნის მნიშვნელობის მოვლენად წარმოდგენის ტენდენცია (როგორც აღინიშნა, განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპის მიხედვით, დამზგავსება ერთობის მომხსნელ პირობად გვევლინება). ამრიგად მიხეილ სააკაშვილი, როგორც საქართველოს სამთავრობო გუნდის ლიდერი, ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის მდგრადობის კომპონენტად რუსი ერის აქტუალიზაციის ინიციატორად შეიძლება დასახელდეს და მას სომხობის სახელით ცნობილ, ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფთან ვერ დავაკავშირებთ. მაგრამ თუ საქართველოში რუსი ერი დაიბრუნებს დომინანტის სტატუსს, მაშინ საქართველოს სამთავრობო გუნდი სომხობის სახელით ცნობილი ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის, მდგრადობის კომპონენტად ცხრომის მანიის კასტური ეფექტის არმენიული ფენომენით, აქტუალიზატორად მოგვევლინება: ცხრომის მანიის კასტური ეფექტის არმენიული ფენომენი (ამერიკის არმენიული ლობით წარმოდგენილი) შესაძლებელია ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფის მდგრადობის კომპონენტად აქტუალიზებულ, ცხრომის მანიის კლასის ამერიკელი ერის წარმომადგენელ ელემენტთაგანად დაფიქსირდეს. ეს ფაქტორი (ცხრომის მანიის ეფექტის არმენიული ფენომენის ფორმის მანიის კლასის არმენიელ ერთან კავშირის გათვალისწინებით) საქართველოზე არმენიელი ერის გავლენის ზრდის პირობად სჩანს. მით უმეტეს, რომ ეგეოსური ცივილიზაციის მიმდინარე, მეოთხე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა (2008 – 2027 წწ.) მეტად ხელსაყრელია არმენიული სახელმწიფოებრიობის აღმავლობისთვის. მაგრამ, ამავდროულად, სომხობა, როგორც ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფი, მდგრადობის კომპონენტად ფორმის მანიის კლასის არმენიელი ერით (ანუ სომხობა მისი ამჟამად აქტუალური მნიშვნელობით), ეგეოსური ცივილიზაციის მიმდინარე ფაზაში ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების, საქართველოზე არმენიელი ერის გავლენის ზრდის ეფექტურად შეკავების მნიშვნელოვანი რესურსად ისახება.

შევნიშნავთ, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელ ჯგუფებზე დამყარებულობის მოხსნის, ქართველი სახელმწიფოებრივი თვითორგანიზაციის მართვის მანიის პირდაპირი ეფექტის გამოხატულებად გადაქცევის აუცილებელი პირობაა ფსიქიკურ სტიქიათა თეორიაზე დამყარებული "მსოფლიო საზოგადოების ცივილიზაციური სტრუქტურის გლობალური ოპტიმიზაციის პროგრამის" ინიცირება. ეს საშუალებას მისცემს ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფების ერით ქართველ წარმომადგენლებს (მათ შორის ერით ქართველ სომხებს) გათავისუფლდნენ უცხო ერთა კულტურის ნიშნებით სარგებლობის აუცილებლობისგან, ან შესაბამისი გარეგნული მახასიათებლების შენარჩუნებით (ცხოვრების გარეგნული ასპექტების შეცვლის გარეშე), საჯაროდ აღიარებულ ჰყონ მათი ერით ქართველობა.

სტატიაში განხილულია ქართულ სამეტყველო პრაქტიკაში სახელით – "სომეხი" აღნიშნული ეთნოფენომენის იდენტიფიკაციის საკითხი, ქართველ და არმენიელ ერებთან მისი მიმართების ასპექტით. საკითხი შესწავლილია **"ფსიქიკურ სტიქიათა თეორიის"** პოზიციიდან, რომელიც წარმოადგენს დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის განვითარებას **"განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის"** აღმოჩენის საფუძველზე.

**ლიტერატურა**
**References:**

1. e. xviCia. eri rogorc filosofiuri kategoria da ontologiur gnoseologiuri principi. quTaisi. 1997
2. e. xviCia. qarTveli eri da kavkasia. "kavkasiis macne", 2000.
3. Э. А. Хвичия, Человек, Нация, Цивилизация. Сб. Материалов междунородного симпозиума. С.П 2004.
4. e. xviCia. qarTveli eri da msoflio civilizacia.Tb. 2004.
5. e. xviCia. optimalizmi: qarTuli erovnuli idea, globalizmis imperatiuli paradigma. Tb. 2011.
6. e. xviCia. kolxi medea, rogorc qarTveli eris TavdacviTi reaqciis personifikacia. "saistorio vertikalebi". 2010
7. e. xviCia. qarTuli saxelmwifoebrioba da qarTuli ena. Tb. 2011, konferenciis masalebi.
8. 10. Н. А. Кун, А. А. Нейхардт. Легенды и мифы Древней Греции и Древнего Рима. С.П. 2001.
9. Всемирная история. т. I – VI 1956-1966.
10. g. erase. afxazuri problemis mecnieruli gadawyveta. Tb. 2001.

11. S. TeTvaZe, o.TeTvaZe. somxebi saqarTveloSi. Tb 1998.
12. v. SubiTiZe. somxuri “imperia”(lizmi) da kolonializmi. Tb. 2011
13. mTavarepiskoposi anania jafariZe. saqarTvelos samociqulo eklesiis istoria. Tb.1996.

**Emzar Khvichia**

**Ethnic group "Somekhi" as one of the external manifestations of hidden belonging to the Georgian nation**

## Summary

The article discusses the issue of identification of ethnic phenomenon of the name “somekhi” in Georgian speech with the aspect of relation to Georgian and Armenian nations. The subject is studied from the position of “The Theory of Psychic Elements”, which is the continuation of Dimitri Uznadze`s “Theory of a Set” on the discovery of “Generally Unalienable Aspect of Content of a Set”.

**Keywords**: identification of ethnic phenomenon, Dimitri Uznadze, “somekhi”, “Theory of a Set”,”The Theory of Psychic Elements”.

**Reviewer**: Professor Vaja Shubitidze, Georgian Technical University

**Емзар Хвичиа**

**Этнос под именем «Сомехи» как один из внешних проявлений скрытой принадлежности к Грузинской наций**

## Резюме

В статье рассматривается вопрос идентификации этнического феномена известного в грузинской речи под названием «сомехи», с точки зрения его отношения к грузинской и армянской нации. Предмет исследуется с позиции «Теории психических стихии», который является продолжением «Теории установки» Димитрия Узнадзе на основе открытия «Вообще неотъемлемого аспекта содержания Установки».

**Ключевые слова:** идентификации этнического феномена, Димитри Узнадзе, «сомехи», «Теории установки», «Теориа психических стихии».

**Рецензент:** профессор Важа Шубитидзе, Грузинский технический университет.

# ე კ ო ნ ო მ ი კ ა

**გენადი იაშვილი, ქეთევან ბეთლემიძე**

## სახელმწიფო და მცირე ბიზნესი

დღეს თანამედროვე მსოფლიოში, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის წარმატების ერთ-ერთ უმთავრეს საფუძველს, სწორედ მცირე ბიზნესი წარმოადგენს. მსოფლიოში არსებული ბიზნეს სტრუქტურების აბსოლუტური უმრავლესობა (ევროკავშირი - 99,7%, აშშ - 99,8%) მცირე წარმოებაზე მოდის, რომელთა მიერ წარმოებული პროდუქციის და მომსახურების ხვედრითი წილი საერთო მშპ-ში 50%-ს და მეტს შეადგენს. საქართველოში მცირე ბიზნესზე მოდის რეგისტრირებულ საწარმოთა 80%, მაგრამ თუ ამ საწარმოების მიერ შექმნილი პროდუქციის ხვედრით წილზე ვისაუბრებთ, სურათი აბსოლუტურად საწინაალმდეგოა.მცირე საწარმოები მთლიანი პროდუქციის 40%-ზე ნაკლებს ქმნიან. [1]

მოცემული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით საქართველოში არსებული მცირე ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელი მიზეზების და იმ პრობლემების აღმოჩენა რაც მისი განვითარებას აფერხებს.

2006 წელს საქართველოში ცვლილებები შევიდა კანონში „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ და აღნიშნული კანონით (მუხლი 3 – ტერმინთა განმარტებები) დადგინდა განმარტებები მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის.[2] კერძოდ:

- მცირე საწარმო- „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულსა და წლიური ბრუნვა – 500 ათას ლარს.
- საშუალო საწარმო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 100 დასაქმებულსა და წლიური ბრუნვა – 1,5 მლნ. ლარს.

მეზობელ აზერბაიჯანში მცირე საწარმოებში მომუშავე ადამიანების რაოდენობა სფეროების მიხედვით არის უფრო ნაკლები, ვიდრე:

- 50 ადამიანი – ინდუსტრია და სხვა პროდუქციული სექტორები;
- 25 ადამიანი – მშენებლობა და ინჟინერიის სფერო;
- 25 ადამიანი – მეცნიერებისა და განათლების სფერო;
- 15 ადამიანი – ტრანსპორტი, ვაჭრობა და მომსახურება;
- საშუალო სიდიდის კომპანიებისათვის არ არის დეფინიცია.

ბელორუსიაში მცირე საწარმოებს განეკუთვნება კომპანიები დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნებით:

- მრეწველობასა და ტრანსპორტში - 100 კაცამდე,
- სოფლის მეურნეობასა და სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში - 60 კაცამდე.
- მშენებლობასა და საბითუმო ვაჭრობაში - 50 კაცამდე.
- საცალო ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში - 30 კაცამდე.
- არასაწარმოო სფეროს სხვა დარგებში 25 კაცამდე.

რაც შეეხება ევროკავშირს, მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების (ანუ SME) კატეგორია შედგება საწარმოებისაგან, სადაც მუშაობს 250 ადამიანი, და რომლის წლიური ბრუნვა შეადგენს 50 მილიონ ევროს და მათი ნაღდი ფულის მოძრაობის უწყისი არ აღემატება 43 მლნ. ევროს (3).

მთავრობამ, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მოტივით, საგადასახადო კოდექსში მიკრო და მცირე ბიზნესების ცნებები განსაზღვრა. მიკრობიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ ფიზიკურ პირს, რომლის წლიური ბრუნვა 30 ათას ლარამდეა. ასეთი მეწარმე საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდება. მცირე ბიზნესის კატეგორიას მიეკუთვნებიან ის ბიზნესმენები, რომელთა ბრუნვა 30 ათასიდან 100 ათასამდეა. თუმცა, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, მიკრობიზნესის სტატუსის შემოღებაში რევოლუციური არაფერია, რადგან ამ კატეგორიის ბიზნესმენები გადასახადებს ისედაც არ იხდიდნენ.

სახელმწიფოსთან ურთიერთობაში ყველაზე დაუცველი მცირე და საშუალო ბიზნესია. მსხვილ კომპანიებს უფრო უკეთესად შეუძლიათ თავის დაცვა იმის გამო, რომ მათ მეტი საშუალებები აქვთ. აქ არა მარტო ინდივიდუალურ საშუალებები იგულისხმება (ვთქვათ კვალიფიციური იურიდიული მომსახურებით სარგებლობა), არამედ ისიც, რომ მათ აქვთ საშუალება, კოლექტიური ინტერესებიც გამოხატონ.

მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროს განვითარებისათვის საჭიროა პირველ რიგში სახელმწიფოს მხრიდან ისეთი

საკანონმდებლო მხარდაჭერის განხორციელება, რომელიც გარკვეული ფინანსური სიძნელეების პერიოდში ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს მცირე და საშუალო მეწარმეს.

აშშ-ს და ევროპის კავშირის ქვეყნების მცირე ბიზნესის განვითარების პოლიტიკის შესწავლის შედეგად გაკეთებულია პროგნოზი: საქართველოს ეკონომიკის სწრაფი ზრდის უზრუნველსაყოფად და მოწინავე ქვეყნების განვითარების დონის მისაღწევად, ჩვენს ეკონომიკაში, მცირე და საშუალო ფირმების რაოდენობა 250-260 ათასს უნდა აღწევდეს. [4]

როგორც აღნიშნავენ „ახალმა საგადასახადო კოდექსმა პრაქტიკაში მიკრო და მცირე ბიზნესის შეღავათიანი რეგულაციები დაამკვიდრა. მიკრობიზნესი გადასახადებისგან საერთოდ განთავისუფლდა, ხოლო მცირე ბიზნესისთვის გამარტივებული რეჟიმი ამოქმედდა. თუმცა ეს ახალი საგადასახადო შეღავათები მხოლოდ ფიზიკური პირის საქმიანობას შეეხო და ის არასრულფასოვან იურიდიულ ნორმად გადაიქცა, რადგანაც რეალური მცირე ბიზნესი ახალი საკანონმდებლო ინიციატივის მიღმა აღოჩნდა. მოქმედი რეჟიმით, პურის საცხობი თუ საკონდიტრო საწარმო იგივე გადასახადებით იბეგრება, როგორითაც ფოთის პორტი. ამდენად, მცირე და საშუალო საწარმოების მოლოდინები მიმდინარე წლიდან ამოქმედებული ახალი საგადასახადო კოდექსის მიმართ არ გამართლდა. წარმოიდგინეთ, რომ ქვეყანაში შემოვიდა ინვესტორი და მცირე და საშუალო საწარმოში ინვესტიცია დააბანდა. გადასახადების გადახდის დროს ის აღმოაჩენს, რომ, მოქმედი საგადასახადო კოდექსიდან გამომდინარე, სულ სხვა რეჟიმში მოხვდა. ამიტომაც, მცირე და საშუალო საწარმოების ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შესაქმნელად ხელისუფლებამ სპეციალური კანონი უნდა მიიღოს და ქვეყანაში ის რეგულირება დამკვიდრდეს, რომელიც მთელს მსოფლიოში მოქმედებს. მაგალითად, კლასიკური მიდგომებით, თანამედროვე ბიზნესსამყაროში მცირე ბიზნესად 10 მილიონამდე წლიური ბრუნვის საწარმოს ბრუნვის არეალი 100 ათასიდან 2 მილიონ ლარამდე, უკიდურეს შემთხვევაში 1 მილიონ ლარამდე მაინც უნდა განისაზღვროს, 100 ათას ლარზე ქვემოთ წლიური ბრუნვის მქონე საწარმოები კი – მიკრობიზნესად.[3]

საგადასახადო კანონმდებლობაში მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს ორმაგად წაკითხვადი და რთულად განმარტებადი დებულებების არსებობა. ასევე, თავად „საქართველოს საგადასახადო კოდექსმა“ უნდა მოიცვას საკითხების სრული სპექტრი და მინიმუმამდე შემცირდეს ის კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზა

(ინსტრუქციები, ბრძანებები), რომლითაც რეგულირდება საგადასახადო ურთიერთობა და განსაკუთრებით, საგადასახადო კონტროლის საკითხები;

საჭიროა დაბეგვრის რეჟიმის გამარტივება, რათა მცირე ბიზნესისათვის კუთვნილი გადასახადების დაანგარიშების და გადახდის პროცედურები იყოს მნიშვნელოვნად მარტივი. ეს, საგრძნობლად შეამცირებს ბიზნესის, განსაკუთრებით კი, მცირე და წვრილი სამეწარმეო საქმიანობით დაკავებულ პირთა მიერ ადმინისტრირების და საბუღალტრო მომსახურებაზე გასაწევ დანახარჯებს.

ასევე ვფიქრობთ, რომ აუცილებელია საგადასახადო აღრიცხვისა და ანგარიშგების ფორმების გამარტივება, რაც გულისხმობს წლიური საგადასახადო დეკლარირების პრაქტიკის შემოღებას. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს ბიზნესის მხრიდან სამეწარმეო და აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესში შეცდომის დაშვების რისკს.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო თუ ადგილობრივმა ფონდებმა საქართველოში მცირე მეწარმეების დასახმარებლად ათეულობით მილიონი ლარი დახარჯეს, თუმცა ბიზნესის ეს სექტორი, განვითარების ნაცვლად, ყოველწლიურად მცირდება. მცირე და საშუალო ბიზნესის წილი ქართული ბიზნესის მთლიან მოცულობაში, გასული წლების მსგავსად, კვლავ არ აღემატება 15%-ს. შემცირებულია საშუალო ზომის საწარმოების რიცხვი, ამ საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასი. საქართველოს ეკონომიკაში როგორც ბრუნვის, ასევე დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების 60%-ზე მეტი მსხვილ საწარმოებზე მოდის, მიუხედავად იმისა, რომ მსხვილი საწარმოების წილი რეგისტრირებულ სუბიექტებში მხოლოდ 7%-ია.

საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მათ შორის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC) და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID), საქართველოში განხორციელებული პროექტების ფარგლებში, მცირე და საშუალო საწარმოების ბიზნესგარემო გამოიკვლიეს. მეწარმეებმა ძირითად პრობლემად კანონმდებლობის ხშირი ცვლილება დაასახელეს. გამოკითხულთა უმრავლესობის (73 პროცენტი) აზრით, ბიზნესგარემო საქართველოში ბოლო ერთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუარესდა. საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოების დაახლოებით 70%-მა განაცხადა, რომ მთავარი პრობლემა ბიზნესის წარმართვისას ინვესტიციების მოძიება იყო. მათგან, ვინც კაპიტალური ინვესტიციები განახორციელა, 77%-მა

აღნიშნა, რომ ეს მათ გაუნაწილებელი მოგებიდან და საკუთარი დანაზოგებიდან სახსრების მობილიზებით მოახერხეს. მაღალი საგირავნო მოთხოვნა და საპროცენტო განაკვეთები იმ ძირითად პრობლემად დასახელდა, რიც გამოც საწარმოები საბანკო სესხებით არ სარგებლობენ.[5]

მიუხედავად იმისა, რომ ახალ საგადასახადო კოდექსში არის სასიკეთო ცვლილებები წინა წლებთან შედარებით, ქვეყანაში საგადასახადო ადმინისტრირება კვლავ შეიცავს სადამსჯელო ინსტრუმენტებს, რაც განსაკუთრებით მტკივნეულად მცირე ბიზნესს, მცირე, საშუალო და წვრილ საწარმოოებსა და მომსახურების სფეროებს ეხება.

ყველა განვითარებულ ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესი შეღავათიანი საგადასახადო სისტემით არის წახალისებული სახელმწიფოს მხრიდან, რაც მისი პროგრესული განვითარების მაჩვენებელია. ასე მაგალითად: გერმანიამ გაათავისუფლა მცირე ბიზნესი ბრუნვის გადასახადიდან, ფინეთმა – შეამცირა გადასახადების განაკვეთი მცირე შემოსავლიანი მეწარმეებისთვის. გაერთიანებულმა სამეფომ შეიმუშავა საშემოსავლო გადასახადების პროგრესული სისტემა, ხოლო აშშ-ში ის კომპანიები, რომლებსაც მოგების დაბალი მაჩვენებლები აქვს, გადასახადს უფრო დაბალი განაკვეთით იხდიან. გადასახადიდან ნაწილობრივ განთავისუფლებული კომპანიების მიერ მიღებული დივიდენდი მიზნად ისახავს მის რეინვესტირებას და საწარმოს ფინანსურ ზრდას.

მცირე ბიზნესმენისთვის პრობლემა არის, რომ ხშირად, სირთულის გამო ის სწორად ვერ იგებს საგადასახადო კოდექსის დებულებებს. სხვათა შორის, 2009 წელს განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რასაც მცირე ბიზნესი აწყდება, არის საგადასახადო კოდექსის გაუგებარი ენა და ბუნდოვანი ფრაზები, ამაზე საუბარია მას შემდეგაც, რაც დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსი მიიღეს. ვერ ხერხდება, რომ ჩანაწერები გასაგები იყოს, რომ ეს არ გახდეს შემდეგ იმ ფინანსური დარღვევების საფუძველი, რისთვისაც ფისკალური ორგანოები აჯარიმებენ წვრილ მეწარმეებს. მეორე თემა, რომელიც მათ დაასახელეს, არის ბუღალტრული აღრიცხვის პრობლემა. კარგ ბუღალტერს კარგი ანაზღაურება სჭირდება. ყველა კვალიფიცირებული ბუღალტერი ცდილობს, რომ მსხვილ კომპანიასთან ჰქონდეს საქმე, რადგან იქ ანაზღაურებაც უკეთესია და პერსპექტივაც მეტი. სამწუხაროდ, წვრილი და საშუალო ბიზნესი რჩება ნაკლებად კვალიფიცირებული სპეციალისტების ხელში.

ამასთანაა დაკავშირებული შემდეგ ის სირთულეები, რაც მათ საგადასახადო კოდექსთან ექმნებათ; და მესამე, ეს არის ბიზნესის დაგეგმვის პრობლემა. მათ არ ჰყოფნით რესურსი, რომ ბიზნესგეგმა შეადგინონ, ანუ თავიანთი საქმიანობის პარამეტრები განსაზღვრონ და რეალისტური მიზნები დაისახონ.

**ლიტერატურა**
**Reference:**

1. saqarTvelos mcire da saSualo sawarmoTa asociacia
http://www.gsmea.ge/
2. . axali sagadasaxado kodeqsi. muxlebi 83-95
http://www.forms.ge.
3. .iaSvili, g. strategiuli menejmenti mcire da saSualo sawarmoebSi. stu, Tbilisi, 2009
4. mcire da saSualo biznesi saqarTveloSi. statistikuri publikacia. Tb.: 2009
5. axvlediani a. mcire sawarmoTa roli ekonomikis ganviTarebaSi. Jurn. „ekonomika‘‘ [1]7-8 1991
6. saqarTvelos ministrTa kabinetis 1993 wlis 6 agvistos [1]613 dadgenileba „saqarTvelos respublikaSi mcire samewarmeo saqmianobis ganviTarebis da xelSewyobis RonisZiebaTa Sesaxeb“.

**Genadi Iashvili, Ketevan Betlemidze**
**Government and Small Business**

**Summary**

In today's modern world one of the most important keys to success of developed countries lies on small business. The absolute majority of the existing business structures (the EU - 99.7%, United States - 99.8%) comes on small business production. Their products and services make up more than 50% in the total share of GDP. Small business accounts for 80% of registered enterprises in Georgia thought their share in GDP is quite controversial. Small businesses produce less than 40% of the total production.

The aim of the work is to take into account the international practice to discover the interruptions in Georgian small business development and develop the ways to work them out.

**Keywords:** Government, small business, Georgian small business development.

**Reviewer:** Professor Zurab Shengelia, Georgian Technical University

**Геннадий Яшвили, Кетеван Бетлемидзе**

**Правительство и Малый Бизнес**

## Резюме

Сегодня в современном мире, важнейшей основой экономического успеха развитых стран является малый бизнес. Абсолютное большинство существующих в мире бизнес-структур (ЕС - 99,7%, США - 99,8%) приходится на малое производство, чьи производимые продукты и предаставленные услуги составляют 50% и более в общем объеме ВВП. В Грузии из зарегистрированных в целом предприятий 80% приходит на малый бизнес, а производимые ими продукты и предоставленные услуги составляют меньше 40% в общем объеме ВВП.

Целью данной работы является выявление причин, которые препятствуют развитию малого бизнеса в Грузии а также разработка путей развития, учитывая международный опыт и практику.

**Ключевые слова:** Правительство, малый бизнес, развитие малого бизнеса в Грузии.

**Рецензент:** Профессор Зураб Шенгелиа. Грузинский технический университет.

# ს ა მ ა რ თ ა ლ ი

სოფიო დოდონაძე

## კონფლიქტი აფხაზეთში, საქართველო - სამშვიდობო პროცესის დინამიკა

აფხაზეთი საქართველოს ერთ-ერთი ავტონომიური რესპუბლიკაა. მისი მოსახლეობა 1989 წლის საბჭოური აღწერის თანახმად 521,1 ათასს შეადგენდა (ამ დროისათვის საქართველოში 5,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა). აფხაზეთის მოსახლეობის 45,7 პროცენტს (239,9ათასი) ქართველები შეადგენდნენ, აფხაზები 17,8 პროცენტი (93,3 ათასი) იყო. 14,7 პროცენტი სომეხი, 14,2 რუსი, 2,8 პროცენტი ბერძენი, 2,2 პროცენტი უკრაინელი და ბელორუსი დაახლოებით 0,4 პროცენტი ებრაელი, თათარი, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების ადამიანი სახლობდა. დღეისათვის აფხაზეთის, საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით 150-200 მოსახლე ცხოვრობს, რომელთა შორის ქართველები და თვით აფხაზები უმცირესობაში არიან.

საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მიუხედავად საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება იმხანადაც ცდილობდა შეექმნათ აფხაზი მოსახლეობისათვის სასურველი პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო, საზოგადოებრივი განვითარების პირობები. საბჭოთა კავშირში მცხოვრები სხვა მცირერიცხოვანი ერებისაგან განსხვავებით, აფხაზები თავისი რიცხოვნობის მიუხედავად გარანტირებული იყვნენ კონსტიტუციით. ბოლო პერიოდში კი კონსტიტუციით კანონით არჩევნების შესახებ, მოპოვებული ჰქონდათ გარანტირებულად უმრავლესობა წარმომადგენლობით ორგანოში - ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტში და ასევე, გარანტირებულად უმაღლესი პარტიული თანამდებობები, იმხანად მართველ კომუნისტურ პარტიაში. დღეს ბევრი მსჯელობს იმის თაობაზე, რამდენად სწორი ან არასწორი იყო ეს გადაწყვეტილება, მაგრამ მიგვაჩნია, რომ, მიუხედავად ბევრი საფრთხისა, რომელსაც ისინი შეიცავდნენ, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მხრიდან ეს გადაწყვეტილებები აფხაზი მოსახლეობისაკენ, მათი ნდობის მოპოვებისაკენ გადადგმული ნაბიჯი გახლდათ.

აფხაზთა პოლიტიკური უფლებები, ასევე გაფართოებული იყო მნიშვნელოვანი კულტურული, ლინგვისტიკური, საგანმანათლებლო და სხვა უფლებებით, უნდა ხაგასმით ითქვას რომ ეს უპრეცენდენტო იყო მაშინდელ საბჭოთა სახელმწიფოში, შეიძლება ითქვას ბევრ დემოკრატიულ საზოგადოებაშიაც კი. აფხაზეთში ფუნქციონირებდა

უამრავი სკოლა, ტექნიკუმი, იტსტიტუტი და უნივერსიტეტი, სამეცნიერო დაწესებულება, სადაც უზრუნველყოფილი იყო აფხაზურ ენაზე სწავლება და მუშაობა (აფხაზეთში აფხაზური ენა მაშინდელი და ახლანდელი კონსტიტუციით სახელმწიფო ენადაა აღიარებული). იქვე მუშაობდა აფხაზური თეატრი, მუზეუმები, ტელევიზია, რადიო. თითქოს არაფერი უშლიდა ხელს აფხაზური კულტურის განვითარებას, აფხაზი ეროვნების ადამიანების მიერ მშობლიური ენის თავისუფალ გამოყენებას, მეტიც მათ უპირატესობის აღიარებას აფხაზეთის ფარგლებში. სამწუხაროდ ასე არ ფიქრობდნენ სეპარატისტები და ის ადამიანები, რომლებსაც აფხაზეთი თავისი ბოროტი ზრახვების რეალიზაციისათვის სჭირდებოდათ, რომლებსაც გადაწყვეტილი ჰქონდათ დაერღვიათ საქართველოს ერთიანობა, შუღლი ჩამოეგდოთ მოძმე ერებს შორის და სისხლით დაფერილი ნაპრალი გაეჩინათ აფხაზეთსა და სრულიად საქართველოს შორის. დემოკრატიულ, დამოუკიდებლობის გზაზე, ევროპისაკენ მიმართულ საქართველოსათვის ჩამოეგლიჯათ მისთვის მშობლიური და მნიშვნელოვანი ნაწილი და გაეხადად ის თავის სათარეშო არეალად. სამწუხაროდ უნდა ითქვას რომ მათ ეს შეძლეს და აი უკვე 20 წელიწადია არ ნელდება განშორების ტკივილი, არ ნელდება იმ უბედურებით გამოწვეული სიმწარე რაც აფხაზეთში კონფლიქტის გაჩაღებას მოჰყვა. ორი ათეული წელია უშედეგოდ იბრძვის საქართველო თავისი ძირძველი მიწის დასაბრუნებლად, საერთაშორისო თანამეგობრობა ორ ხალხს შორის ნდობისა და კეთილგანწყობის აღსადგენად.

ყველაფერი კი ასე დაიწყო და განვითარდა.

კონფლიქტი აფხაზეთში, 1992 წელს გაჩაღდა სეპარატისტული დაჯგუფების მიერ, რომელსაც მხარს უჭერდნენ დაქირავებული მებრძოლები ჩრდილო კავკასიიდან (რუსეთის ფედერაცია), ასევე გარკვეული პოლიტიკური ძალები, ახლა უკვე თვალნათლივ გამოჩნდა, რომ სახელისუფლებო ეშელონები რუსეთში. სეპარატისტებმა შეძლეს ხელში ჩაეგდოთ აფხაზეთის მთელი ტერიტორია (უმცირესი გამონაკლისის გარდა) და 300 ათასზე მეტი ქართველი, მათთან ერთად არაქართველი მოსახლეობის ნაწილიც (რომლებიც მათ რეჟიმს არ ემორჩილედბოდა) გამოაძევეს მშობლიური სახლებიდან. იძულებით გამოძევებულმა ადამიანებმა თავი შეაფარეს საქართველოს სხვა რეგიონებს, უმთავრესად თბილისს და ასევე გაიფანტნენ მთელ მსოფლიოში.

საქართველოს ხელისუფლების მიერ აფზახი სეპარატისტების მხრიდან ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებს, ქართველი მოსახლეობის გენოციდს არაერთხელ მიეცა სათანადო შეფასება და

წარედგინა სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტს, უპირველესად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და გენერალურ მდივანს. განსაკუთრებული სისასტიკე, რომლითაც ქართველებს მოეპყნენ, საშინელი დამცირებებისა და საზარელი ფაქტების შესახებ დეტალურადაა აღნიშნული ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისრის ალვარო რობლესის მოხსენებაში, რომელიც 2000 წელს არის გამოქვეყნებული.

ამ მოსხენებას წინ უძღოდა არაერთი ტრაგიკული მოვლენა. ასე მაგალითად აფხაზმა სეპარატისტებმა ბევრჯერ დაარღვიეს შეთანხმებები ცეცხლის შეწყვეტისა და ლტოლვილების დაბრუნების თაობაზე. მათ შორისაა მოსკოვში 1992 წელს მიღწეული შეთანხმება, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს, აფხაზეთისა და რუსეთის წარმომადგენლები, მათ შორის ჩეჩნეთისა და ჩრდილო კავკასიის სხვა ლიდერები. შეთანხმება ითვალისწინებდა დაქირავებულთათვის მობილიზაციის და საზღვრის გადაკვეთის აკრძალვას, შეთანხმებაში ხაზგასმული იყო, ასევე, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა გარანტირებული უნდა ყოფილიყო. უნდა დაშლილიყო არაკანონიერი სამხედრო ფორმირებები და მინიმუმამდე დაყვანილიყო შეიარაღება. სამწუხაროდ აფხაზეთისა და სხვა მონაწილე მხარეების მიერ ეს შეთანხმება დარღვეულ იქნა, მეტიც ის ფარატინა ქაღალდად გადაიქცა. შემდგომ მოლაპარაკებებზე მის შესახებ დუმილს არჩევდნენ.

ცეცხლის შეწყვეტის მეორე შეთანხმება ხელმოწერილ იქნა 1993 წლის 27 ივლისს, იმავე მონაწილე მხარეების მიერ. ამასთან, ამჯერად რუსეთის ფედერაციამ თავის თავზე აიღო მიღწეული შეთანხმების შესრულების გარანტორის პასუხისმგებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება ითვალისწინებდა კონფლიქტის ზონაში სამხედრო ფორმირებების განიარაღებასა და გაყვანას, აფხაზებმა და სხვა ხელმომწერებმა უგულვებელყვეს ეს შეთანხმება. მეტიც, ულტრა-ნაციონალისტური სულისკვეთებით გამსჭვალულებმა დაიწყეს ქართველი მოსახლეობის უმოწყალოდ რბევა და დევნა.

ცეცხლის შეწყვეტის ბოლო შეთანხმება გაფორმდა 1994 წლის მაისში, სამწუხაროდ ეს შეთანხმებაც ბევრის არაფრის მომტანი აღმოჩნდა.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამიტზე (1994 წ.) განიხილეს რა ის უმძიმესი მდგომარეობა, რომელიც შექმნილი იყო საქართველოში არსებულ კონფლიქტთან დაკავშირებით, მიიღეს გადაწყვეტილება განელაგებინათ კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო კონტიგენტი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ სამშვიდობო კონტიგენტის

(რომელიც რუსი სამხედროებით იყო დაკომპლექტებული) მანდატი არაერთხელ იქნა მოგვიანებით გაგრძელებული, თუმცა რეალური გარდატეხა ამას კონფლიქტის დარეგულირების საქმეში არ შეუტანია, მეტიც ბევრ შემთხვევაში ნეგატიური როლიც კი შეასრულა. სამშვიდობოების განლაგება რამდენიმე პირობას გულისხმობდა: მხარეების დაშორიშორება; აფხაზეთთან, საქართველოს მიმართებაში დსთ-სა და გაეროს გადაწყვეტილებების რეალიზაცია; ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირებისათვის თავის საცხოვრებელ ადგილებში უსაფრთხო დაბრუნების გარანტიის შექმნა. რუსმა „მშვიდობისმყოფელებმა" დსთ-ს სამიტის გადაწყვეტილების მხოლოდ პირველი ნაწილი შეასრულეს. ცეცხლი შეწყდა და მებრძოლი მხარეები დაშორიშორებულ იქნა. რაც შეეხება ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირებისათვის თავის საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების საკითხს, აქ მათ თითი-თითზე არ დაუკარებიათ.

კონფლიქტის დასაწყისში საერთაშორისო საზოგადოება უყურადღებობას იჩენდა იმ პრობლემებისადმი, რომელიც საქართველში შეიქმნა. საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეული რომანტიზმი იმაზე ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე საღი აზრი შეეფასებინათ ის საფრთხეები, რომლებიც ტოტალიტარული რეჟიმის რღვევას და სეპარატიზმის გაღვივებას მოჰყვა ყოფილ საბჭოთა ქვეყნის ბევრ რეგიონში. საერთაშორისო საზოგადოება ვერ აღუდგა წინ სეპარატიზმს, რომელმაც დამანგრეველი მუხტი მოიტანა არა ერთ ახალგაზრდა ქვეყანაში.

საქართველოს ხელისუფლების, მეგობარი ქვეყნების ძალისხმევით, როგორღაც შესაძლებელი გახდა საერთაშორისო ორგანიზაციების, უპირველესად გაერთიანებული ორგანიზაციის შემობრუნება ამ საკითხისადმი. ტერმინიც კი გაჩნდა კონფლიქტის გადაწყვეტის ინტერნაციონალიზაცია, რაც კონფლიქტის გადაწყვეტის საქმეში საერთაშორისო საზოგადოების აქტიურ ჩაბმას გულისხმობდა. ვერ ვიტყვით, რომ ამ მცდელობამ საბოლოო შედეგი - კონფლიქტის დარეგულირება უზრუნველყო, მაგრამ არც იმის უარყოფა იქნებოდა სწორი რომ დიდი წვლილი იქნა შეტანილი იმაში, რომ ცეცხლის ხაზიდან მხარეებმა მოლაპარაკების მაგიდაზე გადაინაცვლეს.

1993 წლის მაისში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა გაეროს უშიშროების საბჭოს ნებართვის საფუძველზე დააწესა სადამკვირებლო მისია საქართველოში, სამწუხაროდ მისიას თავისი ფუნქციების შესრულება ვერ შეეძლო ცეცხლის შეწყვეტამდე (1994 წლის 14 მაისი). გაეროს უშიშროების

საბჭოს 858 გადაწყვეტილებაში მითითებული იყო სადამკვირებლო მისიის ფუნქციები:

- მუდმივად შემოწმდეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულება;
- შემოწმდეს კონფლიქტის ზონაში მძიმე სამხედრო ტექნიკის არშეყვანისა და შეიარაღების შეზღუდვის საკითხი და კოდორის ხეობის პატრულირება;
- კონფლიქტის სიტუაციის შესახებ მოხსენდეს გაეროს გენერალურ მდივანს.

სამხედრო დაპირისპირების შემდეგ სადამკვირებლო მისიის მანდატი გაიზარდა, რათა კონტაქტები დაემყარებინათ კონფლიქტის მხარეებთან და რუს სამხედროებთან. ასევე, მისიის ხელმძღვანელს დაევალა სამშვიდობო პროცესის სტიმულირება.

1996 წლის 26 ოქტომბერს გაეროს უშიშროების საბჭოს 1077 გადაწყვეტილებით სოხუმში დაარსდა ადამიანის უფლებათა ოფისი.

აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების გზების ძიების საქმეში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება ჟ.წ. ჟენევის პროცესს, რომელიც დღემდე გრძელდება. ასევე მნიშვნელოვანია ის ძალისხმევა, რომელსაც ახორციელებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფი საქართველოს საკითხებში (საფრანგეთი, გერმანია, რუსეთის ფედერაცია, დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები).

ჟენევის პროცესს დასაბამი მიეცა 1997 წლის 17 დეკემბერს. საქართველოსა და აფხაზეთის წარმომადგენლები გაეროს შუამავლობით მუდმივი საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში ახორციელებდნენ კონტაქტებს სამშვიდობო პროცესთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. ჩამოყალიბდა სამი სამუშაო ჯგუფი:

1. საკითხები, დაკავშირებული ცეცხლის შეწყვეტასთან და საბრძოლო მოქმედებების არგანახლებასთან;
2. ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებისა და მათი უფლებების უზრუნველყოფის;
3. ეკონომიკური და საზოგადოებრივი რეაბილიტაციის საკითხების.

გაიმართა ათეულობით შეხვედრა და კონსულტაცია, მათ უშედეგობაზე ისიც მეტყველებს, რომ კონფლიქტი აქტიური ფაზიდან გაყინული კონფლიქტის რანგში გადავიდა და ბევრი არაფერი გადაწყვეტილა. თუმცა იყო უმნიშვნელო საკითხები, რომლებზეც ახლა ყურადღებას არ შევაჩერებთ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის საქმიანობა, რომელსაც კონფლიქტის მოგვარების საქმეში ეუთო ეწევა. ეუთოს დამოკიდებულება კონფლიქტთან და მისი მოგვარების საკითხებთან თვალნათლივ ჩანს იმ დოკუმენტებში, რომელიც მიღებულ იქნა ბუდაპეშტის, ლისაბონისა და სტამბოლის სამიტებზე. ეს დოკუმენტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ აფხაზეთში სეპარატისტების მიერ განხორციელებულია ეთნიკური წმენდა, უმთავრესად ქართული მოსახლეობის. ეუთომ არაერთხელ მიუთითა იმ ვალდებულებებზე, რომელიც აკისრია აფხაზ სეპარატისტებს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისა და ლტოლვილების უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების თვალსაზრისით.

ნიშანდობლივი კონფლიქტის გენეზისთან და აფხაზ სეპარატისტების დამოკიდებულებასთან დაკავშირებით არის 1998 წელს გალის ტრაგიკული მოვლენები. 40 000 ადამიანი სპონტანურად დაბრუნებული გალის რაიონში გახდა, ახლა უკვე ნათელია, რუსეთის მიერ მხარდაჭერილი სეპარატისების დევნის ობიექტი, 1200 უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა და ათასობით გამოიქცა ამ ღია ტერორის პირობებში. აი ასეთი ფასი ღირდა აფხაზებისა და რუსების დაპირებები მშვიდობის, პატივისცემისა და ადამიანების უფლებების დაცვის თაობაზე. თავის 1187 (1998) რეზოლუციაში 1998 წლის 30 ივლისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ მკაცრად დაგმო აფხაზთა მოქმედება, განსაკუთრებით ხაზი გაესვა სახლების განადგურების ასეულობით ფაქტს, რამაც ლტოლვილთა დაბრუნება შეუძლებელი გახადა.

ეს იყო მასშტაბური ტერორი, რომელმაც დააგვირგვინა რუსი მშვიდობისმყოფელების მიყრუებითა თუ ხელისშეწყობით ჩადენილი უამრავი დანაშაული ქართული და არაქართული მოსახლეობის მიმართ ე.წ ცეცხლის შეწყვეტის პროცესის დაწყების შემდეგ. ეს დანაშაულებრივი ქმედებები ეხლაც არ არის აღმოფხვრილი.

კონფლიქტის მიმდინარეობის მთელ პროცესში აქტუალური იყო და დღემდე რჩება აფხაზეთის სტატუსის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერაციის აქტიური მხარდაჭერით აფხაზეთი გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და იგი აღიარებული იქნა რუსეთის და მისი სატელიტი 2-3 ქვეყნის მიერ, საკითხი დღემდე აქტუალურია. ასევე აქტუალობას არ არის მოკლებული ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა თავის საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების, ღირსეულად დაბრუნების პრობლემაც.

საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან არაერთი მცდელობა იყო ამ პრობლემების გადაწყვეტის გზები მოძებნილიყო,

სამწუხაროდ ვერცერთმა საკითხმა ვერ ჰპოვა სათანადო მხარდაჭერა მხარეების მხრიდან.

ახლა არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ აფხაზთა სიჯიუტის უკან მუდამ რუსეთი და მისი აგრესიული პოლიტიკა იდგა და დგას. ძნელი სათქმელია რა მექანიზმებითაა შესაძლებელი ამ პოზიციების შეცვლა და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება. ერთი ცხადია, საქართველოს ხელისუფლება უკან დახევას არ აპირებს, მისთვის მიუღებელი იყო და არის არსებული ვითარება, ის ისევე როგორც ქართველი ხალხი, ვერ შეეგუება საქართველოს დანაწევრებასა და დაყოფას.

ბოლო პერიოდში საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა და განსახილველად წარადგინა არაერთი სამშვიდობო ინიციატივა, მათ შორის, 2006 წლის მაისში კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირების "საგზაო რუკა" .

2008 წლის 28 მარტს საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ იქნა მნიშვნელოვანი სამშვიდობო ინიციატივა, რომელიც აფხაზეთის რეგიონისთვის უპრეცედენტო ავტონომიის მინიჭებას ითვალისწინებდა კონსტიტუციური გარანტიებისა და ხელისუფლების გადანაწილების გზით. ეს და საერთაშორისო საზოგადოების მიერ, ასევე არაერთგზის ინიცირებული სხვა სამშვიდობო წინადადებები უარყოფილ იქნა აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ რუსეთის ხელისუფალთა წაქეზებით.

სამშვიდობო პროცესის წარმატებით წარმართვის მცდელობები ჩაშალა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებულმა სრულმასშტაბიანმა სამხედრო აგრესიამ, რომელიც დაიწყო ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, ხოლო მისი მეორე ფრონტი რუსეთის მიერ გახსნილ იქნა აფხაზეთის რეგიონში. ინტერვენციის შედეგად ზემო აფხაზეთი (კოდორის ხეობა) ეთნიკურად გაიწმინდა ორი ათასი ქართველისაგან.

დღეისათვის რუსეთის მიერ ოკუპირებულია აფხაზეთის რეგიონი. იგი გადაიქცა რუსი სამხედროების სათარეშო არედ. შენდება სამხედრო ნაგებობები რუსი სამხედროებისათვის. მძიმეა კრიმინოგენური ვითარება და ადგილი აქვს ადამიანის უფლებების უხეში ხელყოფის ფაქტებს, რაც ქმნის განუკითხაობისა და დაუცველობის ატმოსფეროს, ყოველივე ეს, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრებაზე. რუსეთი საკუთარი მიზნებისათვის იყენებს აფხაზეთის რეგიონის მოსახლეობას და ბუნებრივ რესურსებს.

საქართველოს პარლამენტი იძულებული გახდა მიეღო კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ", კანონში ნათქვამია, რომ

საქართველო არის სუვერენული, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო და მის ტერიტორიაზე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ყოფნა საქართველოს სახელმწიფოს მკაფიოდ და ნებაყოფლობით განცხადებული თანხმობის გარეშე, 1907 წლის ჰააგის რეგულაციების, 1949 წლის ჟენევის IV კონვენციისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების შესაბამისად, არის სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის უკანონო სამხედრო ოკუპაცია. საგულისხმოა, რომ ასეთ შეფასებას იზიარებს საქართველოს მეგობარი სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობა და რუსეთის ფედერაციას მოუწოდებს გაიყვანოს თავისი სამხედრო ნაწილები საქართველოს მთელი ტერიტორიიდან და შეწყვიტოს უკანონობა-სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის ოკუპაცია.

კანონით „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" განისაზღვრა იმ ტერიტორიების სტატუსი, რომლებიც ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად, დადგინდა ტერიტორიების განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი, ასევე ოკუპირებული ტერიტორიები და საზღვაო ზონები:

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიები;

ბ) ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები);

გ) შავ ზღვაზე: რუსეთის ფედერაციასთან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მდინარე ფსოუდან სამხრეთით მდინარე ენგურის შავ ზღვასთან ჩადინების ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ მიმდებარე საზღვაო აკვატორიაში შემავალი საქართველოს შიდა წყლები და ტერიტორიული ზღვა, მათი ფსკერი და წიაღი, რომლებზედაც საქართველო ახორციელებს სუვერენიტეტს, აგრეთვე საზღვაო ზონები: მიმდებარე ზონა, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა და კონტინენტური შელფი, სადაც საქართველო თავისი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების, კერძოდ, „საზღვაო სამართლის შესახებ" გაეროს 1982 წლის კონვენციის შესაბამისად, მიმდებარე ზონაში სარგებლობს ფისკალური, სანიტარული, საიმიგრაციო და საგადასახადო უფლებებით, ხოლო განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და კონტინენტურ შელფზე – სუვერენული უფლებებითა და იურისდიქციით; (12.11.2010. 3806 ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან).

დ) ამ მუხლის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ტერიტორიების ზემოთ არსებული საჰაერო სივრცე.

კანონმა განსაზღვრა ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმი. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ამ კანონის

მოქმედების ვადით ვრცელდება საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი, აგრეთვე განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი, რაც გულისხმობს შეზღუდვებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისუფლად გადაადგილების, ამ კანონით გათვალისწინებული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით გარიგების დადებისა და ამ კანონით განსაზღვრულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

ამასთან, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან მიმართებაში, უცვლელია და იგი მშვიდობიან და ღირსეულ თანაარსებობას გულისხმობს.

საქართველოს ხელისუფლება დეოკუპაციის მოთხოვნასთან ერთად, ითვალისწინებს კონფლიქტის შედეგად დაშორიშორებული მოსახლეობის დაახლოებისა და ურთიერთნდობის პროცესის ხელშეწყობას. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობამ 2010 წლის 27 იანვარს მიიღო სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ „ჩართულობა თანამშრომლობის გზით", რომლის განხორციელებისათვის 2010 წლის 3 ივლისს დამტკიცდა „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა".

საქართველოს მოსახლეობისათვის, მისი კანონიერი ხელისუფლებისათვის მიუღებელია რაიმე ნიშნით თავისი მოქალაქეების დისკრიმინაცია ამიტომაც სახელმწიფო სტრატეგია ითვალისწინებს აფხაზეთის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისათვის ყველა იმ სარგებლისა და შეღავათის უზრუნველყოფას, რაც ხელმისაწვდომია საქართველოს მოქალაქეებისათვის. განსაკუთრებით - ჰუმანიტარულ, სოციალურ და ნდობის აღდგენის სფეროში. ნდობის აღდგენის მიზნით, სტრატეგია გულისხმობს გამყოფი ხაზის ორივე მხარეს არსებულ საზოგადოებებს შორის ეკონომიკური კავშირების ხელშეწყობას. საქართველოს მთავრობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას სთავაზობს სტატუს-ნეიტრალური დოკუმენტების გაცემას მათი დეიზოლაციისა და დახმარების მიზნით. „პირადობის ნეიტრალური მოწმობა" ხელმისაწვდომს ხდის საქართველოს სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ სოციალურ შეღავათებს, ხოლო „ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის" საშუალებით მოსახლეობას შესაძლებლობა ექმნება, ისარგებლოს საზღვარგარეთ გამგზავრების ისეთივე უფლებებით, რომლებიც საქართველოს სხვა მოქალაქეებს გააჩნიათ. სოციალური კუთხით, საქართველოს მთავრობა ფართოდ უღებს კარს აფხაზეთის რეგიონის მაცხოვრებლებს განათლებისა და ჯანდაცვის მიღების მიზნით.

მიზანი ღია და დაუფარავია. უნდა აღდგეს ურთიერთნდობა, ერთიანი სახელმწიფოს, როგორც ძლიერი და ადამიანებისათვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნის გარანტის განწყობის ჩამოყალიბება. მხოლოდ ასე გადავა გაყინული კონფლიქტი აფხაზეთში, საქართველო გადაწყვეტის, მშვიდობიანი გადაწყვეტის ფაზაში.

**ლიტერატურა**
**Reference:**

1. saqarTvelos konstitucia,Tbilisi, „bona kauza“, 2011.
2. saqarTvelos erovnuli usafrTxoebis koncefcia. (www.gov.ge)
3. saqarTvelos kanoni ”okupirebuli teritoriebis Sesaxeb”, Tb. 2008
4. regionaluri konfliqtebi saqarTveloSi - samxreT oseTis avtonomiuri olqi, afxazeTis assr (1998-2001). politikur-samarTlebrivi aqtebis krebuli, Tbilisi . ”sani” 2002. 428 gv.
5. saerTaSoriso urTierTobebis Teoria. qrestomaTia. samoqalaqo iniciativebis institutis gamomomcemloba, 2004, -495 gverdi.
6. gegeSiZe a. politologia, Tbilisi, 1997.
7. doRonaZe S. saqarTvelo: gza saerTaSoriso aRiarebidan saerTaSoriso Tanamegobrobisaken, Tbilisi, „cis nami” , 2002.
8. melqaze o. sazrvargareTis qveynebis saxelmwifo samarTali. Tbilisi, gamomcemloba „ufleba“, 1996
9. rondeli a. patara qveyana saerTaSoriso sistemaSi, Tb., mecniereba 2003.
10. qoCoraZe o. geopolitikis safuZvlebi. Tbilisis Tavisufali universitetis ESM biznesis skola. gamomcemloba NPG. 2009, - 465 gverdi.
11. В.П.Пугачов – “ПОЛИТОЛОГИЯ”. Москва, 1999 г.
12. Brodie B. War and Politics. N.Y. 1973

**Sofia Dogonadze**

**Conflict in Abkhazia, Georgia - and Dynamics of the Peace Process**

**Summary**

Abkhazia, one of the two autonomous republics of Georgia. According to the 1989 Soviet Census, the population of Georgia was 5.5 million. According to the same source population of the Autonomous Republic of Abkhazia, Georgia was 525.1 thousand, of which Abkhaz only -17.8 per cent (93.3 thousand).

Despite the Soviet totalitarian regime, the central authorities of Georgia rendered their highest efforts to provide the Abkhaz people with an environment conducive to a political, economic and social development. Abkhazia’s political rights were also enhanced by a wide range of cultural, linguistic, educational and

other rights, unprecedented in the USSR and in the model democratic societies. In Abkhazia there was a large number of public schools, institutes, a university and other institutions of higher learning, which provided the opportunity for studying in the Abkhazian language. The Abkhazian national theaters, museums, TV and radio stations were a commonplace as well.

Conflict in Abkhazia, Georgia, broke out in 1992. The conflict was provoked by a handful of Abkhaz separatists, with a substantial support of the mercenaries from the Northern Caucasus (Russian Federation) and certain political circles of Russia. The separatists seized the entire territory of Abkhazia, terrorizing the region's Georgian population and forcing about 300 000 Georgian survivors off their birthplaces. In the course of the ethnic cleansing conducted by the Abkhaz separatists against Georgians, other nationalities including Russians, Armenians, Greeks, Estonians, etc. were also forced to flee. Majority of the population found itself outside Abkhazia.

The Georgian Government has presented a series of peace initiatives. These and other peace initiatives of the international community have been rejected by Abkhazian de facto authorities under guidance from Moscow.

In Abkhazia, under Russian occupation, rampant crime and severe human rights violations create the environment of arbitrariness and vulnerability affecting lives of ordinary people. Russia exploits the population and natural resources of Abkhazia for its own purposes.

The state policy of Georgia with respect to the Autonomous Republic of Abkhazia, apart from the demand for de-occupation, focuses on developing links between communities divided by the conflict and promotion of confidence-building measures. Overall, the Georgian state policy is directed towards establishing conditions designed to restore confidence between the divided communities.

**Kaywords:** Conflict in Abkhazia, Georgia; the Peace Process; Soviet totalitarian regime; The Georgian Government; Moscow; Russian occupation; de-occupation;

**Reviewer:** Professor Zviad Gabisonia, Georgian Technical University

**София Догонадзе**

**Конфликт в Абхазии, Грузия – динамика мирного процесса**

## Резюме

Абхазия одна из автономных республик в составе Грузии. Центральная власть Грузии даже в советские времена делала все от нее зависящее для процветания этого региона и учета национальных особенностей Абхазов и проживающих на этой территории наций и народностей. Для Абхазов, которые не состовляли большинство населения Автономной республики (их насчитывалось всего 17,8 %) создавались все условия для культурного развития и активного участия в политической жизни. Такая же традиция была продолжена и после восстоновления Грузией независимости, более того, абхазы законодательно получили большинство в Верховном Совете автономной республики. Несмотря на усилия Тбилиси, сепаратисты, при поддержке найомников из Северного Кавказа (Российская Федерация) и определенных кругов России развязали братоубийственную войну, что в конечном счете перерасло в нерешенный конфликт между Грузией и сепаратистами из Абхазии.

В статье изложены мероприятия осуществленные международным сообществом, ООН, другими авторитетными организациями и руководством Грузии по мирному урегулировании конфликта. К сожалению эти усилия не принесли должного результата. Подчеркивается, что самым значительным барьером в улегурировании конфликта является истийная а не декларированная позиция Росийсского руководства, которая в конечном счете признала Абхазию независимым государством, тем самым пренебрегла все международные нормы и соглашения по Абхазии, Грузия.

Грузинское руководство по прежднему за мирное разрешение конфликта и выдвинуло не одно конструктивное предложение, о чем говорится в статье.

**Ключевые слова:** Абхазия, Грузия; конфликт; разрешение конфликта; международное сообщество; Верховный Совет АР; Северный кавказ; найомники; международные нормы; динамика мирного процесса.

**Рецензент:** Профессор Звиад Габисония. Грузинский технический университет.

# ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა

ლიანა გედევანიშვილი

## კონსტრუქტივისტული მიდგომის მნიშვნელობა და როლი უცხოური ენების სწავლების პროცესში

სწავლის თეორიებს, რომლებიც სწავლას განსაზღვრავენ, როგორც გამოცდილებიდან ცოდნის აგებას, სწავლის კონსტრუქტივისტული თეორიები ეწოდება. აგრეთვე, ყურადღებას ამახვილებენ სწავლის პროცესის სოციალურ ხასიათზე (თანამედროვე კონსტრუქტივისტული აზროვნება ეფუძნება პიაჟესა და ვიგოტსკის ნაშრომებს). კონსტრუქტივისტული თეორიის მიხედვით:

- მოსწავლემ ცოდნა თვითონ უნდა ააგოს გონებაში;
- მასწავლებელი მხოლოდ ეხმარება ცოდნის აგებაში.

პედაგოგს შეუძლია ასწავლოს გზები, მაგრამ ამ გზის გავლა უკვე მოსწავლის პასუხისმგებლობაა. ვიგოტსკი ხაზს უსვამდა სწავლის სოციალურ ხასიათს. ბავშვები მოზრდილ ადამიანებთან და უფრო კომპეტენტურ თანატოლებთან კომუნიკაციის შედეგად სწავლობენ.

კონსტრუქტივისტულ აზროვნებაში ძალიან მნიშვნელოვანია სკაფოლდინგი, დამხმარე საშუალებებით სწავლება. ტერმინი დაამკვიდრა ვიგოტსკიმ. მასწავლებელი კულტურული აგენტის/დესპანის როლს თამაშობს (ვიგოტსკი).

თავდაპირველად, მასწავლებელმა მნიშვნელოვანი დახმარება უნდა გაუწიოს მოსწავლეს, შემდეგ კი თანდათანობით უნდა შეამციროს მხარდაჭერა და შესაძლებლობა მისცეს ბავშვს, რომ დამოუკიდებლად შეასრულოს დავალება.

აზროვნებისა და მეტყველების შესაძლებლობები უკავშირდება წარმოსახვასა და მეხსიერებას, როგორც შემეცნებით პროცესს. ცხადია, წარმოსახვის ნიმუში ყოველთვის არ არის სინამდვილის ადექვატური, მაგრამ ამა თუ იმ ხარისხით მაინც შეესაბამება, ანუ მიახლოებულია იმ სინამდვილესთან, რასაც იგი ასახავს. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის ადამიანის მიერ გამოკვლეული და შესწავლილი ასახვის ობიექტი. აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ადამიანისაგან განსხვავებით, არსებობს უამრავი ტექნიკური საშუალება, რომელიც ცალსახად და ადექვატურად აღიქვამს ობიექტს, მაგრამ მას არ შეუძლია მის გარშემო არსებული არათვალსაჩინო ინფორმაცია ადამიანის გარეშე დააფიქსიროს. რაც შეეხება მეხსიერების ნიმუშებს (მეხსიერებაში დაფიქსირებული

ობიექტების სახეს), იგი შეესაბამება იმ სინამდვილეს, რომელსაც ასახავს, მეხსიერების ეს სახეებია გამოყენებული მართვის თეორიასა და პრაქტიკაში. კერძოდ, მეცნიერები აგებენ ატომური რეაქციებისა და შესაბამისი პრაქტიკული გამოყენების ლოგიკურ, იმიტაციურ, მათემატიკურ, ალგორითმულ და ა.შ. მოდელებს, რომელთა გათამაშებით კომპიუტერული სისტემური პროგრამები ადგენენ ოპტიმალური პროცესების წარმოების სცენარებს და შემდეგ ახდენენ მათ პრაქტიკულ რეალიზებას.

ასეთივე მიდგომა საჭიროა სასწავლო-შემეცნებითი სისტემების აგებისთვისაც. სასწავლო მასალის სცენარი უნდა წარმოადგენდეს იმ პროცესის ადექვატურ მოდელს, რომლის რეალიზება კონკრეტული შემთხვევისათვისაა საჭირო.

სასწავლო თემატიკის თამაშად წარმოდგენა ავითარებს მოსწავლის შემეცნებით ძალას, სტიმულს აძლევს მისი მოღვაწეობის შემოქმედებით მხარეს, ხსნის დაძაბულობას და დაღლილობას, აღვივებს ინტერესს, ქმნის სწავლისადმი ხელსაყრელ ატმოსფეროს.

თამაშები ან მისი კომპლექსი შეიძლება წარიმართოს, როგორც ერთი მოსწავლის, ასევე ორის და ჯგუფების მონაწილეობითაც. თამაშის შესრულების კონტროლი ხორციელდება სხვადასხვა გზით – ხმოვანი სიგნალით, მოძრავი სტრიქონებით და ა.შ. თამაშის შედეგი ფიქსირდება ქულებით, ნიშნებით, წახალისებებით, მუსიკალური ან მხატვრული ნაწარმოებების ფრაგმენტებით, მულტიპლიკაციური ელემენტებით და სხვა.

პიაჟეს შემეცნებითი თეორიისათვის ამოსავალია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ განვითარების პროცესში ბავშვი უბრალოდ კი არ რეაგირებს გარემოს ზეგავლენაზე, არამედ გარემოსთან შეგუების პროცესში აქტიურად მოქმედებს, იძენს ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. ბავშვის მიერ სამყაროს შემეცნება ვითარდება არა მხოლოდ ცოდნის დაგროვებით, არამედ შემეცნების პროცესითაც.

ბავშვის მიერ აღქმული სამყარო განსხვავდება მოზრდილის მიერ აღქმული სამყაროსაგან. პიაჟეს მიხედვით, ინფორმაციის გადამუშავება შემეცნებითი სტრუქტურების – სქემების საშუალებით ხდება, რომლებიც არის ინფორმაციის მიღების, შენახვის და გარდაქმნის შინაგანად არსებული ჩარჩოები. სქემები იცვლება მოზარდის განვითარებასთან და ცოდნის დაგროვებასთან ერთად. თუ ბავშვის მიერ მიღებული ინფორმაცია შეესაბამება მის შემეცნებით სტრუქტურებს (სქემებს), მაშინ ხდება ამ ინფორმაციის გაგება ანუ ასიმილაცია. თუ ინფორმაცია არ შეესაბამება სქემებს, მაშინ ინფორმაციის გაგება ვერ ხერხდება. იმ შემთხვევაში, თუ შემეცნებითი სტრუქტურა მომწიფებულია შესაცვლელად, მაშინ იგი

გადაეწყობა ახალი ინფორმაციის შესაბამისად, ანუ განხორციელდება აკომოდაცია. ამგვარად, არის ახალი გამოცდილების გააზრება არსებულ შემეცნებით სტრუქტურებზე დაყრდნობით.

ასიმილაციის და აკომოდაციის ურთიერთქმედება თვალსაჩინოს ხდის შემეცნების კონსტრუქტივისტული მიდგომის სისწორეს. კერძოდ, ყოველი ბავშვი ერთსა და იმავე ინფორმაციაზე სხვადასხვაგვარად რეაგირებს, რადგან განსხვავებულ შემეცნებით სტრუქტურაში კრავს ინფორმაციას. ამას პიაჟე უწოდებს ბავშვის მიერ სამყაროს შესახებ ცოდნის აგებას – კონსტრუქციას.

ასიმილაციის, აკომოდაციის და კონსტრუქციის პროცესი დაბადებიდან ცხოვრების ბოლომდე გრძელდება. ყოველი ახალი კონსტრუქცია შემეცნებით სისტემას უფრო მოქნილსა და ძლიერს ხდის. შემეცნებითი აზროვნების განვითარების შესაბამისად ბავშვებს უნდა მივაწოდოთ რეალური სამყაროს აღქმის შესაბამისი საშუალებები.

შემეცნებითი აზროვნების განვითარება ხდება ისეთი სავარჯიშოების ან სიტუაციების საშუალებით, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვების აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში და მოითხოვენ ადაპტაციას (ასიმილაცია, აკომოდაცია). სასწავლო მასალები და სავარჯიშოები უნდა მოიცავდნენ მხოლოდ ისეთ გონებრივ ოპერაციებს, რომლებიც სჭირდებათ ბავშვებს შემეცნებითი აზროვნების განვითარების გარკვეულ ეტაპზე.

ვიგოტსკი მოსწავლეებს მარტოხელა მეცნიერებს უწოდებდა. იგი ფიქრობდა, რომ მოსწავლე არის პატარა შეგირდი, რომელსაც მასწავლებელი ან/და სხვა მოზრდილი ეხამრება გამოცდილებების მიღებაში. ვიგოტსკის თეორია არის იმის დამტკიცების მცდელობა, რომ შემეცნება – ესაა სოციალიზაციის ანუ საზოგადოებრივი ურთიერთობის პროდუქტი. მაგალითად: რომელიმე ენის სწავლებისას ჩვენ ენას ვიყენებთ, როგორც საკომუნიკაციო საშუალებას, ანუ ვცდილობთ მისი საშუალებით დავამყაროთ ურთიერთობა სხვებთან. მხოლოდ ენის სრულყოფილი შესწავლის შემდეგაა შესაძლებელი მისი, როგორც „შინაგანი მონოლოგის“ საშუალებად გამოყენება.

ვიგოტსკი საუბრობს განვითარების უახლოეს და აქტუალურ ზონებზე. განვითარების აქტუალური ზონა არის ის ზონა, რომელშიც იმყოფება მოსწავლე სწავლის მომენტში, ხოლო უახლოესი ზონა არის ის, რომელსაც ადვილად მიაღწევს იგი, თუ მისი სასწავლო პროცესი სწორად იქნება აგებული. მასწავლებელი სწავლების პროცესში აქცენტს უნდა აკეთებდეს სწორედ განვითარების უახლოეს ზონაზე. ეს კი შესაძლებელია მოსწავლის

მიერ პრობლემების გადაწყვეტით სხვებთან (მასწავლებელი, თანატოლი, მშობელი) ურთიერთობის პროცესში. მოსწავლის მიმართ ასეთ დახმარებას შეიძლება სხვადასხვა ფორმა ჰქონდეს.

შემეცნებითი აზროვნება განვითარების ეტაპების მიხედვით ცვლილებას ანუ ევოლუციას განიცდის.

ჩვენი აზრით, საჭიროა ობიექტურად შეფასდეს სასწავლო-შემეცნებითი სისტემების ფუნქციური შესაძლებლობები, შეფასდეს როგორც ნეგატიური ზემოქმედება, ასევე პოზიტიური დიდაქტიკური შესაძლებლობები, რის საფუძველზეც დამუშავდება სასწავლო-შემეცნებითი სისტემების სამომავლო მეთოდიკა და პრაქტიკული რეალიზების მიმართულებები.

**ლიტერატურა**
**References:**


1. Великанова А.В. Компетентностно-ориентированный подход к образованию: образовательные технологии. Вып. 2 – Самара, изв-во Профи, 2002, 92 стр.
2. Выготский Л.С. Проблемы возрастной периодизации детского развития// Вопросы психологии. 1972, №2, с. 114-123.
3. Пиаже Ж. Речь и мышление ребенка – М., 1994, 448 стр.
4. Рубинштейн С.Л. «Основы общей психологии», 1940, 133 стр.
5. Vygotsky L.S. Mind in Society: The development of higher psychological processes. Cambridge, MA: Harvard University Press. 1978, 159 pp.


**Liana Gedevanishvili**

**The significance and role of constructivistic approach in the course of foreign languages study**

## Summary

The offered paper deals with the significance of constructivistic approach in the course of foreign languages' study. Constructivism is the pedagogique philosophy, that foresees the acquiring of knowledge and its creation by the student him/herself, while the teacher helps him to build knowledge and teaches the ways, and the student is responsible for their passing.

Scientific significance of constructivism is based on continuous process of designing and reorganization.

Information processing by the student is carried out by means of cognitive structures that are changing along with knowledge accumulation. Cognition is the product of socialization or interrelation with the society.

In our opinion it is necessary to objectively estimate the functional capabilities of education-cognitive systems, to compare both negative impact and positive didactical capabilities, on the basis of which the future methodology of education-cognitive systems and the directions of their implementation in practice will be elaborated.

**Keywords**: constructivistic theories, education-cognitive theory, cognitive structures, assimilation, accommodation.

**Reviewer**: Professor Rusudan Gotsiridze, Georgian Technical University

**Лиана Гедеванишвили**

**Значение и роль конструктивистского подхода в процессе изучения иностранных языков**

**Резюме**

В предложенной статье речь идет о значении конструктивистского подхода в процессе изучения иностранных языков. Конструктивизм – педагогическая философия, которая предусматривает постижение знания и его создание самим учащимся, тогда как преподаватель помогает в построении знания и обучает путям, за прохождение которых ответственен уже учащийся.

Научное значение конструктивизма основано на непрерывном процессе конструирования и реорганизации.

Переработка информации учащимся осуществляется с помощью познавательных структур, которые изменяются по мере накопления знания. Познание – продукт социализации или взаимоотношений с обществом.

По нашему мнению, необходимо объективно оценить функциональные возможности учебно-познавательных систем, сравнить как негативное влияние, так и позитивные дидактические возможности, на основе чего будет разработана будущая методика учебно-познавательных систем и направления практической реализации.

**Ключевые слова**: конструктивистские теории, учебно-познавательная теория, познавательные структуры, ассимиляция, аккомодация

**Рецензент:** профессор Русудан Гоциридзе. Грузинский технический университет

ლელი ბიბილაშვილი,
## ბრენდი, სამომხმარებლო ქცევა და პრეფერენციები

სხვადასხვა პროდუქტის კატეგორიის ფარგლებში სხვადასხვა ფაქტორების გათვალსიწინებით ხდება ბრენდების შერჩევა. იმის იდენტიფიციებისვის თუ რა ფაქტორების განაპირობებს საქართველოს ბაზარზე მომხმარებელთა ქცევეას და როგორია მათი პრეფერენციები ჩატარდა თვისებრივი კვლევა. თვისებრივი კვლევის ფარგლებში მოხდა მტკნარი წყლის მომხმარებლების ქცევისა და პრეფერენციების შესწავლა. ქვემოთ წარმოდგენილია სამომხმარებლო ქცევისა და პრეფერენციების ანალიზი.

### ჩამოსასხმელი მტკნარი წყლისმ ოხმარების მოტივები

ჩამოსასხმელი მტკნარი წყლის მოხმარების მოტივები პირობითად სამ კატეგორიაში შეიძლება გაერთიანდეს: (1) ფიზიოლოგიური, (2) რაციონალური და (3) ემოციური.

თვისებრივი კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მტკნარი წყლის მოხმარება, ერთის მხრივ, წმინდა ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებაა, რომელთაც მომხმარებლები რაციონალურ არგუმენტაციას უსადაგებენ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მტკნარი წყლის მოხმარება ემოციურ სარგებელის მიღებასთანაცაა დაკავშირებული.

ფიზიოლოგიური და რაციონალური მოტივები შეიძლება ერთ ჯგუფში გაერთიანდეს, რადგან კვლევის მონაწილეები რაციონალური არგუმენტებით ხსნიან წყლის მოხმარების ისეთ მოტივებს, რომელთა დაკმაყოფილება ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას წარმოადგენს. თვისებრივი კვლევის შედეგად გამოიკვეთა მტკნარი წყლის მოხმარების მრავალფეროვანი ფიზიოლოგიური/რაციონალური მოტივები.

- **წყურვილის მოკვლა/გაგრილება** - კვლევის მონაწილეების მიერ მტკნარი წყლის მოხმარების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოტივად წყურვილის მოკვლა და გაგრილება სახელდება. აღნიშნული მოტივი საბაზისო ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებების რიცხვს მიეკუთვნება. წყურვილის მოკვლის მიზნით მტკნარი წყლის მოხმარება ახლოს დგას გაგრილების შეგრძნებასთან. ხშირ შემთხვევაში, მომხმარებლები ამ ორ მოტივს ერთმანეთთან კავშირში განიხილავენ.

- **ორგანიზმში წყლის ბალანსის აღდგენა / ორგანიზმის დაცვა გადახურებისგან** - მტკნარი წყლის მოხმარების საკმაოდ მნიშვნელოვან მოტივად სახელდება ორგანიზმში წყლის ბალანსის

აღდგენა, რაც ზაფხულში ორგანიზმის გადახურებისგან დაცვის აუცილებელ პირობად განიხილება.

- **დაკარგული ენერგიის აღდგენა** - მტკნარი წყლის მოხმარება ენერგიის შევსების, ძალების აღდგენის საუკეთესო საშუალებაა. შეგრძნების დონეზე ენერგიის მიღებას უკავშირდება ასევე წყურვილის დაკმაყოფილება და გაგრილება. მტკნარი წყლის აქტიური მომხმარებლების აზრით, სიცხეში მტკნარი წყლის მიღება სიმხნევეს მატებს ორგანიზმს და ადამიანს უფრო სიცოცხლისუნარიანს ხდის.

- **კანის სიჯანსაღის შენარჩუნება** - მტკნარი წყლის მოხმარება კანის ტენიანობის შენარჩუნებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვნად მიიჩნევა. აღნიშნული მოტივით წყლის მოხმარება განსაკუთრებით ქალბატონებისთვისაა აქტუალური. მომხმარებელი ქალბატონების აზრით, მტკნარი წყლის სისტმატიური მოხმარება კანის სილამაზის შენარჩუნების წინაპირობაა.

- **ნივთიერებათა ცვლის ხელშეწყობა/საჭმლის უკეთესი მონელება** - მიიჩნევა, რომ მტკნარი წყლის მოხმარება ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას. ამიტომ მტკნარი წყალი ჭარბი რაოდენობით მოიხმარება დიეტის დროს. დიეტის დროს მტკნარი წყლის მოხმარების კიდევ ერთი მოტივი შიმშილის გრძნობის დაქვეითებაა.

- **ზოგადი ჯანმრთელობის ხელშეწყობა** - აღსანიშნავია, რომმტკნარი წყლის მოხმარება ხშირად ხდება არა ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, არამედ გამიზნულადაც. მომხმარებლები, იმ მოტივით, რომ მტკნარი წყალი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა, წყალს წყურვილის გრძნობის არქონის შემთხვევაშიც იღებენ. ზოგადი ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით ასევე რიგ შემთხვევაში მტკნარი წყლის მოხმარება უზმოზე ხდება.

რაც შეეხება მტკნარი წყლის მოხმარების **ემოციურ მოტივებს,** შეიძლება ითქვას, რომ მომხმარებლები წყლის მოხმარებას აკავშირებენ ისეთ პოზიტიურ განწყობებთან, როგორებიცაა, სიამოვნების მიღება, სიხალისე, სტრესის, ნერვიულობის მოხსნა / განტვირთვა;ასევე მიიჩნევა, რომ მტკნარი წყლის მოხმარება პოზიტიურად აისახება ადამიანის გონებრივ საქმიანობაზეც. მტკნარი წყალი აფხიზლებს ორგანიზმს და უფრო პროდუქტიულს ხდის ადამიანს.

აღსანიშნავია, რომ კონკრეტულად ბოთლის წყლის მოხმარება როგორც რაციონალურ, ისე ემოციურ დონეზე უსაფრთხოების განცდას უკავშირდება. ჩამოსასხმელი მტკნარი წყლის

მომხმარებლებს დაცულობის განცდა აქვთ, როდესაც ონკანის წყალს ბოთლის წყლის მოხმარებით ანაცვლებენ. ზოგადად, თვისებრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, მტკნარი წყლის მოხმარების მოტივები შეიძლება რამოდენიმე მსხვილ ჯგუფად გაერთიანდეს, რომელნიც რეალურად სამომხმარებლო ღირებულებებს ასახავენ და პროდუქტის კონცეფციის საყრდენ ღერძებად შეიძლება იყოს გამოყენებული.

თვისებრივი კვლევის შედეგად გამოვლინდა მტკნარი წყლის მოხმარების შემდეგი მოტივაციურ-ღირებულებითი ხაზები/მიმართულებები: მტკნარი წყლის მოხმარება ახალგაზრდობის შენარჩუნების მიზნით; მტკნარი წყლის მოხმარება ენერგიის აღდგენის მიზნით; მტკნარი წყლის მოხმარება სილამაზის შენარჩუნების მიზნით; მტკნარი წყლის მოხმარება ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით;

მართალია, აღნიშნული სამომხმარებლო-ღირებულებები მიმართულებები ერთმანეთს არ გამორიცხავენ და რიგ შემთხვევაში კვეთენ ერთმანეთს, თუმცა რომელიმე მათგანის აქცენტირება პროდუქტის კონცეფციაში პროდუქტისთვის ბაზარზე გამორჩეული ნიშის შექმნის საშუალება შეიძლება იყოს.

**ჩამოსასხმელი მტკნარი წყლის მოხმარების სიტუაციები**

თვისებრივი კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მტკნარი ბოთლის წყლის მოხმარების სიტუაციები საკმაოდ მრავალფეროვანია.

ფოკუსურ ჯგუფებზე გამოიკვეთა მტკნარი წყლის მოხმარების შემდეგი სიტუაციები:

- საკვების მიღების დროს;
- ფიზიკური დატვირთვის/ვარჯიშის დროს;
- ფიზიკური დატვირთვის/ვარჯიშის შემდეგ;
- წამლის დალევის დროს;
- ქუჩაში (განსაკუთრებით ინტენსიურად ზაფხულის პერიოდში);
- შეხვედრაზე/პრეზენტაციაზე;
- მეცადინეობის დროს;
- ყავის ან ჩაის მომზადების დროს;
- მგზავრობისას;
- სკოლაში/უნივერსიტეტში;
- მზეზე ყოფნის დროს (აუზზე, ზღვის სანაპიროზე);
- ალკოჰოლის მიღების დროს;
- ალკოჰოლის მიღების შემდეგ;

### წყლის ბრენდის შერჩევა

თვისებრივი კვლევის შედეგების ანალიზმა გამოავლინა, რომ ჩამოსასხმელი მტკნარი წყლის ბრენდის შერჩევის კრიტერიუმები თანხვედრაში მოდის ხარისხიანი მტკნარი წყლის განმსაზღვრელ კრიტერიუმებთან. ქვემოთ განხილულია ჩამოსასხმელი მტკნარი წყლის ბრენდების ის მახასიათებლები, რომელთა მიხედვითაც მომხმარებლები ამა თუ იმ ბრენდზე აჩერებენ არჩევანს.

### წყლის წარმოშობის ადგილი

ამა თუ იმ ბრენდის შერჩევის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კრიტერიუმს მტკნარი წყლის წარმოშობის ადგილი წარმოადგენს. აღნიშნული კრიტერიუმი ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ლოკაციის მიხედვით მომხმარებლებს შეუძლიათ იმსჯელონ წყლის ხარისხზე. მეორეს მხრივ, კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ მომხმარებლებს კონკრეტულ ლოკაციებთან ემოციური კავშირიც შეიძლება იყოს ამა თუ იმ ბრენდის შერჩევის მიზეზი.

### ქართული წყალი

მომხმარებლების გარკვეული ნაწილი ამჯობინებს ქართული წყალი შეიძინოს, რასაც რაციონალური არგუმენტების გარდა, პატრიოტული მოტივები უდევს საფუძვლად. მიიჩნევა, რომ საქართველო განთქმულია მტკნარი წყლების უხვი მარაგით და ზოგადად, მტკნარი წყლის მაღალი ხარისხით. ამავე დროს, ქართული წარმოების მტკნარი წყლის შეძენა და ამ გზით ქართული პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობა გარკვეულწილად ქართველების ”მოვალეობადაც” განიხილება.

### გემო

კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ამა თუ იმ ჩამოსასხმელი მტკნარი წყლის ბრენდის მოხმარება მისი მისაღები გემური თვისებებითაა განპირობებული.

### რეკლამა

ამა თუ იმ მტკნარი წყლის ბრენდის შერჩევის მოტივატორად რიგ შემთხვევაში ბრენდის საკომუნიკაციო აქტივობები სახელდება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პარამეტრი ყველაზე გამოკვეთილად დაფიქსირდა „ბონაქვას“ შემთხვევაში, რომელიც ყველაზე განსხვავებული საიმიჯო მახასიათებლებით გამოირჩევა ბაზარზე. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ”ბონაქვას” საკომუნიკაციო აქტივობებს გარკვეულწილად აქვს გავლენა მომხმარებელთა აღქმაში ბრენდის იმიჯის ფორმირებაზე და შესაბამისად, სამომხმარებლო ქცევაზეც.

**შეფუთვა**

ზოგიერთი ბრენდის შერჩევის მიზეზად მისი შეფუთვა დასახელდა. განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდა სპორტულ თავსახურზე, რომელიც განსაზღვრულ სიტუაციებში (მაგალითად, ვარჯიშის დროს) საკმაოდ კომფორტულად განიხილება. რიგ შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღება ბრენდის შერჩევისას ბოთლის ვიზუალური მიმზიდველობის გამოც ხდება.

**მწარმოებელი/კომპანიის მიმართ ნდობა**

მტკნარი წყლის ბრენდის შერჩევა ასევე შეიძლება მოხდეს მწარმოებელი კომპანიის გამოცდილების და რეპუტაციის გათვალისწინებით. ასე მაგალითად, ”ბორჯომის წყაროების” მომხმარებლებზე საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს კომპანია ”ბორჯომის” ბაზარზე არსებობის ხანგრძლივი პერიოდი და მისი საქმიანობის წარმატებულობა.

**რეკომენდაცია**

რიგ შემთხვევაში, მტკნარი წყლის ბრენდის შერჩევა ხდება არა სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით (მაგალითად, პროდუქტის მახასიათებლების მოწონება), არამედ რეფერენტული ტიპის რეკომენდაციის გავლენით. მსგავს პიროვნებებად სახელდება მეგობარი, ახლობელი, ზოგიერთ შემთხვევაში კი ექიმი.

სამომხმარებლო ქცევის ანალიზი პროდუქტში ჩართულობის პერსპექტივაში ჩამოსასხმელი მტკნარი წყლის სამომხმარებლო ქცევა შეიძლება გაანალიზდეს პროდუქტში ჩართულობის ხარისხის მიხედვით.

პროდუქტში ჩართულობა მულტიდიმენსიური კონსტრუქტია და სამომხმარებლო ქცევის კვლევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

განსხვავებულია მომხმარებელთა ქცევა მაღალი პროდუქტში ჩართულობის (High Product Involvement) და დაბალი პროდუქტში ჩართულობის შემთხვევაში (Low Product Involvement).

მაღალი პროდუქტში ჩართულობის შემთხვევაში: 1. მომხმარებელი დიდი სიფრთხილით აანალიზებს პროდუქტზე არსებულ ინფორმაციას; 2. მომხმარებელი დიდხანს ფიქრობს პროდუქტის ყიდვაზე, რადგან არასწორი პროდუქტის ყიდვის რისკი მაღალია; 3. მომხმარებლისთვის მისაღები ბრენდების რაოდენობა შეზღუდულია / მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ბრენდებია მისაღები;

დაბალი პროდუქტში ჩართულობის შემთხვევაში:

1. მომხმარებლის ყიდვის ქცევა ხშირად გარემო იმპულსებზე რეაქციაა; 2. მომხმარებელი დიდ დროს არ კარგავს

პროდუქტის შერჩევისას; 3. მომხმარებლისთვის მისაღებია ბრენდების დიდი რაოდენობა;

პროდუქტში ჩართულობის ხარისხის შეფასება შეიძლება მოხდეს 4 განზომილების მიხედვით: 1. პროდუქტის კატეგორიის მნიშვნელოვნება, 2. ინტერესი პროდუქტის მიმართ, 3. არასწორი პროდუქტის ყიდვის რისკი და 4. პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მოტივაცია.

ზოგადად, ჩამოსასხმელი მტკნარი წყლის სამომხმარებლო ქცევისა და პრეფერენციების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მტკნარი წყლის შემთხვევაში პროდუქტში ჩართულობის ხარისხი საკმაოდ დაბალია. ბოთლის მტკნარი წყალი, როგორც პროდუქტი, დაბალი პროდუქტში ჩართულობის (Low Product Involvement) კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ.

თუ მტკნარი წყლის ყიდვის ქცევას პროდუქტში ჩართულობის 4 განზომილების მიხედვით შევაფასებს, დავინახავთ, რომ 1. ზოგადად, მტკნარი წყლის კატეგორია, სამომხმარებლო თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად განიხილება, თუმცა 2. ინტერესი პროდუქტის სხვადასხვა ბრენდების მიმართ არც თუ ისე მაღალია. 3. ბაზარზე ბრენდების არადიფერენცირებული იმიჯების და წარმოდგენილი პროდუქტების მსგავსების გამო (რასაც ბაზარზე არსებული ბრენდების იმიჯების ანალიზიც აჩვენებს, მომხმარებელს არ აქვს განცდა, რომ ამა თუ იმ ბრენდის არჩევისას არასწორი პროდუქტი შეიძლება შეარჩიოს. ასევე დაბალია 4. პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მოძიების მოტივაცია - მტკნარი წყლის მომხმარებლები დიდ ინტერესს არ გამოხატავენ პროდუქტის შემადგენლობის მიმართ. ბრენდის/პროდუქტის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მოძიება არ განიხილება საჭიროდ ჩამოსასხმელი მტკნარი წყლის შერჩევისას.

ზოგადად, დაბალი ჩართულობის პროდუქტების შემთხვევაში, მაშინ როდესაც მომხმარებელი დიდ ყურადღებას არ ამახვილებს პროდუქტის მახასიათებლებზე და არც დიდ დროს არ კარგავს პროდუქტის შერჩევისას, უფრო ეფექტიანია მომხმარებლის ყურადღების მიქცევა პროდუქტის განსაკუთრებული პრეზენტაციით, იმისთვის რომ მოხდეს მომხმარებლის ყურადღების მიქცევა (იქიდან გამომდინარე, რომ იგი თავისი ინიციატივით არ ხარჯავს დროს პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მოძიებაზე). ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ არის საჭირო მომხმარებელს მიეწოდოს ინფორმაცია პროდუქტის შესახებ. პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანია, თუმცა, მხოლოდ ეს ინფორმაცია ვერ გახდება

ყიდვის ქცევის დრაივერი და შესაბამისად, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ პროდუქტი მომხმარებლისთვის მიმზიდველი გახდეს.

**ლიტერატურა**
**References:**

1. Випперфюрт, А. (2008) Вовлечение в Бренд. Как заставить покупателя работать на компанию,Россия, Питер; Коммерсантъ
2. Кон, А.(1999)Социологическая Психология.Россия, Москва; Воронеж 1999
3. Ляпоров, В. (2008)100% брэнд: как продавать счастье.Россия, Питер; Питер
4. Лебедев-Любимов А. (2004) Психология Рекламы. Россия, Москва, «Питер»
5. Майерс, Д. (2002) Социальная Психология. Россия, Москва, «Питер»
6. Раис,Л. (2004 )„22 Закона Создания Брэнда“. Россия, Москва; Москва
7. Теилор, Ш. Пипло Л. Сирс Д. (2002) Социальная Психология. Россия, Москва, «Питер»
8. Тульчинский, Г. (2006)Бренд-Интегрированный Менеджмент.Россия, Москва; Вершина
9. Kapferer, Jean-Noel. (2007) The New Strategic Brand Management. UK, London, London and Sterling Kogan Page
10. Keller, K. (2008) Strategic Brand Management. USA, New Jersey; Pearson, Prentice Hall
11. Mark, M. (2005) The Hero and the Outlaw- Building Extraordinary Brands through the Power of Archetypes. USA, NY; MCGRAW HILL
12. Peters, T. (2001) The Brand You 50. USA, NY; MCGRAW HILL
13. Ramos, V. Jaccard, James, D. Gonzalez, P. (2000) Unified Theory of Behavior. Upper Saddle River, New Jersey; Pearson, Prentice Hall
14. Stacks W. Don (2002) Primer of Public Relations Research. New York, The Guilford Press
15. Vivian, J. (2005) The Media of Mass Communications. Boston,USA: Allyn and Bacon
16. Wheeler, A. (2007) Designing Brand Identity. USA, NY; John Wiley & Sons, Inc

**Leli Bibilashvili**
**Brand, Customer Behaviour and Preferences**

**Summary**

Qualitative research shows that consumption of fresh water, on the one hand, is physiological way to accommodate the needs of consumers, on the other hand it is underlined as well by rational reasoning and it should be noted that the consumption of fresh water frequently is the source of the emotional benefits. The survey revealed that consumers are sensitive to the selection of the brand, namely during the brand selection they consider following:

- Fresh water consumption in order to maintain the youth;
- To restore the energy;
- Fresh water consumption in order to maintain the beauty;
- Fresh water consumption in order to maintain healthю

In addition consumers outlined situation when fresh water consumption has frequent character:

Still water consumption revealed the following situations:

- Food-making process;
- Physical activity / exercise time;
- The medicine;
- On the street (especially intensively during the summer);
- Meeting / presentation;
- During studying;
- Coffee or tea at the time of preparation;
- Transport;
- School / university;
- When hot (at the pool, the beach);
- Drinking alcohol at the time;
- After drinking alcohol.

However, the abovementioned data gives an opportunity and a ready blueprint for determining a verbal and visual messages and thus for achieving relevant consumer behavior at the same time.

**Keywords:** Brand, brand selection preferences, customer behavior, product Involvement, motive.

**Reviewer**: Professor Maia Kavtarashvili, University of Georgia

**Лели Бибилашвили**
**Бренд поведение и предпочтения клиентов**

**Резюме**

Исследования показывают, что потребление воды, с одной стороны, является физиологическим способом удовлетворения потребностей потребителей, с другой стороны, а также подразумывает рациональными рассуждения, и следует отметить, что потребление воды часто является источником эмоциональных преимуществ. Исследование показало, что потребители чувствительны к выбору бренда, а именно во время выбора бренда они принимают во внимание следующее:

- потребление свежей воды, чтобы сохранить молодость;
- для восстановления энергии;
- потребление свежей воды для того, чтобы сохранить красоту;
- потребление свежей воды для поддержания здоровья;
- Кроме того, потребители, изложенные ситуации, когда потребление свежей воды часто имеет характер:

Тем не менее потребление воды выявлены следующие ситуации:

- В процессе принятия еды;
- Физическая активность / время упражнений;
- Медицина;
- На улице (особенно интенсивно в летний период);
- Конференц-зал / презентации;
- Во время учебы;
- Кофе или чай во время подготовки;
- Транспорт;
- Школа / университет;
- У бассейна, на пляже;
- Во время употребление алкоголя;
- После употребления алкоголя.

Тем не менее, приведенные выше данные, дает возможность для определения вербальных и визуальных сообщений и, следовательно, для достижения соответствующего поведения потребителей в то же время.

**Ключевые слова:** Бренд, преференции выбора бренда, поведение потребителя, вовлеченность в продукте, мотив.

**Рецензент:** профессор Майя Кавтарашвили, Университет Грузии

დარიკო ხვედელიძე

# საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის როლი განათლების რეფორმის პროცესში

ქართულ სინამდვილეში მომხდარმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა მთელი რიგი სხვა ცვლილებებიც მოითხოვა, მათ შორის განათლების სისტემის რეფორმაც;

განათლების სისტემის რეორგანიზაცია და მისი ძირეული გარდაქმნის აუცილებლობა დღის წესრიგში ჯერ კიდევ საბჭოური ცხოვრების პერიოდიდან დადგა. როგორც დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, საზოგადოების განვითარების საბჭოურმა, „დამამუხრუჭებელმა მექანიზმმა" „სკოლაც დააჩლუნგა" და სიახლეების გრძნობაც დაუჩლუნგა, „რაც განსაკუთრებით გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან უფრო თვალშისაცემი გახდა (4-8) .

ყოველი რეფორმა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, საზოგადოებისთვის მტკივნეული პროცესია, მისგან გამომდინარე ეკონომიკური დანაკარგებით. გამონაკლისი არც განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებია. ყველას გვახსოვს საზოგადოების მხრიდან რა მღელვარება და მითქმა-მოთქმა მოჰყვა მას. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებით არაეფექტური სარგებლობა უნდა ყოფილიყო.

მაგ: ვფიქრობთ, რომ ისეთი ღონისძიებების უმტკივნეულოდ მიღება, როგორიც საქართველოს სკოლებში მანდატურების სამსახურის შემოღება, ინგლისურენოვანი პედაგოგების მოწვევა და პედაგოგთა სასერთიფიკაციო გამოცდებია, საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურების ეფექტური ფუნქციონირებით იყო შესაძლებელი და რაც რეფორმის შემდგომი ღონისძიებების გატარებისასაც გასათვალისწინებლად მიგვაჩნია.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ერთ-ერთი ფუნქციაა ძველი სტერეოტიპების - ადამიანის ცნობიერებაში გაბატონებული შეხედულებების და წარმოდგენების ახალი, თანამედროვეობის მოთხოვნებით ნაკარნახევი შეხედულებებით შეცვლაა.

შესაბამისად, სანამ რეფორმით გათვალისწინებული ღონისძიება ამოქმედდება, მანამ, საზოგადოების იმ ნაწილის ინფორმირება მაინც უნდა მოხდეს, ვინც ამ სფეროთი უშუალოდაა დაინტერესებული (ჩვენს შემთხვევაში განათლების სისტემის მუშაკები, მოსწავლეთა მშობლები).

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა, რეფორმით გათვალისწინებული ყოველი კონკრეტული ღონისძიებების დადებითი მხარეების წინ წამოწევით, მისადმი ლოიალურად უნდა განაწყოს

საზოგადოება, არც მისი უარყოფითი მხარე უნდა დამალოს, რათა მიწოდებულმა ინფორმაციამ ნდობა მოიპოვოს და სიახლის დანერგვას, თუ სასურველს არა, მისაღებს მაინც გახდის. საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის საჭიროებას განათლების სისტემაში ამ დარგის სპეციალისტებიც მიუთითებენ (4.30).

საზოგადოებრივი აზრის მიმართ ანგარიშის გაწევის ასეთი საჭიროება მხოლოდ დემოკრატიული საზოგადოების დაკვეთა როდია. მას, როგორც ფსიქოლოგიური გამოკვლევები ადასტურებს, მაღალი ეკონომიკური ეფექტიც ახლავს. ამის გამო საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური (რასაც „საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელოვნებასაც" უწოდებენ) სახელმწიფო და კერძო ორგანიზაცია-დაწესებულებებიდან დაწყებული ცალკეული პიროვნებით დამთავრებული, ყველასათვის საჭიროა.

რეფორმით გათვალისწინებულ ერთ-ერთი „მტკივნეული საკითხი" იყო სკოლებში მანდატურების სამსახურების შემოღება; საზოგადოების დიდი ნაწილისთვის სიტყვა „მანდატურიც" და მისი ფუნქციაც გაუგებარი იყო; მცირე ნაწილისთვის მხოლოდ ის იყო ცნობილი, რაც ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაშია მოცემული – „მანდატურთუხუცესი, ფეოდალურ საქართველოში, ი. ჯავახიშვილის აზრით, ზოგიერთი ფუნქციით ბიზანტიური „რომის ლიგოთეტს" ანუ სახელმწიფო ფოსტისა და მიმოსვლის უფროსს მიაგავდა და იგი დიქტატურის, კონტროლის, მაიძულებელი რგოლის ფუნქციებთან ასოცირდებოდა"; საფიქრებელია, რომ ამის გამო განიცადა სკოლის ცხოვრებით დაინტერესებულმა საზოგადოებამ ამ სამსახურის შემოღება მტკივნეულად. ამიტომ ვფიქრობთ, რომ განათლების რეფორმით გათვალისწინებული ეს სიახლე საზოგადოებრივი ურთირთობების სამსახურების განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებდა და შესაბამის ღონისძიებებს საჭიროებდა.

ამ სიახლის დანერგვა ნაკლებ მტკივნეული იქნებოდა საზოგადოებისათვის მანდატურთ-სამსახურების შესახებ მიღებული დებულება თავის დროზე (სიახლის შემოღებამდე) რომ გაეცნოთ დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ მანდატურის სამსახურის შემოღებას სწავლებისათვის ხელშეწყობის ფუნქცია ეკისრება, რომ მან აღმოფხვრა მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ გაკვეთილების მასიური გაცდენები, დაგვიანებები, მოსწავლეთა შორის ძალადობის შემთხვევები, ვნაბათაღელვა დაცხრა და მანდატურები სკოლის ორგანული ნაწილი გახდა. საზოგადოებამ წინასწარ არც ის იცოდა მანდატურების მიერ მოვალეობების შეუსრულებლობის ან მათ მიერ დებულებით გათვალისწინებული

უფლებების გადაჭარბების შემთხვევაში პასუხისმგებლობა მანდატურთსამსახურის უფროსებს რომ ეკისრებოდათ.

ყოველივე ეს საზოგადოებისათვის წინასწარვე ცნობილი რომ ყოფილიყო მრავალ გაუგებრობას ავიცილებდით თავიდან.

ვფიქრობთ, რომ ამ სამსახურების შემოღებამდე საჭირო იყო ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებით დაინტერესებულ პუბლიკასთან შეხვედრები და მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება, რაც ხელს შეუწყობდა საზოგადოების მიერ რეფორმით გათვალისწინებული ღონისძიებების უმტკივნეულოდ მიღებას, ძველი სტერეოტიპების რღვევას და მისი უფრო მეტი წარმატებით ფუნქციონირებას.

თავის დროზე ასევე დიდი მითქმა-მოთქმისა და განსჯის საგანი გახდა საქართველოში ინგლისურენოვანი მასწავლებლების ჩამოყვანაც, ასევე ინფორმაციის ნაკლებობის გამო. არადა პროგრამა – „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად" სკოლაში ინგლისური ენის სწავლებას და ადგილობრივი კვალიფიციური კადრების მომზადებას ითვალისწინებს, რისი წინააღმდეგიც დღეს აღარავინაა. თავდაპირველად ამ ინიციატივას პრეზიდენტის მაღალი შეფასების მიუხედავად, საზოგადოებაში განგაში და აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა; საზოგადოებას ეჭვი გაუჩნდა – სკოლიდან ქართველი უცხოენის მასწავლებლების განდევნა მოჰყვებაო. თუმცა, ფაქტიურად, ინგლისურენოვანი მასწავლებლების ეტაპობრივად ჩამოსვლას საქართველოში, ადგილობრივ კადრებთან, მოსწავლეებსა, მათ მშობლებსა და საზოგადოებასთან მშვიდობიანი თანამშრომლობა მოჰყვა.

პედაგოგთა სერთიფიცირების საკითხს ხომ „მეორედ მოსვლის ეფექტი" ჰქონდა. აქ ისევ „რეფორმის შიშის სინდრომი" ამოქმედდა, რამაც, როგორც წესი, ჭორების აგორება გამოიწვია და რაც ინფორმაციის დეფიციტს ყოველთვის ახლავს.

მაშასადამე განათლების (არა მარტო განათლების) რეფორმისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზი, უმეტეს შემთხვევაში საქმის არსში გაუთვითცნობიერებული ადამიანების სიახლეებისადმი შიშია. მას შემდეგ, რაც მისი მიზეზები, მიზნები და შედეგები გაირკვევა, ემოციები ცხრება და პროცესი ნორმალურ მდგომარეობას უბრუნდება.

ამას ჩვენს მიერ ჩატარებული მინი გამოკვლევაც ადასტურებს – თუ რეფორმის დასაწყისში მოსალოდნელი ცვლილებები პედაგოგთა დიდმა ნაწილმა მტკივნეულად განიცადა, დღეს ისინი ენთუზიაზმით ემზადებიან რეფორმირებული განათლების სისტემაში ჩასართველად.

დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ საბჭოური განათლების სისტემის მთავარი ნაკლი ბავშვის ინდივიდუალობის, მისი ნიჭისა და შესაძლებლობების ნიველირება იყო (ალბათ საბჭოური ეკონომიკის ჩამორჩენა ამანაც განაპირობა) რის გამოსწორებასაც თანამედროვე სკოლის რეფორმა ცდილობს.

ვფიქრობთ, რომ საჭირო იყო ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებით დაინტერესებულ პუბლიკასთან შეხვედრები და მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება, რაც ხელს შეუწყობდა საზოგადოების მიერ რეფორმით გათვალისწინებული ღონისძიებების უმტკივნეულოდ მიღებას, ძველი სტერეოტიპების რღვევას და მისი უფრო მეტი წარმატებით ფუნქციონირებას.

შესაბამისად, თანამედროვე სკოლას და კერძოდ განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებს სჭირდება საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი; მათზე ბევრადაა დამოკიდებული საზოგადოებასა და ადმინისტრაციას შორის ჯანსაღი ურთიერთო-ბები, რაკი ამგვარი ურთიერთობები, ნებისმიერი ორგანიზაციის ეფექტური მოღვაწეობის საფუძველია.

იგი აზოგადოებას იმ ინფორმაციით უზრუნველყოფს, რაც მათ სწავლების მოძველებული სისტემის ნაკლოვანებებში, რეფორმის პროცესში მიმდინარე ცვლილებების და კონკრეტული ღონისძიებების აუცილებლობაში დაარწმუნებს; მათზეა დამოკიდებული როგორ წარმოადგენს იგი „თავის მრევლის“ წინაშე გასატარებელი რეფორმის დადებით მხარეებს და მის შესაძლო შედეგებს.

რეფორმა ერთჯერადი აქცია არაა; განათლების პროცესი დინამიურია და იგი თანამედროვე დაკვეთების გათვალისწინებით მუდმივად სიახლეებს საჭიროებს; ამ ფუნქციის აღსრულება საზოგადოებასთან ურთიერთობების სპეციალისტს შეუძლია, რაც ხელს შეუწყობს ცვლილებების უმტკივნეულოდ მიღებას, რათა საზოგადოებაში დაინერგოს ნდობის ატმოსფერო და გვერდში ამოუდგეს სკოლის ადმინისტრაციას რეფორმის განხორციელების საქმეში.

**ლიტერატურა**
**References:**


1. Wiaureli v., lominae s., strelkova r., sazogadoebasTan urTierTobebis ZiriTadi principebi. teqnikuri universiteti, 2006.
2. sazogadoebasTan urTierTobis samagido enciklopedia. cotne, 2006.
3. uznaZe d., t. 6. saxelmwifo universitetis gamomcemloba, 1988.
4. Ciqvanaia l., niWis apologia. dia, 2002.
5. Почепцов Г.Г., Паблик рилейшнз для профессионалов, «Релф-бук», 2002.
6. Почепцов Г.Г., Паблик рилейшнз или как успешно управлят, М-Б 1998.
7. ПР – международная практика, М.1986.
8. Рюклер Х., Ваш тайное оружие в общении, М. 1996.
9. Соколов И., Технология популарности иди ПР, Минск, 1999.


**Dariko Khvedelidze**

**The role of the service of Public Relations in the process of education reform**


**Summary**

Reorganization of the educational system and the needs fundamental transformation agenda of the early soviet period come to life. Community development “breaking mechanism” and blunted a new sense of the school as well. The main defect of Soviet education system is the child’s individuality. His talent and ability was leveling probably led the soviet economy had led to voter turn out) the correction of the modern school reform efforts. But every reform is painful process psychologically and accompanying economic losses.

Exceptions to the current education system processes. Such activities without pain at the invitation of teachers and teacher certification test, with the effective functioning of the public relations departments were available.

Reform is not a single event, the education process is dynamic. And it was ordered by the Constant need for innovation this function to be executed public relations Specialist, which will contribute to Changes without pain. In order to establish an atmosphere of trust and to amides school administration in implementation of the reform process.


**Keywords:** service of Public Relations, reform, reorganization, fundamental transformation.

**Reviewer**: Professor Roza Gaprindashvili, Georgian Technical University

**Дарико Хведелидзе**

**Роль службы связи с общественностью в процессе реформы образования**

**Резюме**

Вопрос реорганизации и фундаментальной перестройки образовательной системы встал на повестке дня еще в советский период. Застойное общественное развитие способствовало притуплению чувства новаций и вызвало ?отупение школы?. Это особенно ярко проявилось в 80-е годы прошлого столетия.

Можно сказать, что основным недостатком советской образовательной системы было нивелирование детской индивидуальности, таланта и способностей, что в свою очередь предопределило отставание советской экономики. Исправление данного положения является целью современной реформы системы образования. Но каждая реформа - болезненный процесс в психологическом отношении и сопровождается экономическими потерями.

Реформа не разовая акция. Образовательный процесс динамичен и нуждается в постоянных новациях связанных с духом времени. Специалист по связям с общественностью может способствовать, чтобы общество безболезненно восприняло реформу, утверждению атмосферы доверия и помочь школьной администрации в деле осуществления реформы.

**Ключевые слова:** служба связи с общественностью, реформа, реорганизация, фундаментальная перестройка.

**Рецензент:** профессор Роза Гаприндашвили . Грузинский технический университет

# პ რ ა ქ ტ ი კ ა

**მარიამ ვარდიაშვილი**

## როგორ მივუთითოთ გამოყენებული წყაროები სამეცნიერო ნაშრომში?

სამეცნიერო კვლევითი ნაშრომი აუცილებლად მოითხოვს წყაროების დამოწმებასა და სათანადო წესით მითითებას. წყაროები, რომლებსაც მეცნიერი კვლევითი ხასიათის ნაშრომში იყენებს, სამგვარია – პირველადი, მეორეული და მესამეული. პირველადი წყაროები არის ის წერილობითი თუ სხვა სახის ინფორმაცია (მონაცემები), რომლებსაც უშუალოდ ეხება კვლევა. მეორეული წყაროა საკვლევი თემის გარშემო არსებული ნაშრომები, რომლებიც სხვა მეცნიერებსა და მკვლევრებს ეკუთვნის. მესამეული წყაროები კი აჯამებენ, ან განმარტავენ კვლევის შედეგებს რომელიმე სფეროში და პოპულარულად გადმოსცემენ მათ. ამ სახის წყაროები განკუთვნილია არასპეციალისტი მკითხველისთვის, ან იმათთვის, ვინც სამეცნიერო შრომის დასაწყის ეტაპზე იმყოფება და ჯერ ზოგადი სურათის წარმოსახვა ესაჭიროება. მესამეული წყაროები საკითხის უფრო ღრმად შესწავლის მიზნით არ გამოიყენება.

წყაროს მითითებას უწოდებენ აგრეთვე დოკუმენტირებას (ინგ. referencing, citing, documenting). წყაროს მითითების დროს სისტემატურად უჩვენეთ, რა იდეების ციტირებას ან პერიფრაზირებას ახდენთ ნაშრომში და საიდან მოგაქვთ. მითითება უნდა იყოს ისეთი, რომ მკითხველმა ადვილად მოძებნოს თქვენ მიერ დამოწმებული წყარო, რომლის მითითების გარეშე ვერც თქვენ და ვერც სხვა რომელიმე მეცნიერი ვერ შეიქმნის სრულ წარმოდგენას ამა თუ იმ დარგში დაგროვილი ცოდნის შესახებ. თუ არ მიუთითებთ მოყვანილი ინფორმაციის წყაროს, ბუნებრივია, დაიბადება ეჭვი მისი სარწმუნოობის შესახებ.

არსებობს მითითების სხვადასხვა წესი, რომლებიც დასავლურ სამეცნიერო სფეროში უკვე ჩამოყალიბებულია, როგორც უნივერსალური სისტემები. სხვადასხვა სამეცნიერო სფეროში სხვადასხვა სისტემაა – მითითების სხვადასხვა სტილია მიღებული. მაგ., ჰუმანიტარულ სფეროში მითითების წესს ეწოდება  -სტილი. ისტორიაში – „ჩიკაგოს“ სტილი, სოციალურ მეცნიერებებში – APA - სტილი. სამეცნიერო ჟურნალს ან გამომცემლობას, შესაძლოა, მითითების წესში დადგენილი ჰქონდეს მცირე ნიუანსური თავისებურებები. როგორიც არ უნდა იყოს წყაროების დამოწმების სტილი, ის

შედგება ორი ძირითადი ნაწილისგან. ეს არის შიდა ტექსტური მითითება და სრული ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია.

შიდა ტექსტური მითითება არის ისეთი ნიშანი, რომელიც მოთავსებულია სამეცნიერო ნაშრომის ტექსტში, რათა აჩვენოს, რომ მასში არსებული რომელიღაც ინფორმაცია ეკუთვნის სხვა ავტორს. შიდა ტექსტური მითითება ყველა შემთხვევაში არის მოკლე. ეს ხდება იმიტომ, რომ ის ჩართულია ნაშრომში და მან რაც შეიძლება ნაკლებად უნდა დაარღვიოს ტექსტის მთლიანობა. შიდა ტექსტური მითითება გამოხატეთ რიცხვით, ან ავტორის დასახელებით (ფრჩხილებში). ავტორის გვართან ერთად შეგიძლიათ მიუთითოთ წიგნის გამოცემის წელი ან მისათითებელი გვერდის ნომერი.

შიდა ტექსტური მითითებები მკითხველს სჭირდება იმისთვის, რომ ნახოს სრული ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია, რაც ნიშნავს ცნობას იმის შესახებ, თუ სად, როდის და რომელი გამომცემლობის მიერაა წიგნი გამოქვეყნებული. ეს ინფორმაცია მოათავსეთ გვერდის ქვედა ნაწილში (სქოლიო), ან სტატიის, სადისერტაციო ნაშრომის, ანდა წიგნის ბოლოს. თუ შიდა ტექსტურ მითითებებს ნუმერაციის სისტემით შეასრულებთ, მაშინ ბიბლიოგრაფიული ინფორმაციაც ამავე ნუმერაციით წარმოადგინეთ. თუ შიდა ტექსტურ მითითებებში ავტორის გვარია მინიშნებული, მაშინ ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციაში ლიტერატურა დაალაგეთ ანბანური თანამიმდევრობით, ავტორის გვარის დასაწყისი ასოს მიხედვით (ლექსიკონის პრინციპი). ეს აუცილებელია იმისთვის, რომ მკითხველმა იოლად იპოვოს მითითებული წყაროები.

შიდა ტექსტური მითითება დანომრეთ მაშინაც, როცა გინდათ, რომ თქვენს ნაწერს ახლდეს შენიშვნები. შენიშვნები განათავსეთ წიგნის ან სტატიის ბოლოს. მასში შეგიძლიათ მიუთითოთ წყაროს ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია, ან მხოლოდ ავტორის გვარი და გამოცემის წელი. გარდა ამისა, შენიშვნაში შეგიძლიათ მოათავსოთ კომენტარი ან დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ძირითად ტექსტში უადგილოდ მოგეჩვენებათ, მაგრამ მისი მკითველისთვის მიწოდება საჭიროდ მიგაჩნიათ. შეგიძლიათ წიგნს შენიშვნები ყოველი თავის ბოლოს გაუკეთოთ. თითოეულ მათგანს უნდა ჰქონდეს ის ნომერი, რომელიც მითითებულია ტექსტში. როგორც წესი, შენიშვნების ნუმერაცია ყოველი მომდევნო თავიდან ხელახლა უნდა დაიწყოთ (წიგნის შემთხვევაში). თუ ნაშრომს დართული აქვს შენიშვნები, მაშინ ბიბლიოგრაფია, ყოველგვარი ნუმერაციის გარეშე, ნაშრომის ბოლოს ანბანის მიხედვით დაალაგეთ.

ზოგჯერ ხდება მითითების ორი სხვადასხვა სისტემის შერევა. დაიმახსოვრეთ, რომ თუ შიდა ტექსტურ მითითებაში გაქვთ გვარი

და წელი, ბიბლიოგრაფიაში წყაროები ციფრების მიხედვით არ ჩამოწეროთ, რადგანაც მკითხველი წყაროს ძებნას ავტორის გვარის მიხედვით დაიწყებს. ასევე, თუ შიდა ტექსტური მითითებები ნომრების მიხედვით გაქვთ მინიშნებული, ბიბლიოგრაფიული წყაროები ნომრებით უნდა ჩამოწეროთ და არა ანბანური პრინციპით, რადგანაც თქვენი მკითხველი ასეთ შემთხვევაში ნომრებს დაუწყებს ძებნას.

თუ წიგნს ან სტატიას ორი ავტორი ჰყავს, შიდა ტექსტურ მითითებაში მოიხსენეთ ორივე, მაგრამ თუ ნაშრომს ორზე მეტი ავტორი ჰყავს, დაასახელეთ მთავარი (პირველი) ავტორი და შემდეგ მიაწერეთ et al (სიტყვასიტყვით ნიშნავს „და სხვები“). მითითების დროს არ შეცვალოთ გვარების თანამიმდევრობა, რადგანაც მთავარი ავტორი წიგნის გარეკანზე პირველ ნომრად წერია.

წიგნი შეიძლება იყოს სხვადასხვა სტატიის კრებული ან სახელმძღვანელო, რომლის ავტორები არ ჩანან გარეკანზე. ასეთ შემთხვევაში უნდა მიუთითოთ ის ორგანიზაცია, რომლის ავტორობითაც გამოვიდა წიგნი (მაგ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი). თუ არც ორგანიზაციის სახელი ფიგურირებს წიგნის ავტორად, მაშინ სათაური უნდა მიუთითოთ. იგივე ეხება ინტერნეტში მოპოვებულ ონლაინმასალას.

წყარო უნდა მიუთითოთ დადგენილი წესის მიხედვით, რომელიც გავრცელებულია იმ სფეროში, რომელშიც მუშაობთ. ზოგჯერ ხდება ისე, რომ იყენებთ ერთი ავტორის იდეებს, მაგრამ სარგებლობთ არა ამ ავტორის, არამედ სხვა მეორე ავტორის ნაშრომით. შეეცადეთ, რომ იპოვოთ პირველი ავტორის ნაშრომი და ის მიუთითოთ. მაგრამ შეიძლება არსებული ნაშრომი თქვენთვის მიუწვდომელი იყოს, ასეთ შემთხვევაში მიუთითეთ მეორე ავტორი და თქვით, რომ თქვენ მიერ გამოყენებული მასალა სხვა ავტორს ეკუთვნის, მაგრამ მითითებულია მეორეული წყაროდან.

## ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის დაბეჭდვის სტილი

– ბიბლიოგრაფია დაიწყეთ ახალი გვერდიდან (არ გააგრძელოთ იმავე გვერდიდან, სადაც დასრულდა თქვენი ესე). სათაური დაბეჭდეთ სტრიქონის შუაში. ეს სათაური იქნება ბიბლიოგრაფია, ან გამოყენებული ლიტერატურა, ან გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა;

– ლიტერატურა ანბანზე დაალაგეთ ავტორის, გამომცემლის ან სათაურის მიხედვით;

– პირველი სტრიქონი დაწერეთ მარცხენა კიდეზე, ხოლო შემდეგი – ხუთი პაუზით (ერთი აბზაცით) შეწეული;

– სტრიქონები უნდა დაწეროთ ორმაგი ინტერვალით;

– ვებგვერდის მისამართი მეორე სტრიქონზე უნდა გადაიტანოთ / ნიშნის შემდეგ (დამატებითი გადატანის ნიშნის დართვის გარეშე);

– გვარი და სახელი აკრიფეთ ჩვეულებრივი შრიფტით. ნაშრომის სათაური – ხაზგასმულით, გამოცემის ადგილი და წელი – ჩვეულებრივი შრიფტით;

– თუ სტატია მოთავსებულია კრებულში, ჯერ დაწერთ სტატიის ავტორის გვარს, მერე ნაშრომის სათაურს ბრჭყალებში, შემდეგ სიტყვას „კრებულში“ და კრებულის სათაურს ხაზგასმული შრიფტით;

– თუ ნაშრომი მოთავსებულია კონფერენციის ან კონგრესის მასალაში, დაწერეთ ჯერ მოხსენების ავტორი, შემდეგ სათაური ბრჭყალებში, მერე კონგრესის დასახელება, მისი გამართვის თარიღი და ადგილი ხაზგასმული შრიფტით, ბოლოს კი მასალის გამოცემის ადგილი და წელი ჩვეულებრივი შრიფტით;

– თუ სტატია ჟურნალშია, დაწერეთ ავტორი ჩვეულებრივი შრიფტით, ნაშრომის სათაური ბრჭყალებში, ჟურნალის დასახელება ხაზგასმული შრიფტით, ჟურნალის ნომერი, გამოცემის ადგილი და დრო ჩვეულებრივი შრიფტით.

## ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის დაბეჭდვის „ჩიკაგოს“ სტილი

ისტორიასა და ზოგიერთ ჰუმანიტარულ დარგში შესაძლებელია „ჩიკაგოს“ სტილის გამოყენება, რაც გულისხმობს დანომრილი სქოლიოების (იმავე გვერდზე ან სტატიის ბოლოს) ხმარებას. ასეთ სქოლიოებში თავსდება შენიშვნები. ბოლოში აუცილებელია გამოყენებული ლიტერატურის სიის (ბიბლიოგრაფიის) დართვა.

„ჩიკაგოს“ სტილის მიხედვით:

– სქოლიოში წერთ ნომერს, ბიბლიოგრაფიაში – არა;

– სქოლიოს იწყებთ ავტორის სახელით, შემდეგ გვარს წერთ, ბიბლიოგრაფიაში პირიქით – ჯერ გვარი, შემდეგ მძიმე, ბოლოს სახელი;

– ნაშრომის სათაური განსხვავებული შრიფტით დაწერეთ (იტალიკით – დახრილით);

– ბიბლიოგრაფიული ერთეულის შიგნით, სტრიქონებს შორის, ინტერვალი უნდა იყოს ერთი ან ერთ-ნახევარი. ორი ინტერვალით ერთმანეთისგან გამოყავით ბიბლიოგრაფიული ერთეულები;

– როცა სქოლიოში წყაროს პირველად ასახელებთ, მას უნდა ახლდეს საგამომცემლო ინფორმაცია და გვერდის მითითება;

– თუ იმავე წყაროს შემდეგ სქოლიოშიც უთითებთ, უნდა დაწეროთ მხოლოდ ავტორის გვარი, შემოკლებული სათაური და გვერდის ნომერი;

– როცა ერთსა და იმავე წყაროს მიყოლებით ასახელებთ, შეგიძლიათ დაწეროთ „იქვე“, ან ლათინურად „ibid“ და მიუთითოთ გვერდის ნომერი;

– ბიბლიოგრაფიულ მითითებაში შეიძლება დაასახელოთ ის ლიტერატურაც, რომელიც უშუალოდ არ არის მითითებული სქოლიოში, მაგრამ საკვლევ თემასთან აქვს კავშირში.

ამრიგად, სამეცნიერო ნაშრომში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული გამოყენებული წყაროები, რადგანაც მკითხველი მის გარეშე ვერ შეიქმნის სრულ წარმოდგენას თქვენს კვლევაზე. სტატიაში შემოთავაზებული მსოფლიოში უკვე კარგად დამკვიდრებული წყაროთა მითითების უნივერსალური სისტემები და მეთოდური რჩევები აუცილებლად დაგეხმარებათ გამოყენებული წყაროების დოკუმენტირებაში (მითითებაში).

**ლიტერატურა**
**References:**

1. Wayne C. Booth, G. Golomb, Joseph M. Williams / The Craft of Research. Chicago&London. The University of Chicago Press, 1995.
2. The Bedford Handbook, 5th ed. Diana Hacker, Boston; Bedford, 1998.
3. The Chicago Manual of Style 14th ed. Chicago: University of Chicago Press, 1993.

**Mariam Vardiashvili**

**How to indicate the cited sources in the scientific paper**

**Summary**

Scientific paper necessarily requires its substantiation by means of cited sources and their indication in the appropriate order. The indication should be such as reader could easily find the reliable source, indicated by you. Without it neither you, nor any other scientist will not be able to get a complete idea on knowledge accumulated in one or another field. At the same time, the certain doubt will arise in the realiability of quoted information, unless you don't indicate its source.

Universal systems of sources indication offered in this paper, that are established in the western academic field, as well as methodological advices will assist the newcomer researcher in documenting (citing) of sources indicated in the scientific paper.

**Keywords:** scientific paper, cited sources, reliable source, universal systems of sources.

**Reviewer**: Professor Ketevan Giorgobiani, Georgian Technical University

**Мариам Вардиашвили**

**Как указывать использованные источники в научном труде?**

**Резюме**

Научный труд обязательно требует подтверждения в виде использованных источников и их указания в соответствующем порядке. Указание должно быть таким, чтобы читатель смог легко найти указанный вами достоверный источник, без которого ни вы, ни любой другой ученый не сможет составить полное представление о знаниях, накопленных в той или иной области. В то же время, если вы не укажете источник приведенной информации, естественно возникнет сомнение в его достоверности.

Предложенные в статье универсальные системы указания источников, сформировавшиеся в западной научной сфере, а также методические советы помогут начинающему исследователю в документировании (указании) использованных в научном труде источников.

**Ключевые слова:** научный труд, использованные источники, достоверный источник, универсальные системы указания источников.

**Рецензент:** профессор Кетеван Гиорговиани . Грузинский технический университет

თამარ თვალჭრელიძე

# გუნდური მუშაობის უნივერსალურ პრინციპებზე გადასვლის გზები

**"ზოგადად ცნობილი იმის გამო, რომ ცნობილია, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ის გაცნობიერებულია".** გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის ეს სიტყვები, ზუსტად ასახავს იმ მდგომარეობას, რაც არსებობს დღევანდელ საქართველოში გუნდთან და გუნდურ მუშაობასთან დაკავშირებით. ძალიან ბევრი საუბრობს იმის შესახებ, რომ გუნდი და გუნდური მუშაობა კარგია, მაგრამ რეალურად ცოტა მათგანს თუ აქვს გაცნობიერებული გუნდური მუშაობის მნიშვნელობა. ჩვენი ამოცანაა, გავაცნოთ მკითხველს გუნდის, გუნდური მუშაობის უპირატესობები და ნაკლოვანებები.

საქართველო განვითარებული ქვეყნების მაგალითზე ნელ-ნელა გადადის ადამიანური რესურსების მართვის ხისტი სტილიდან HR-ის რბილ სტილზე, სადაც აშკარა ხდება გუნდური მუშაობის დანერგვის აუცილებლობა.

და მაინც რა არის გუნდი, შეიძლება თუ არა, რომ ადამიანთა ნებისმიერ სიმრავლეს ეწოდოს გუნდი? რასაკვირველია არა. რა არის გუნდი, რა ისეთი განსაკუთრებული ნიშან-თვისებებით ხასიათდება, რომელიც საქმის წარმატებულ დასრულებას უზრუნველყოფს? საუკუნეთა მანძილზე დამუშავებულ, უცხოელ მეცნიერთა და ექპერტთა კვლევებს თუ დავეყრდნობით, ჩვენ შევძლებთ განვმარტოთ გუნდი.

გუნდი არის ადამიანთა ისეთი ერთობა, რომლებიც იზიარებენ ერთსა და იმავე მიზნებს, მიზნის მისაღწევად ახდენენ შრომის კოორდინაციას, სადაც მაღალია ნდობის ფაქტორი და სადაც წარმატება ერთობლივი შრომით მიიღწევა. გუნდი ადამიანების უბრალო ნაკრები კი არ არის, არამედ ეს ორგანიზაციაა თავისი მოქმედი ძალებით, თვისებებითა და წესებით.

აღნიშნული ცნება ჩვენს ქვეყანაში სათანადოდ ვერ არის გაგებული. ხშირ შემთხვევაში მას აიგივებენ ჯგუფთან და ადგილი აქვს მის არასწორ ინტერპრეტაციას.

გუნდის ყოველმა წევრმა კარგად იცის, რომ ის, რასაც ისინი აკეთებენ, ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებულია ადამიანებისთვის, ვისთვისაც აკეთებენ და მათ მიერ დაშვებულმა სულ მცირე შეცდომამაც კი შესაძლოა ძალიან დააზარალოს საქმე, რომელსაც ისინი აკეთებენ. ამის შეგრძნება ეხმარება გუნდის წევრებს მაქსიმალური მონდომებით, დაკვირვებით აკეთონ ყოველდღიური საქმე. იყონ მობილიზებულები და სრულად ჩართულები სულ მცირე ნიუანსების დონეზეც კი, გუნდის თითოეული წევრი მზრუნველობის ქვეშაა, მას ეხმარებიან და გვერდზე უდგანან გუნდის დანარჩენი

წევრები. წარმატება, ან წარუმატებლობა განიცდება გუნდის ყველა წევრის მიერ და არა ერთი პიროვნების მიერ. ვინაიდან წარუმატებლობა არ ბრალდება გუნდის ცალკეულ წევრს, ისინი უფრო გაბედულად იყენებენ სხვადასხვა ახალ შესაძლებლობებს, რაც მათი საქმიანობის შედეგს თითქმის ყოველთვის იდეალურს ხდის. გარდა ამისა, გუნდური მუშაობა მაქსიმალურად ანვითარებს ორგანიზაციის ადამიანურ რესურსებს. წევრები ხელს უწყობენ ერთმანეთის პიროვნულ ზრდასა და წარმატებას. გუნდი აღემატება ჯგუფს, ხოლო გუნდური მუშაობის შედეგები აღემატება თითოეული მისი წევრისგან მოსალოდნელი შედეგების მარტივ ჯამს; ***გუნდს სინერგიული ეფექტი გააჩნია*** ანუ, ერთს პლიუს ერთი არის გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე ორი.

გუნდის წევრები თანამშრომლობენ არა მხოლოდ დასახული ამოცანების ფარგლებში, არმედ ინაწილებენ მენეჯმენტის ისეთ ფუნქციებსაც როგორებიცაა დაგეგმვა, ორგანიზება, გუნდის მუშაობის შეფასება, ცვლილებების მართვის საკუთარი სტრატეგიების შემუშავება და საკუთარი რესურსების უზრუნველყოფა.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, **გუნდი აღემატება ჯგუფს, ახლა კი განვიხილოთ განსხვავებები გუნდსა და ჯგუფს შორის:** ჯგუფის წევრისთვის თავისი პირადი ინტერესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ორგანიზაციის, გუნდში კი ორგანიზაციისა და პირადი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა; ჯგუფის სტრუქტურა მკაცრ იერარქიულ პრინციპზეა დაფუძნებული, გუნდში ხისტი იერარქიული სტრუქტურა არ არსებობს; ჯგუფში ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, გუნდში - კორპორაციული პასუხისმგებლობა; ჯგუფში ურთიერთობის მაქსიმუმი თანამშრომლობაა, გუნდი მოქმედებს სინერგიის პრინციპით; ჯგუფში ინიციატივები შეზღუდულია, გუნდში ინიციატივები წახალისებულია; ჯგუფში ხელმძღვანელს მიჰყვებიან იმიტომ რომ მათ ეს ევალებათ, გუნდში აღიარებენ და ენდობიან ლიდერს და ხალისით მიჰყვებიან; ჯგუფის უპირველესი ამოცანაა ეფექტურად იაროს მითითებული მიმართულებით, გუნდის პრიორიტეტია დახატოს სწორი მიმართულება; ჯგუფი მუშაობს არსებული პარადიგმის ფარგლებში, გუნდი ქმნის ახალ პარადიგმას; ჯგუფი მუშაობს სისტემაში, ხოლო გუნდი მუშაობს სისტემაზე.

1961 წელს ტაკმენის მიერ შემუშავებულ იქნა უმთავრესი თეორია გუნდის შექმნის შესახებ, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

- ფორმირება-შექმნა;
- შეგუება-ადაპტაცია;

- შეტევა-აქტიური ქმედებები;
- შესრულება-სრულყოფა.

**ჩამოყალიბებული გუნდის სახე:**

- ორგანიზაციის წევრმა ზუსტად იცის, რისი მიღწევა სურს ორგანიზაციას (ორგანიზაციის მიზანი);
- იცის არა მხოლოდ ის, თუ რას აკეთებენ, არამედ ისიც, თუ როგორ აკეთებენ;
- მეტია ნდობის ხარისხი, კოორდინაცია, შესრულების ვალდებულების შეგრძნება;
- შინაგანი სიცხადე და გამჭვირვალობა, გუნდური ანგარიშვალდებულება და არა ხელისუფლების დირექტივებით დარეგულირებული ურთიერთობები;
- გამართული და მკაფიოდ ჩამოყალიბებული შრომის განაწილების პრინციპები;
- კარგი სამუშაო ურთიერთობები წევრებს შორის, რომელიც სულაც არ გულისხმობს მეგობრობას;
- შესრულებული სამუშაოს მაღალი ხარისხი;
- მოქნილობა და ცვლილებების შეთვისება;
- ორგანიზაციაში არსებული სასიამოვნო გარემო;
- პიროვნებისა და ორგანიზაციის ინტერესების თანხვედრა;
- მაღალი პასუხისმგებლობა და შედეგებზე ორიენტირება;
- თანამონაწილეობითი ლიდერობა;
- თანმიმდევრული და ეტაპობრივი მოძრაობა ერთი გამარჯვებიდან მეორისაკენ;
- განსაზღვრულია მოსალოდნელი წინააღმდეგობები და დასახულია მათი გადალახვის გზები

გუნდს და გუნდურ მუშაობას გააჩნია გარკვეული ნაკლოვანებებიც, რომელთა აღმოფხვრაზე ჩვენ ყოველთვის უნდა ვმუშაოთ: ესენია – **არაეფექტიანობა,** რომელიც თვით წარმატებულ გუნდებსაც კი ემუქრება, რომლებიც ხშირად აუცილებელზე მეტ დროს უთმობენ ხოლმე გადაწყვეტილების მიღებასა და მათ განხორციელებასაც. არაეფექტიანობის შესაძლო მიზეზად შეიძლება იქცეს გუნდის შიდა პოლიტიკა, მეტისმეტად დიდი მნიშვნელობის მინიჭება კონსესუსისათვის და წევრთა მეტისმეტი გაშინაურება ერთმანეთთან; **ჯგუფური აზროვნება** – ეს მაშინ იჩენს თავს, როდესაც ერთი წევრი ვერ ახერხებს სხვების დარწმუნებას საკუთარი იდეის სისწორეში და გადაწყვეტილებაც არასწორი მიიღება ხოლმე; **ინდივიდუალური მოტივაციის დაქვეითება** –

გუნდური ერთსულოვნებისა და ინდივიდუალური მოტივაციის ურთიერთშეხამება გუნდური თამაშის მუდმივი თავსატეხია. საკუთარი წვლილის მიჩქმალვის საჭიროების გამო იკლებს პირადი ინიციატივის სტიმული და გუნდის წევრებს განსაკუთრებული თავგამოდების სურვილიც უნელდებათ.

- სტრუქტურული რყევები. გუნდი შეიძლება იმდენად გავლენიან ერთეულად იქცეს ორგანიზაციულ სტრუქტურაში, რომ კონკურენციაც კი გაუწიოს უკვე ჩამოყალიბებულ იერარქიულ ჯაჭვს და ფაქტიურად, ერთგვარ მატრიცადაც კი იქცეს არსებულ ორგანიზმში.
- გადატვირთვა. გუნდური თამაში გარკვეულ ხარკს მოითხოვს: როცა პასუხისმგებლობა საერთოა, და უფრო მეტიც, ვიდრე ერთი თანამშრომლის მიერ რაიმე საქმის შესრულებისას, შესაძლოა, დროც და ენერგიაც მეტი დაიხარჯოს და გუნდის წევრებიც, უბრალოდ, გადაიტვირთონ.

**გუნდური კონფლიქტის მიზეზები:**

- ცალკეულ ინდივიდებს შეიძლება მეტოქეობის განცდა გაუჩნდეთ მწირი ან შეკვეცილი რესურსების გამო – როგორიცაა ფული, ინფორმაცია თუ აპარატურა;
- წევრები შესაძლოა ვერ თანხმდებოდნენ, რა კონკრეტულ საქმეზე ვინაა პასუხისმგებელი და ამ ტიპის უთანხმოების მიზეზი, ჩვეულებრივ, ცუდად გადანაწილებული პასუხისმგებლობები და საქმიანობის არამკაფიოდ განსაზღვრული ფარგლებია.
- ცუდმა ურთიერთგაგებამ შეიძლება გაუგებრობები გამოიწვიოს ან თავად გუნდის წევრებს შორის, ან სხვა გუნდებთან. ამას შეიძლება დაემატოს ინფორმაციის განზრახ დაფარვა, რაც დამატებითი უნდობლობის საფუძველი ხდება ხოლმე.
- შეხლა-შემოხლა შეიძლება გამოიწვიოს ძირეულმა განსხვავებებმა ღირებულებების, მიდგომებისა თუ უბრალოდ, პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე.
- ძალაუფლებისათვის ბრძოლა შეიძლება გაჩნდეს, როცა გუნდის ერთი ნაწილი მეორის უფლებამოსილებას არ აღიარებს ან როცა ადამიანები ან გუნდები, ვისაც შეზღუდული უფლებამოსილება აქვთ, მეტი ძალაუფლებისა და გავლენის მოპოვებას ცდილობენ.

გუნდში არსებული კონფლიქტის წყაროები შეიძლება იყოს: პიროვნული სხვაობა, ინფორმაციის ნაკლებობა, როლებისა და ფუნქციების შეუთავსებლობა, გარემოდან გამოწვეული სტრესი. ამ წყაროებს გამოცდილმა ლიდერმა უნდა დაუპირისპიროს კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთი საშუალებათაგანი:

ძალმომრეობა, დათმობა, თავის არიდება, კომპრომისი, თანამშრომლობა. გუნდში ყველაზე ეფექტური საშუალება კი ეს უკანასკნელია.

გუნდი აღემატება ჯგუფს, გუნდური მუშაობის შედეგები აღემატება ინდივიდუალური მუშაობის შედეგებს.

**ლიტერატურა**
**References:**


1. P. F. Drucker – Management Challenges for the 21st century (1999) COLLINS BUSINESS, An Imprint of HarpeCollins Publishers. გვ. 199.
2. Stephen R. Covey. First Things First; (To Live, to Lave, to Learn, to Leave a legacy) STEPHEN R. COVEY A. ROGER MERRILL REBECCA R. MERRILL A Fireside Book Published by SIMON & SCHUSTER New York London Toronto Sydney Tokyo Singapore p. 361.
3. Sean Covey. ‘’The 7 Habits of Highly Effective Teens’’ the natural bestseller, over 1,500,000 copies sold. Jack Canfield and Kimberly Kirberger, coauthors of Chicken Soup for the Teenage Soul. FIRESIDE Rockfeller Center. New York. Copyright in 1998 by Franklin Covey, p. 268.
4. Stephen R. Covey. The 8th Habit; (From Effectiveness to Greatness) FREE PRESS. New York London Toronto Sydney გვ. 409.
5. Douglas Mcgregor “The human side of enterprise annotated edition” UPDATED AND WITH A NEW COMMENTARY BY JOEL CUTCHER-GERSHENFELD McGraw-Hill New York; Chicago; San Francisco; Lisbon; London; Madrid; Mexico; City Milan; New Delhi; San Juan; Seoul; Singapore; Sydney; Toronto. გვ. 403.
6. Donald G. Krause. “The way of the leader” Applyng the Principles of Sun Tzu and Confucius – Ancient Strategies for the Modern Business World. p. 176.
7. Gary Yukl. Leadershi in organizations. University at albany; State University of New York. p. 542.

**Tamar Tvalchrelidze**

**The ways of transition to universal principles of Team Work**

## Summary

In today's world, in organizations, the teamwork is one of the best ways to have a success. Each individual is a member of a team, either in work or social service. Thus, it's necessary to know how to become effective team members or leaders, in order to achieve success. It shouldn't be confused with each other that a combination of two or more people don't make a team. In order to achieve effective functioning of a team, it must go through the stages of development, must be staffed with appropriate people, where every member is aware of their responsibilities and duties.

We should remember that a team is the unity of the people who serve the same purpose, coordinate their efforts to achieve goal, have a high degree of confidence, Inner clarity and transparency, team accountability and not supervising regulated relations with directives.

A team is not a simple combination of people, this is an organization with its forces, properties, rules.

**Team elements:** Clearly established principles of labor distribution. Good working relations between team members, not based on friendship. High quality work done. Flexibility and changes in utilization. Pleasant environment in the organization. The coincidence of interests between individual and organization. Participatory leadership. Gradual movement from one successive victory to another. Determinations of the possible risks and ways of overcoming.

**Keywords:** Team, group, team work, universal principles, responsibilities.

**Reviewer**: Ph. D. Otar Bagaturia, Georgian Technical University

**Тамара Твалчрелидзе**

## Пути перехода на универсальные принципы командной работы

### Резюме

В современном мире командная работа в организаций является одним из средств достижения успеха. Для достижения успеха необходимо знать как стать членом и лидером эффективной команды поскольку каждый человек является членом какой-то команды на работе или в обществе. Не следует заблуждаться, что совместно работающие двое или более людей это команда. Для достижения эффективного функционирования команда формируется поэтапно, комплектуется из подходящих людей, каждый из которых точно знает свои обязательства и сферу ответственности.

Надо помнить, что команда такое единство, члены которого разделяют цели, для достижения которых координируют труд, обладают высокой степенью взаимного доверия, внутренней ясностью и прозрачностью, горизонтальной взаимной отчетностью в место вертикальной подотчетности.

Команда это не просто собрание но едины организм со своим характером и нравом.

Элементы команды:

- Четко определенные принципы разделения труда;
- Хорошие взаимоотношения между членами, которые однако отнюдь не подразумевают дружбу;
- Высокое качество выполненных работ;
- Гибкость и открытость к изменениям;
- Приятны климат в организаций;
- Совпадение частных и общих интересов;
- Соучастие в лидерстве;
- Последовательное и постепенное движение от одного успеха к другому;
- Определены возможные препятствия и обозначены пути для преодоления их

**Ключевые слова:** команда, группа, командная работа, универсальные принципы, ответственность.

**Рецензент:** Ph.D. Отар Багатурия. Грузинский технический университет.

## CONTENTS

### THEORY

**Pavle Asatiani**
Computing Introduction in the Information and Communication Technology Business Engineering------------------------------------------5

**Giorgi Aladashvili**
The analysis of modern political process on an example of Georgia---10


### HISTORY

**Emzar Khvichia**
Ethnic group "Somekhi" as one of the external manifestations of hidden belonging to the Georgian nation-------------------------------16


### ECONOMICS

**Genadi Iashvili, Ketevan Betlemidze**
Government and Small Business-------------------------------------------32


### LAW

**Sofia Dogonadze**
Conflict in Abkhazia, Georgia - and Dynamics of the Peace Process--39


### SOCIETY

**Liana Gedevanishvili**
The significance and role of constructivistic approach in the course of foreign languages study-----------------------------------------51

**Leli Bibilashvili**
Brand, Customer Behaviour and Preferences------------------------------56

**Dariko Khvedelidze**
The role of the service of Public Relations in the process of education reform--------------------------------------------------------65

## PRACTICE

**Mariam Vardiashvili**
How to indicate the cited sources in the scientific paper ----------------71

**Tamar Tvalchrelidze**
The ways of transition to universal principles of Team Work-----------77

# СОДЕРЖАНИЕ

## ТЕОРИЯ

**Павел Асатиани**
Начала компьютинга в бизнес инженерии информационных и коммуникационных технологий----------------------------------------5

**Георгий Аладашвили**
Анализ современного политического процесса на примере Грузии------------------------------------------------------10

## ИСТОРИЯ

**Емзар Хвичиа**
Этнос под именем «Сомехи» как один из внешних проявлений скрытой принадлежности к Грузинской наций------16

## ЭКОНОМИКА

**Геннадий Яшвили, Кетеван Бетлемидзе**
Правительство и Малый Бизнес------------------------------------------32

## ПРАВО

**София Догонадзе**
Конфликт в Абхазии, Грузия – динамика мирного процесса-------39

## ОБЩЕСТВО

**Лиана Гедеванишвили**
Значение и роль конструктивистского подхода в процессе изучения иностранных языков-------------------------------------------51

**Лели Бибилашвили**
Бренд поведение и предпочтения клиентов----------------------------56

**Дарико Хведелидзе**
Роль службы связи с общественностью в процессе реформы образования------------------------------------------------------65

## ПРАКТИКА

**Мариам Вардиашвили**
Как указывать использованные источники в научном труде?------71

**Тамара Твалчрелидзе**
Пути перехода на универсальные принципы командной работы------------------------------------------------------------------------77

# ავტორები

| | |
|---|---|
| პავლე ასათიანი | „ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიის“ დარგში პირველი საერთაშორისო კატეგორიის მეცნიერი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი |
| გიორგი ალადაშვილი | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი |
| ქეთევან ბეთლემიძე | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი |
| ლელი ბიბილაშვილი | საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი |
| სოფიო დოღონაძე | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი |
| მარიამ ვარდიაშვილი | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი |
| ლიანა გედევანიშვილი | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი |
| თამარ თვალჭრელიძე | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი |
| გენადი იაშვილი | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი |
| დარიკო ხვედელიძე | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი |
| ემზარ ხვიჩია | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი |

# Authors


| | |
|---|---|
| Pavle Asatiani | Scientist of the First International Category in “Information and Communication Technology”, Professor of Georgian Technical University |
| Giorgi Aladashvili | Doctoral Candidate, Georgian Technical University |
| Ketevan Betlemidze | Doctoral Candidate, Georgian Technical University |
| Leli Bibilashvili | Professor at University of Georgia |
| Sofia Dogonadze | Doctoral Candidate, Georgian Technical University |
| Genadi Iashvili | Professor of Georgian Technical University |
| Liana Gedevanishvili | Doctoral Candidate, Georgian Technical University |
| Dariko Khvedelidze | Doctoral Candidate, Georgian Technical University |
| Emzar Khvichia | Doctoral Candidate, Georgian Technical University |
| Tamar Tvalchrelidze | Graduate student, Georgian Technical University |
| Mariam Vardiashvili | Professor of Georgian Technical University |

# Авторы

| | |
|---|---|
| Павел Асатиани | Ученый Первой Международной Категории в области информационных и коммуникационных технологий, Профессор Грузинского технического университета |
| Георгий Аладашвили | Докторант Грузинского технического университета |
| Кетеван Бетлемидзе | Докторант Грузинского технического университета |
| Лели Бибилашвили | Профессор Университета Грузии |
| Мариам Вардиашвили | Профессор Грузинского технического университета |
| Лиана Гедеванишвили | Докторант Грузинского технического университета |
| София Догонадзе | Докторант Грузинского технического университета |
| Тамара Твалчрелидзе | Магистрант Грузинского технического университета |
| Дарико Хведелидзе | Докторант Грузинского технического университета |
| Емзар Хвичиа | Докторант Грузинского технического университета |
| Геннадий Яшвили | Профессор Грузинского технического университета |

## ჟურნალის რედკოლეგია


| | |
|---|---|
| ნანა ავალიანი | ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ეგვიპტეში საქართველოს საელჩოს დესპანი (საქართველო) |
| რუდიგერ ანდრესენი | ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ეკონომიკის დარგში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (გერმანია) |
| მეუფე აბრაამი (გარმელია) | დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი (საქართველო) |
| ევგენი ბარათაშვილი | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (საქართველო) |
| გიორგი ბაღათურია | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (საქართველო) |
| ოთარ ბაღათურია | პასუხისმგებელი მდივანი, პოლიტიკის დოქტორი (საქართველო) |
| რასა ბელოკაიტე | ვიტაუტას დიდის უნივერსიტეტის პროფესორი (ლიტვა) |
| ანასტასია განიჩი | რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური აზიის, კავკასიისა და ურალ-ვოლგისპირეთის შემსწავლელი ცენტრის მეცნიერ-მუშაკი, დოცენტი (რუსეთი) |
| იური გორიცკი | მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის პროფესორი (რუსეთი) |
| ვახტანგ გურული | ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (საქართველო) |
| შოთა დოღონაძე | მთავარი რედაქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სახელმწიფო მართვის მიმართულების ხელმძღვანელი (საქართველო) |
| ელუნ დრაკე | ევროპის საბჭოს ექსპერტი (საფრანგეთი) |
| ჰარალდ ვერტცი | სორბონნას უნივერსიტეტის „პარი-8“-ის პროფესორი ინფორმატიკის დარგში (საფრანგეთი) |
| გენადი იაშვილი | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და სამართლის საერთაშორისო გერმანულენოვანი ინსტიტუტის ხელმძღვანელი (საქართველო) |
| სერჯო კამიზი | “ლა საპიენძა”-ს უნივერსიტეტის პროფესორი. (იტალია) |

| | |
|---|---|
| რიჩარდ მაასი | ნოტრდამის უნივერსიტეტის პროფესორი (ნიდერლანდების სამეფო) |
| როინ მეტრეველი | საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (საქართველო) |
| იოშიკა მიცუი | იოკოჰამას ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი (იაპონია) |
| ბადრი ნაკაშიძე | მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის ფაკულტეტის პროფესორი (რუსეთი) |
| ლიზავეტა ჟახანინა | კანზასის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (ამერიკის შეერთებული შტატები) |
| ბუდი ნურანი რუჩჯანა | პაჯაჯარანის უნივერსიტეტის პროფესორი. (ინდონეზია) |
| რამონ პიეტრო-სუარესი | ევროპის საბჭოს ექსპერტი (ესპანეთი |
| გერტ სურმიულენი | დოქტორი, ლოჯისტიკური კომპანიის პრეზიდენტი (გერმანია) |
| ქეთი ქოქრაშვილი | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (საქართველო) |
| ოთარ ქოჩორაძე | მთავარი რედაქტორის მოადგილე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (საქართველო) |
| რუსუდან ქუთათელაძე | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნეს-ინჯინერინგის ფაკულტეტის დეკანი (საქართველო) |
| მაია ჩხეიძე | საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი (საქართველო) |
| ენდრიუ ლენუქს ჰარდინგსი | კინგსკოლეჯის პროფესორი (დიდი ბრიტანეთი) |

**EDITORIAL BOARD**


| | |
|---|---|
| NANA AVALIANI | PhD of History, Counselor-envoy of Georgia in Egypt (Georgia) |
| RUDIGER ANDRESEN | Professor of Economics of Berlin University, Doctor of Honour of Georgian Technical University (Germany) |
| His Eminence ABRAHAM (GARMELIA) | Metropolitan of Western Europe (Georgia) |
| EVGENI BARATASHVILI | Professor of Georgian Technical University, Head of Department of Economics and Business Managemnt (Georgia) |
| GIORGI BAGATURIA | Professor of Georgian Technical University (Georgia) |
| OTAR BAGATURIA | Responsible Editor, Ph.D. (Georgia) |
| RASA BELOKAITE | Professor of the University of Vitautas the Great (Litva) |
| MAIA CHKHEIDZE | Professor of University of Georgia (Georgia) |
| ELUN DRUCKE | Expert of European Council (France) |
| SHOTA DOGONADZE | Chief Editor, Professor of Georgian Technical University, Head of Public Admimstration Department (Georgia) |
| ANASTASIA GANICH | Docent, Scientific worker of Central Asia, Caucasus and Ural-Volga researcher center of the Avcademy of Sciences of Russia (RF) |
| YURI GORITSKIY | Professor of Moscow Power Engineering Institute (RF) |
| VAKHTANG GURULI | Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University (Georgia) |
| ANDRU LENUKS HARDINGS | Professor of King’s college (UK) |
| GENADI IASHVILI | Professor of Georgian Technical University, Head of the International German Institute (Georgia) |
| SERGIO CAMIZ | Professor of the University of Roma „La Sapienza“ (Italia) |
| KETI KOKRASHVILI | Professor of Georgian Technical University, Head of the Administration (Georgia) |
| OTAR KOCHORADZE | Deputy Editor-in-Chief, Professor of Georgian Technical University (Georgia) |
| RUSUDAN KUTATELADZE | Professor of Georgian Technical University, Dean of Business-Enginering faculty (Georgia) |
| RICHARD MAAS | Professor of the University of Notrdam (The Netherlands) |

| | |
|---|---|
| ROIN METREVELI | Academy of Science of Georgia, Academician (Georgia) |
| IOSHIKA MITSUI | Professor of National University of Yokohama (Japan) |
| BADRI NAKASHIDZE | Professor of M.Lomonosov Moscow State University (RF) |
| RAMON PIETRO-SUARES | Expert of European Council (Spain) |
| BUDI NURANI RUCHJANA | Professor of the University of Padjadjaran (Indonesia) |
| GERT SURMIULEN | Doctor, preident of Logistic company (Germany) |
| LIZAVETA DJAKHANINA | Professor of Kanzas State University (USA) |
| HARALD WERTZ | Professor of Informatics of Sorbona University ”Pari-8” (France) |

**РЕДКОЛЛЕГИЯ**


| | |
|---|---|
| НАНА АВАЛИАНИ | Посол по особым поручениям МИД Грузии, доктор исторических наук (Грузия) |
| Владыко АВРААМ (ГАРМЕЛИЯ | Митрополит Западной Европы (Грузия) |
| РУДИГЕР АНДРЕСЕН | Профессор экономики Берлинского университета, почетный доктор Грузинского технического университета (Германия) |
| ГЕОРГИЙ БАГАТУРИЯ | Профессор Грузинского технического университета (Грузия) |
| ОТАР БАГАТУРИЯ | Ответственный секретарь, Ph.D. (Грузия) |
| ЕВГЕНИЙ БАРАТАШВИЛИ | Профессор Грузинского технического университета, руководитель департаменгта экономики и управления бизнесом (Грузия) |
| РАСА БЕЛОКАЙТЕ | Профессор университета Витаутаса Великого (Литва) |
| ХАРАЛЬД ВЕРТЦ | Профессор информатики Сорбонского университетета «Пари-8» (Франция) |
| АНАСТАСИЯ ГАНИЧ | Доцент, научный сотрудник исследовательского центра Центральной Азии, Кавказа и Урал-привольжия АН РФ (РФ) |
| ЮРИЙ ГОРИЦКИЙ | Профессор Московского энергетического института (РФ) |
| ВАХТАНГ ГУРУЛИ | Профессор Тбилисского государственного унивесритета им. Ив.Джавахишвили (Грузия) |
| ЕЛУН ДРАКЕ | Эксерт Совета Европы (Франция) |
| ШОТА ДОГОНАДЗЕ | Главный редактор, профессор Грузинского технического университета, руководитель направления государственного управления (Грузия) |
| СЕРДЖИО КАМИЗ | Профессор Римского Университета «Ла Сапиенза» (Италия) |
| КЕТЕВАН КОКРАШВИЛИ | профессор Грузинского технического университета, глава администрации университета (Грузия) |
| ОТАР КОЧОРАДЗЕ | Заместитель главного редактора, профессор Грузинского технического университета (Грузия) |
| РУСУДАН КУТАТЕЛАДЗЕ | Профессор Грузинского технического университета, декан факультета Бизнес-инжинеринга (Грузия) |

| | |
|---|---|
| РИЧАРД МААС | Профессор университета Нотрдам (Нидерланды) |
| РОИН МЕТРЕВЕЛИ | Академик АН Грузии (Грузия) |
| ИОШИКА МИЦУИ | Профессор национального университета Йокогамы (Япония) |
| БАДРИ НАКАШИДЗЕ | Профессор МГУ им. М.Ломоносова (РФ) |
| РАМОН ПЬЕТРО-СУАРЕС | Эксперт Совета Европы (Испания) |
| БУДИ НУРАНИ РУЧДЖАНА | Профессор университета Паджаджаран (Индонезия) |
| ГЕРТ СУРМЮЛЕН | Доктор, президент логистической компании (Германия) |
| МАЙА ЧХЕИДЗЕ | Профессор Университета Грузии (Грузия) |
| ЛИЗАВЕТА ЖАХАНИНА | Профессор государственного университета Канзас (США) |
| ЭНДРЮ ЛЕНУКС ХАРДИНГС | Профессор кингсколледжа (Великобритания) |
| ГЕННАДИЙ ЯШВИЛИ | Профессор Грузинского технического университета, руководитель Международного Германоязычного института экономики и права (Грузия) |